სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 27 ივნისი 2000 №120 (1142) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

WIMBLEI 2000

ავთანდილ სვანიძე

ლონდონიდან

პირველი ქართველი მთვარეზე

ლონდონური ოდისეა 2000

ნაბიჯი პირველი

უანგბადის რაოდენობა საკმარისია, საბრძოლო-პროფესიული აღჭურვილობა წესრიგში, ყველაფერი მზად არის კაცობრიობის ისტორიაში ახალი ნაბიჯის გადასადგმელად.

ვერ გეტყვით, რას გრძნობდა ნილ არმსტრონგი მთვარეზე პირველი გასეირნების წინ და მის განმავლობაში, მაგრამ არა მგონია, ისევე მოუთმენლად და გულის ფანცქალით დალოდებოდა ამ მომენტს, როგორც მე „ოლ ინგლენდ კლაბში“ აღმოჩენას — „ევროსპორტის“ ან „ენტევე სპორტის“ ეკრანის წინ მოკალათებასა და მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ საჩოგბურთო ტურნირზე დასწრებას შორის წარმოუდგენლად დიდი უფსკრულია.

მოთამაშეები, რომლებიც მხოლოდ ტელევიზორში მინახავს, ყველა — კიკინიანი, ძონძროხა, ტანმშვენიერი თუ პირმშვენიერი (ასეთები, სამწუხაროდ, ცოტანი არიან) ახლა აქვეა, სულ ახლოს.

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი

მარტინა ჰინგისი

ჰოლანდია — იუგოსლავია 6:1 და უბედნიერესი პატრიკ კლუივერტი, რომელმაც ბურთთან ლამის ყოველი შეხება გოლად აქცია

REUTERS როტერდამიდან

ჰეთ-პატრიკი!

შაბათ-კვირას გამართულმა მეოთხედფინალებმა ერთგვარად დაარღვია ევროპის ჩემპიონატების დაუწერელი კანონი: ვერც ერთმა ჯგუფში „ამრევმა“ ნახევარფინალს ვერარ უწია. ერთადერთი პორტუგალიაა, ვისაც ოთხშაბათს მსოფლიოს ჩემპიონ ფრანგებთან მოუწევს ამბიციის დამტკიცება, დანარჩენები კი დიდგვაროვანნი არიან.

ჰოლანდიელ პატრიკ კლუივერტს, ალბათ, ფეირ პლეის ჯილდოს მიაკუთვნებენ. ამ თავისებური ზნის კაცმა დაუჯერებელი რამ მოიმოქმედა: იუგოსლავიასთან სამი გაიტანა და მეოთხესაც რომ მას მიაწერდნენ, მე არ შემიგდიაო, თქვა.

პორტუგალიელი სერჟიუ კონსეისაუს შემდეგ კლუივერტი მეორე ფეხბურთელია, ვინც ევრო 2000-ზე ჰეთ თრიკი გააჯერხა.

ტურნირზე სამი მატჩიღა დარჩა გასამართი. შესაბამისად, ბელგია — ჰოლანდიაში არბიტრიც სამი დარჩა. ამსტერდამში ჰოლანდია — იტალიის ნახევარფინალს გერმანელი მარკუს მერკი მოემსახურება, ხოლო ავსტრიელი გიუნტერ ბენკო ბრიუსელში ფრანგთა და პორტუგალიელთა ჭიდილს განსჯის.

ფინალისთვის კი უეფას შვედი ანდერს ფრისკი შეურჩევია. რატომ ფრისკი? ერთი იმიტომ, რომ მართლა კარგი მსაჯია, მეორეც — ჩემპიონატს შემორჩენილთა შორის მისი ქვეყნის ნაკრები აღარ არის.

UEFA EURO 2000

მეოთხედფინალი

პორტუგალია	2
თურქეთი	0
რუმინეთი	0
იტალია	2
ჰოლანდია	6
იუგოსლავია	1
ესპანეთი	1
საფრანგეთი	2

ნახევარფინალი

28 ივნისი 23 ⁴⁵ ბრიუსელი

პორტუგალია	
საფრანგეთი	

29 ივნისი 21 ⁰⁰ ამსტერდამი

იტალია	
ჰოლანდია	

იხილეთ მეორე-მეშვიდე გვერდები

ესპანეთი — საფრანგეთი 1:2. ბოლო წუთზე ბარტეზის კარში თერთმეტმეტრიანის გამცუდებელი რაული თავადაც ატირდა და ესპანეთიც აატირა

REUTERS ბრიუგედან

მეოთხედფინალი

ამსტერდამი
24 ივნისი
21.00 საათი
არენა
42 000 (ტევადობა 51 200)

პორტუგალია 2:0 თურქეთი

1:0, 2:0 ნუნუ გომეში (44, 56)

პორტუგალია: ვიტორ ბაია, ფერნანდუ კოუტუ, ჟორჟე კოშტა, დიმაში, რუი კოშტა (ნუნუ კაპუშუ 87), პაულუ ბენტუ, კოშტინია (პაულუ სოუზა 46), ფიგუ, სერჟიუ კონსეისაუ, ჟოაუ პინტუ, ნუნუ გომეში (ზა პინტუ 74)

მწვრთნელი: უმბერტუ კოელიუ

თურქეთი: რუშთუ, ტაიფური, ოგიუნი (სერგენი 85), ფათიჰი, ალფაი, ჰაქან უნსალი, ოკანი (ოქთაი 62), ტაიფუნი, ერგუნი, არიფი (სუთაი 62), ჰაქან შუქური

მწვრთნელი: მუსტაფა დენიზლი

გაფრთხილება: ოგიუნი, ოკანი, ჰაქან უნსალი, ფერნანდუ კოუტუ, პაულუ სოუზა, ჟოაუ პინტუ, რუი კოშტა, კოშტინია

გაძევება: ალფაი (29)

მსაჯი: დიკ იოლი (ჰოლანდია)

კარისკენ დარტყმა: 22-5; კარში დარტყმა: 11-3; კუთხური: 11-1; ჯარიმა: 14-15; თამაშგარე: 1-4

თურქთა კარში პირველი გოლის ავტორი და თანაავტორი: ნუნუ გომეში (№21) და ლუიშ ფიგუ

REUTERS ამსტერდამიდან

ფიგარუ

გიორგი დარჯანია

როგორც იქნა, გაირკვა. რა გაირკვა? თურქთა შესაძლებლობების ზღვარი.

ბევრი ფიქრობს, თურქეთი რანაირი ევროპააო, მაგრამ რაკი უეფამ ამ ქვეყანას თავისი სამფლობელოს აღმოსავლეთით მიუწერა ადგილი, ალბათ, ასეცაა. თუმცა ურწმუნოებს რა გამოლევს და თურქებმა, მათთვის თავიანთი ევროპელობის დასამტკიცებლად, წლეულს დასავლეთისკენ სვლა დაიწყეს — ტრიუმფალური სვლა. ჯერ „გალათასარაი“ იყო, რომელმაც იტალიიდან ინგლისამდე ყველა დაამარცხა და თურქეთს პირველი ევროპული ჯილდო მოუტანა. მერე ნაკრებმა გააგრძელა — ბელგიას მშობლიურ „მეფე ბოდუენზე“ სძლია და პორტუგალიის პირისწინ წარდგა.

ბევრჯერ ნათქვამი ჭეშმარიტება ერთხელაც გავიმეოროთ — პლეი ოფში და ჯგუფში თამაში ერთმანეთისგან რამდენადმე განსხვავდება. თუნდაც თურქეთის მაგალითი მოვიშველიოთ. პირველ შეხვედრაში ისინი მსაჯმა დაღუპა — იმ ავადსახსენებელ პენალტზე მოგახსენებთ. მერე ყოველად უსახური თამაში შვედებთან და თურქებს ორ მატჩში მხოლოდ ერთი ქულა დაუგროვდათ. ისინი კი მეოთხედფინალში მაინც გაძვრნენ, სიტუაციის გამოსწორების დრო ჰქონდათ და ამიტომ. აქ კი ყველაფერი 90 წუთში უნდა მოასწრო, ერთი უბრალო შეცდომა და შესაძლოა შინ გამგზავრება მოგიხდეს.

ახლა კი მთავარ სათქმელს — თურქთა შეცდომას მივადგეთ. 16 ივნისს, პორტუგალიასთან შეხვედრის წინადღეს, რუმინელთა თავკაცმა ემერიხ იენეიმ საჯაროდ განაცხადა, მაგათ რომ მოუგო, ფიგუ უნდა ამოკეტოო. რუმინელები ასეც მოიქცნენ და გეხსომებათ, იმ შეხვედრაში ფიგუ მაინცდამაინც არ ბრწყინავდა. მართალია, ერთადერთი გოლი მისი ჩაწოდებით გავიდა, მაგრამ ეს ის შემთხვევა იყო, როცა მეტოქე ცხრა მეტრზე ახლოს ვერ მიუახლოვდებოდა.

ფიგუს ამბავი ჩვენ ვიცით და მუსტაფა დენიზლის, მით უმეტეს, რა ესწავლებოდა. მაგრამ რას გახდნენ მისი ბიჭები? ვერაფერს. ბარსელონელის შესაჩერებლად ერთი რომელიმე თურქი ფეხბურთელის გარჯა ამაო იქნებოდა. ფიგუ იყო ყველგან — მარჯვნივ, შუაში, მარცხნივ. რა გამოდის? მისი მეურვეობა თურქთა მთელ ნახევარდაცვას და დაცვას უნდა ეკისრა. რა მივიღეთ? პორტუგალიელებმა ოცდაორჯერ დაარტყეს მეტოქის კარის მიმართულებით და მათგან სულ რამდენიმე იყო ისეთი, რომლებშიც ფიგუმ თავისი წვლილი არ შეიტანა. ორივე გოლის თანაავტორიც ის გახდა. თუმცა ნუნუ გომეშსაც ნუ დავუკარგავთ დამსახურებას — რომ არა მისი ოსტატობა, პირველი ბურთი ეგებ არც გასულიყო. ისე კი, გომეშმა რაც გაიტანა, ერთი იმდენი კიდევ შეეძლო. ერთხელ მეკარესთან პირისპირ გასულმა კარს ააცილა, ერთხელაც მის ახლოს დარტყმულს მცველმა ფეხი დაუხვედრა, ხოლო ორჯერ (ფიგუს ჩაწოდებულზე) ბურთისთვის ფეხის მიკრა ვერ მოახერხა.

აქამდე სულ პორტუგალიელთა იერიშებზე ვისაუბრეთ, თურქებისა კი არ გვიხსენებია. ეს ძალიან მარტივად აიხსნება — მათ სულ სამჯერ დაარტყეს კარში (აცილებულ ბურთებს არ ვთვლი, თუმცა ესეც ძალიან ცოტა იყო) და მთგან სახიფათო ერთსაც არ ეთქმოდა. და სად იყო ამ დროს თურქთა მეგოლე ჰაქან შუქური? ის გოლის გატანას ყველა ხერხით ცდილობდა. იმას ვგულისხმობ, რომ შუქურს თამაშიდან არაფერი გამოუვიდა და სიმულაციას მიჰყო ხელი. ერთი ასეთი მომენტი იყო — საჯარიმოში შეჭრილი გალათასარაელი სხვათა დაუხმარებლად წაიქცა და მაშინვე მსაჯს მივარდა, მაისურაზე დამჭაჭჩეს და პენალტს რად არ ნიშნავო — ოინმა არ გაჭრა. ისე, ცუღლუტობა კოუტუსაც ეხერხება. ალფაიმ მის მკერდში მუშტის ჩარტყმისთვის წითელი ბარათი დაიმსახურა, პორტუგალიელმა კი ხელები სახეზე აიფარა, აქაოდა, ნახეთ, ლამის ცხვირი გამიტეხაო.

რაკი სიტყვამ მოიტანა, დიკ იოლის მსაჯობაც ვახსენოთ. ჰოლანდიელი არბიტრი გამრჯეც კაცი აღმოჩნდა — ჯიბეში ხელის ცხრაჯერ ჩაყოფა არ დაიზარა და იქიდან ერთხელ წითელი და რვაჯერ ყვითელი ბარათი ამოიღო. სარმების მოყვარულ ფეხბურთელებს ახლა მაინც ეცოდინებათ, რომ იოლს იოლად არაფერი გამოეპარება. თან სიტყვასაც რომ ვერ შეუბრუნებ? ოქანმა, რუი კოშტამ და უნსალმა თავიანთი წილი გაფრთხილებები სწორედ კამათისთვის მიიღეს.

რაღა დავამატოთ? მეოთხედფინალები ვერგატანილი პენალტით დაიწყო და ამითვე დასრულდა. რაულმა იკითხოს, თორემ არიფს რა უშავს — რომც გაეტანა, საეჭვოა, თურქები ნახევარფინალში გასულიყვნენ. გავახსოვს, უეფას თასზე არიფმა ევროპა გააარიფა, ახლა კი თავადაც იგივე დამართა.

მატჩის შემდეგ

მატჩის შემდეგ პორტუგალიელებს შამპანურები არ გაუხსნიათ, მოგებას კიდევ ვაპირებთ და ამის დრო ჯერ არ დამდგარაო. სამაგიეროდ, ჟურნალისტებისთვის გული არ დაუწყვეტიათ და ინტერვიუებსაც ხალისით იძლეოდნენ. **ნუნუ გომეშმა** ორი გოლი კი შეაგდო, მაგრამ კარგი მომენტები სხვაც მრავლად ჰქონდა და ამაზე ისაუბრა: „დღეს ოთხი მაინც უნდა შემეგდო, მაგრამ არ გამომართლა. არა უშავს, რაც დამკლდა ნახევარფინალში გავიტან“. **რუი კოშტამ** კი დაამატა, გომეშმა ინგლისთან მატჩში დიდი საქმე გააკეთა, ახლაც თავი ისახელა და დარწმუნებული ვარ, ასე გააგრძელებსო.

ნუნუ გომეშს უკმაყოფილების მცირე საბაბი თუ დარჩა, **ლუიშ ფიგუ** თავისი თამაშით აბსოლუტურად კმაყოფილი უნდა იყოს, მაგრამ ის საკუთარ თავზე საუბარს ერიდება: „ეს გამარჯვება ჩვენი თაობის ყველა ფეხბურთელის და მთლიანად პორტუგალიური ფეხბურთის წარმატებაა“. ამ დროისთვის პორტუგალიელთა მომდევნო მეტოქის ვინაობა ჯერაც უცნობი იყო, თუმც ჟურნალისტები დაინტერესდნენ, ფიგუ-ზიდანის შესაძლო ორთაბრძოლა, როგორი იქნებაო. ფიგუ: „ზიდანი დიდი ფეხბურთელია. მაგრამ კითხვის ასე დასმა სწორად არ მიმაჩნია. ფიგუ და ზიდანი კი არა, თერთმეტი პორტულაგიელი დაუპირისპირდება თერთმეტ ფრანგს“.

უმბერტუ კოელიუმ საქებარი სიტყვები არ დაიშურა, თავისი ბიჭებისადმი, მაგრამ ეტყობოდა, რომ თავში სულ სხვა აზრები უტრიალებდა: „ძალიან კარგად ვითამაშეთ, თუმცა რამდენიმე კარგი მომენტი გაგვიცუდდა. ახლა ნახევარფინალზე ვფიქრობ და ვიცი, რომ ფინალში გასვლა თუ გვსურს, იქ ამაზე კარგად თამაში მოგვიწევს.“

თურქებს კი რაღა ეთქმოდათ? მათ მინდორზე არაფერი გამოსდიოდათ, თუმცა, როგორც ჩანს, მარცხი ალფაის დაბრალდება. ყოველ შემთხვევაში, **ტაიფურის** სიტყვებიდან ასე გამოდის: „მეტის გაკეთება შეგვეძლო, მაგრამ ათი დავრჩით, რამაც ბევრი სირთულე შეგვიქმნა“.

დაახლოებით ასეთი იყო თურქთა სხვა განცხადებებიც, მაგრამ მათ შორის ერთი ფეხბურთელი მაინც აღმოჩნდა, ვინც წაგებამ ვერ დააღონა. **მაზი იზეტზე** მოგახსენებთ. მართალია, მას პორტუგალიასთან არ უთამაშია, ჯგუფურ ეტაპზეც ძალიან ცოტა ხანი დაჰყო მინდორზე, მაგრამ ამბობს, დიდი გამოცდილება მივიღე და ინგლისში დაბრუნებაც მეჩქარება, იქაურობა ძლიერ მომენატრაო.

პორტუგალიელი რუი კოშტა თურქებმა ვერ შეაჩერეს

REUTERS ამსტერდამიდან

მატჩის სტენოგრამა

19 — ფიგუს მარცხნიდან ჩაწოდებული კუთხური შორეულ ძელთან უმეთვალყურეოდ დატოვებულმა კოშტინიამ მიიღო, მაგრამ დარტყმული რუშთუმ მოიგერია.

22 — ფიგუ მარჯვენა ფლანგზე ორ მცველს გასცდა და საჯარიმოს გარედან უძლიერესად დაარტყა. ბურთი შორეულ ძელს ოდნავ ასცდა.

26 — ოგიუნის საჯარიმოდან ჩაწოდებული ბურთი შუქურმა თავით კარისკენ გადაგზავნა და ააცილა.

28 — მოედნის შუაგულში უნსალის წაქცევისთვის ჟოაო პინტუ გააფრთხილეს.

29 — პორტუგალიელთა საჯარიმოში ალფაიმ კოუტუს მუშტი ჩაარტყა და გააძევეს.

33 — მსაჯთან კამათის გამო ოქანმა ყვითელი ბარათი მიიღო.

37 — არიფთან უხეში თამაშის გამო კოუტუ გააფრთხილეს.

39 — რუი კოშტა თანამსაჯს შეეკამათა, კუთხურის დანიშვნას ითხოვდა. მსაჯმა ის გააფრთხილა.

40 — კოშტინიამ ტაიფუნი უხეშად წააქცია და ყვითელ ბარათს გამოჰკრა ხელი.

42 — ფიგუმ კუთხური ჩააწოდა, რუშთუ გამოსვლაზე შეცდა და კოშტინიას თავური კარს ოდნავ ასცდა.

44 — მარჯვენა ფლანგიდან ფიგუმ საჯარიმოში ჩააწოდა. ნუნუ გომეშმა ნახტომში ბურთი თავით კარისკენ გაგზავნა და — 1:0.

45 — ფიგუსა და რუი კოშტას ბრწყინვალე კომბინაცია ჟოაო პინტუმ უზუსტო დარტყმით დაასრულა.

45 — კოუტუმ საჯარიმოში არიფი წააქცია და პენალტი დაინიშნა. არიფისვე დარტყმული ვიტორ ბაიამ მოიგერია.

50 — ფიგუს მარცხნიდან ჩაწოდებულ ბურთს მეტოქის საჯარიმოში ნუნუ გომეშმა ფეხი აუცილა.

55 — ფიგუს საჯარიმოდან დარტყმული ბურთი ოდნავ ასცდა კარს.

56 — ფიგუ მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოში შეიჭრა, გზად სერგენი ჩამოიტოვა და კარის გასწვრივ ნუნუ გომეშს ჩაანოდა. გომეშს გოლის გატანა არ გაუჭირდა — 2:0.

56 — კამათისთვის მსაჯმა ჰაქან უნსალი გააფრთხილა.

59 — ჟოაო პინტუს საჯარიმოს კუთხიდან დარტყმული ოდნავ ასცდა მარცხენა ძელს.

60 — შეცვლაზე შესული პაულუ სოუზა არიფთან უხეში თამაშის გამო გააფრთხილეს.

66 — ჟოაო პინტუს თავური მარჯვენა დაბალ კუთხეში გადიოდა, მაგრამ თურქები ჟორჟე კოშტამ გადაარჩინა — ფეხის ნაკვრის ნაცვლად ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა.

70 — მარცხენა ფლანგიდან ფიგუმ ნუნუ გომეშს ჩააწოდა. რუშთუ მას ფეხებში ჩაუვარდა, მაგრამ გომეშმა დარტყმა მოასწრო, თუმცა ოდნავ უზუსტოდ.

80 — ბენტუ მარჯვენა ფლანგიდან მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ რუშთუმ აიღო.

83 — თურქთა კაპიტანი ოგიუნი თანამსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს.

85 — ჰაქან უნსალმა წინ გამოსული ბაია შენიშნა და 50 მეტრიდან დაარტყა. ბურთი ოდნავ გადასცდა ხარიხას.

და ჰაჯი ისტორიის გვირაბში შეჭიდა

REUTERS ბრიუსელიდან

რუმინელი ვიორელ მოლდოვანისა და იტალიელი მარკ იულიანოს (№15) ცეკვა საკვირველი

მსაჯებმა ჩემპიონატზე აშკარად მოისუსტეს, ეს არა მარტო დღევანდელ მატჩს, არამედ მთელ ტურნირს ეხება“. იენეის აზრით, ოთხი წამყვანი მოთამაშის ტრავმებმა თუ დისკვალიფიკაციამ მის გუნდზე ცუდად იმოქმედა: „ისინი რომ მოედანზე ყოფილიყვნენ, სულ სხვა შედეგი იქნებოდა, დღეს ორი ძლიერი გუნდის შეხვედრა ვიხილეთ, იტალიამ მოიგო, რადგან მათ შანსები მაქსიმალურად გამოიყენეს“.

მეოთხედფინალი

ბრიუსელი
24 ივნისი
23.45 საათი
მეფე ბოდუენი
48 000 (ტევადობა 50 000)

რუმინეთი 0:2 იტალია

0:1 ტოტი (33), 0:2 ინძაგი (43)

რუმინეთი: სტელია, კივუ, ჩობოტარიუ, ფილიპესკუ, ბელოდედიჩი, მუნტეანუ, პეტრე, გალკა (ლუპესკუ 68), ჰაჯი, მოლდოვანი (განეა 54), მუტუ

მწვრთნელი: ემერიხ იენეი

იტალია: ტოლდო, მალდინი (პესოტო 46), კანავარო, ნესტა, იულიანო, კონტე (დი ბიაჯო 56), ძამბროტა, ალბერტინი, ფიორე, ინძაგი, ტოტი (დელ პიერო 75)

მწვრთნელი: დინო ძოფი

გაფრთხილება: ალბერტინი, ჰაჯი

გაძევება: ჰაჯი (59)

მსაჯი: ვიტორ მანუელ მელო პერეირა (პორტუგალია)

კარისკენ დარტყმა: 8-6; კარში დარტყმა: 4-3; კუთხური: 6-4; ჯარიმა: 21-25; თამაშგარე: 1-9

ილია გაბუნაშვილი
ბრიუსელიდან

არა, „მეფე ბოდუენის“ მინდორზე ჩვენს მომავალ მეტოქეებს არ უთამაშიათ, ევრო 2000-ის მეოთხედფინალისტები ებრძოდნენ ერთმანეთს. და კიდევ: ამ მატჩის შესახებ წერილის დაწერა გაცილებით იოლია იტალიელი, რუმინელი, ისლანდიელი და სადაურიც გნებავთ ჟურნალისტისთვის, ვიდრე ქართველისთვის.

ახლავე მოგახსენებთ, რატომაც. ჯერ ერთი, მატჩი რომ მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფის გაუთვალისწინებლად მიმოვიხილო, სწორი არ ვიქნები. ბოლოს და ბოლოს, ამ შემოდგომაზევე საქართველოს ნაკრებს იტალიაში აქვს სათამაშო. კონკრეტულად ამ შეხვედრის მიხედვით ვიმსჯელოთ ჩვენი გუნდის იტალიელებთან და რუმინელებთან მომავალ დაპირისპირებებზე და საკუთარ თავთან ვიცრუებ. ვიცრუებ, რადგან, ერთი რომ, კარგად მომეხსენება, ერთიცა და მეორეც ევროპის ჩემპიონატისთვის საგანგებო პროგრამით მოემზადნენ და ორი-სამი თვის მერე ასეთ ფორმაში სულაც არ იქნებიან; მეორეც, რუმინეთის გუნდის აღიარებულმა ვარსკვლავებმა წესით დღეიდან, ასე ვთქვათ, ბუცები ლურსმანზე უნდა ჩამოკიდონ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს, ფაქტობრივად, სხვა მეტოქე შეხვდება. და მესამე, რაც უნდა ვთქვა, ეჭვი არ მეპარება, ძალიან ბევრი გულშემატკივარი ჩაიხითხითებს, ეს კაცი რეებს ამბობს, იტალიაცა და რუმინეთიც მოედანზე სულ რომ პრ გავიდეს, საქართველოს მაინც მოუგებსო.

ამიტომაც ვიწყებ ასე: „მეფე ბოდუენზე“ ჩვენს მომავალ მეტოქეებს არ უთამაშიათ, იქ ერთმანეთს ევრო 2000-ის მეოთხედფინალისტები ებრძოდნენ. ვისაც როგორ სურს, ისე გაიგოს.

... „მეფე ბოდუენზე“ პირველი, რაც თვალში მეცა, ხალვათობა იყო. აქეთ კარის უკან იტალიელები, იქით რუმინელები, პრეს-ლოჟაში ჟურანლისტები, სხვაგან კი შესაძრწევი რაოდენობით ცარიელი სკამები. მეორე თვალისაცემი გეორგე ჰაჯის გადახტრილი თავი გახლდათ, მესამე რუმინელთა გუნდში ჯიკა პოპესკუს არყოფნა, მეოთხე იტალიის ნაკრებში კვლავ მოთამაშე ფრანჩესკო ტოტი, რომლის ნაცვლადაც დინო ძოფს თითქოს ალესანდრო დელ პიერო უნდა გაეყვანა და მეხუთე: როდესაც მსაჯმა, პორტუგალიელმა ვიტორ მანუელ მელო პერეირამ თავისთან კაპიტნები დაიტოვა და მონეტა ააგდო, იმის მიხედვით, მატჩამდე რომელი გუნდი მოედნის რომელ მხარეს გახურდა, ფეხბურთელები მიმოიფანტნენ ბრძოლის წინ ხელ-ფეხის ერთხელაც გასაჭიქვად, მაგრამ „სკუადრა აძურას“ მეკარე ფრანჩესკო ტოლდო შორიახლოს ტრიალებდა, არ ჩქარობდა კარისკენ გაქცევას. აქ კაცი ბუნებრივად მხოლოდ ერთს თუ იფიქრებდი, იტალიელებს პირველ ტაიმში კარგად დაცდილი საპირისპირო მხარეს შეტევა აქვთ და თავიანთი კაპიტნისგან, პაოლო მალდინისგან კარის არჩევას ელიან. ამიტომაც არ ჩქარობდნენ პრესლოჟისგან მარცხენა ნაწვარზე დაფუძნებას. ისე ყველაფერი აგიხდეთ.

შეხვედრა ფრთხილად დაიწყო. დაახლოებით 16-18 წუთი მეტოქეები გამწვავებას ერიდებოდნენ, რაც იქნებ ძალიან ლამაზი სანახავი არც იყო, მაგრამ მათ ურთიერთპატივისცემას ადასტურებდა. ორივე გუნდმა იცოდა, რომ მოწინააღმდეგე ტექნიკურია და ნებისმიერ წამს შეუძლია რაღაც განსხვავებული მოიმოქმედოს. მიუხედავად ამისა, ცალკეული ნაპერწკლები ამ მონაკვეთშიც გავარდა, რაც „სკუადრა აძურას“ რამდენიმე მოთამაშის კარგი პასების შედეგი გახლდათ.

გახსოვთ დისკუსია რობერტო ბაჯოს თემაზე? იტალიელი მწვრთნელები ამტკიცებდნენ და ამტკიცებენ (ჩვენს შემთხვევაში დინო ძოფი), რომ პასების განაწილების ერთი კაცისთვის დავალებას (და მისი მოწინააღმდეგის დევნისგან განთავისუფლებას) ჯობს ცოტ-ცოტა ყველა ნახევარმცველი გამთამაშებელი იყოს. რობერტო ბაჯოსადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ძოფისეულ გუნდში მე ამას ვხედავ. დემეტრიო ალბერტინი, სტეფანო ფიორე და ტოტი (თუმცა ტოტი ფორვარდია, რომელიც უკან ჩადის) პასის დიდი ოსტატები გახლავან და იტალიამ რუმინეთი რომ „გახსნა“, დიდწილად, ალბათ, სწორედ ამ გადაცემების დამსახურება გახლდათ.

დაახლოებით 25-ე წუთიდან ლურჯების უპირატესობა აშკარა გახდა, რასაც მალე მოწინააღმდეგის საჯარიმოსთან ბურთის ტრიალი და ფიორეს პასით ტოტის გოლი მოჰყვა.

მაგრამ ზემოთ ოსტატობა და ნებისმიერ წამს შესაძლო ხიფათი ვახსენეთ. ტოტის გოლი იყო და რუმინელებმა დიდოსტატური კომბინაცია გაითამაშეს, რომლის ბოლო აკორდი ტოლდოს კარიდან გამოვარდნა, მაგრამ ჰაჯის ერთშეხებიანი დარტყმა და... ძელი გახლდათ. რომ გასულიყო, ვინ იცის, მერე რა მოხდებოდა, მაგრამ ასეთია ფეხბურთი.

დაბოლოს, დაახლოებით 15-წუთიანი თვალსასეირო მონაკვეთი „სკუადრა აძურას“ მეორე გოლით დასრულდა: ალბერტინის საუცხოო პასით ინძაგიმ ბურთი ბოგდან სტელიას კარში შეაგდო.

შესვენების შემდეგ მოედანზე აღარ გავიდა იტალიელთა კაპიტანი მალდინი, რომელიც ძოფს ჯანლუკა პესოტოთი შეეცვალა.

მერე კი დაიწყო, დავარქვათ ასე, ჰაჯიადა. ჯერ იყო და, „კარპატელმა მარადონამ“ იოან განეას ჩინებული მომენტი შეუქმნა, მაგრამ სანამ განეა კარში დარტყმისთვის ბურთის მარჯვენა ფეხზე გადატანას ლამობდა, შესაძლებლობა ჩაიშალა. შემდეგ იმავ ჰაჯიმ ანტონიო კონტესთან ორთაბრძოლისას ილეთი მოხერხებულად ვერ შეასრულა და საბრალო იტალიელს ფეხი მარჯვენა კოჭში ისე ჩასცხო, ის მოედნიდან საკაცით გასაყვანი გახდა, ხოლო კიდევ ერთი ხნის შემდეგ მოწინააღმდეგის საჯარიმოში თაღლითობა და მსაჯისთვის პენალტის გამოტყუება სცადა. ჯანლუკა ძამბროტასთან სულ ოდნავი კონტაქტი (ფაქტობრივად, ის შეხებაც არ იყო) ლამაზად გააფორმა და წაიქცა, რისთვისაც მეორე ყვითელი ბარათი ანუ მოედნიდან გაძევება გამოიმუშავა.

წითელმა ბარათმა ჰაჯი გაახელა, თუმც საბოლოოდ განკარგულებას დაემორჩილა და მოედნიდან გავიდა, თან გზად დინო ძოფს ვარსკვლავური ღირსებით ჩამოართვა ხელი. ხალხმა კი (არა მხოლოდ რუმინელებმა მსოფლიო ფეხბურთის ისტორიისკენ, მიმავალი დიდი მოთამაშე ოვაციით გააცილა.

ჰაჯგაძევებულმა რუმინეთმა ერთხელაც მოიკრიბა ძალა და დაწინაურებულთა კართან რამდენიმე სახიფათო სვლა ჩაატარა, მაგრამ ეს იყო და ეს.

ამის შემდეგ ალბერტინის ორი პასი ინძაგიმ ერთხელ ბურთის ძელისთვის გარტყმით, მეორედ კი აცილებით დაასრულა და... ერთი ხნის მერე თანდათან დაძაბულობამომატებული შეხვედრა დასრულდა.

REUTERS ბრიუსელიდან

რუმინელმა ადრიან მუტუმ იტალიელ ფაბიო კანავაროს (№5) დაასწრო

მატჩის შემდეგ

იტალიელთა თავკაცი **დინო ძოფი** გამარჯვებით კმაყოფილი იყო და თავისი შეგირდებიც შეაქო. „რუმინელებთან თამაში ჩვენთვის ძალიან რთული იყო, ისინი ტაქტიკურად გააზრებულ და შემტევ ფეხბურთს თამაშობენ. მომავალში ბურთის ფლობა უნდა გამოვასწოროთ. გუნდის მჯერა, მწამს, ჩვენს სიძლიერეს მომავალ შეხვედრებშიც დავამტკიცებთ. ჩემპიონატის დაწყებამდე ნაკრებს ბევრს აკრიტიკებდნენ, თუმცა ტურნირის დასრულების შემდეგ ამის საბაბი აღარ ექნებათ“. „სკუადრა აძურას“ თავკაცმა გუნდის წამყვანი მოთამაშეების ტრავმებზეც ისაუბრა, პაოლო მალდინის კუნთი დაეჭიმა, ანტონიო კონტემ კი კოჭი დაიზიანა, საბოლოო დასკვნებს სულ მალე ექიმებისგან შევიტყობთო.

რუმინელთა თავკაცმა **ემერიხ იენეიმ** თავისი გუნდის მარცხი ცუდი მსაჯობით ახსნა. მისი განცხადებით, გეორგე ჰაჯის გაძევება ერთობ სადაო იყო. „კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ

მატჩის სტენოგრამა

8 — ტოტიმ ფიორეს მოხდენილად გადაუგდო ბურთი, ამან კი ინძაგის უპასა, ფილიპოს დარტყმულს რუმინელი გალკა ფეხებში ჩაუვარდა.

12 — ფიორემ საჯარიმოში ჩააწოდა, სტელიამ ბურთი საჯარიმოს ხაზთან მოიგერია, იტალიელი ტოტი კი მსაჯს ანიშნებდა, მეკარე ბურთს გარეთ შეეხოო.

17 — ტოტიმ თითქმის პირით ხაზიდან, კუთხურის ალამთან მიწაზე დაუშვებლად დაარტყა კარში, სტელია ბურთს დაეუფლა.

28 — ინძაგის კარგი პასით რუმინელთა საჯარიმოში მარჯვნიდან შევარდნილი ფიორე ურტყამდა, არაზუსტად.

30 — ჰაჯიმ მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში დაბალი ბურთი ჩააწოდა, ტოლდომ მოლდოვანს წამით დაასწრო და ბურთიც არ დაანება.

31 — ინძაგი სტელიასთან პირისპირ რჩებოდა, ბელოდედიჩმა თავდამსხმელს ტანი ჩაუდგა, ბურთიც აართვა და ხიფათიც განმუხტა.

32 — პეტრეს შეუჩერებლივ დარტყმული მალდინიმ ოდნავ აისხლიტა, ტოლდო ადგილზე იყო.

33 — რუმინელები ხელოვნური თამაშგარეს შექმნისას შეცდნენ, ფიორემ ტოტის გადაუგდო ბურთი. იგიც სტელიასთან პირისპირ დარჩა და ჩინებული შანსი ხელიდან არ გაუშვა — 0:1.

36 — მუტუმ დაახლოებით 60-მეტრიანი ჩინებური პასი მიაწოდა ჰაჯის, ამანაც მის შესახვედრად კარიდან გამოვარდნილ ტოლდოს თავზე გადაუგდო, გოლი... იტალია ძელმა იხსნა.

37 — ტოტის შეეძლო, მეორე გაეტანა, სტელიას მახვილი კუთხიდან ტექნიკურად დაურტყა, ბურთმა მეკარისგან მარცხენა ძელს ჩაუქროლა.

39 — ჰაჯიმ ჯარიმისას ბურთი მუნტეანუს დაუგორა, მისი დარტყმული ფიორემ ზურგით უკუაგდო, გადმოვარდნილს გალკამ ყუმბარისებური მოჭრილი დარტყმა შეაგება, რომელიც სახიფათო, მაგრამ ოდნავ არაზუსტი გამოდგა.

43 — ალბერტინი პასს აკეთებდა, ბურთი რუმინელმა ფილიპესკუმ აისხლიტა და ინძაგიც მეკარესთან პირისპირ დარჩა, პიპოს სტელიას გამწარება არ გასჭირვებია — 0:2.

57 — შეცვლაზე შესული განეა ურტყამდა, მოიერიშეს პესოტო ჩაუვარდა და ხიფათიც განმუხტა.

59 — ჰაჯი საჯარიმოში წაქცევისთვის პენალტს ითხოვდა. პორტუგალიელმა არბიტრმა ეს სიმულაციად მიიჩნია და რუმინელი მეორედ გააფრთხილა, რასაც ავტომატური წითელი ბარათი მოჰყვა.

63 — ჩობოტარიუს ათიოდე მეტრიდან დარტყმულს იულიანო გადაეღობა.

65 — მუტუ კანავაროსაც გასცდა და ნესტასაც, თუმცა მეკარე ტოლდოს ვერ აჯობა, იტალიელმა ფეხებში ვარდნით აართვა ბურთი რუმინელს.

67 — ალბერტინიმ ინძაგის ჩინებული პასი მისცა, მანაც ბურთი დაამუშავა, გაისწორა და დაარტყა, რუმინეთი სტელიამ ვერა, მაგრამ ძელმა კი იხსნა.

78 — ისევ ალბერტინი და ინძაგი, ამ უკანასკნელის დარტყმა არაზუსტი გამოდგა.

85 — დელ პიეროს მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებულს ინძაგიმ საკმაოდ არაზუსტი თავური შეაგება.

88 — განეა დრიბლინგით კანავაროსა და იულიანოს გასცდა, ბოლოს ძალა არ ეყო და მომენტიც დაიკარგა.

მეოთხედფინალი

როტერდამი
25 ივნისი
21.00 საათი
ფეიენოორდი
44 000 (ტევადობა 52 000)

ჰოლანდია 6:1 იუგოსლავია

1:0, 2:0, კლუივერტი (24, 38), 3:0 გოვედარიცა (51ს.კ.), 4:0 კლუივერტი (54), 5:0, 6:0 ოვერმარსი (78, 90), 6:1 მილოშევიჩი (90)

ჰოლანდია: ვან დერ სარი (ვესტერფელდი 65), ბოსველტი, სტამი, ფ. დე ბური, ნუმანი, ზენდენი (რ. დე ბური 80), დავიდსი, კოკუ, ოვერმარსი, ბერხკამპი, კლუივერტი (მაკაი 60)

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

იუგოსლავია: კრალი, მიხაილოვიჩი, კომლიენოვიჩი, საველიჩი (ი. სტანკოვიჩი 56), ჯუკიჩი, იუგოვიჩი, სტოიკოვიჩი (დ. სტანკოვიჩი 53), გოვედარიცა, დრულოვიჩი (კოვაჩევიჩი 70), მიატოვიჩი, მილოშევიჩი

მწვრთნელი: ვუიადინ ბოშკოვი

გაფრთხილება: ბოსველტი

მსაჯი: ხოსე მარია გარსია არანდა (ესპანეთი)

კარისკენ დარტყმა: 8-3; კარში დარტყმა: 16-4; კუთხური: 4-0; ჯარიმა: 22-14; თამაშგარე: 3-6

სოლომონ გულისაშვილი

REUTERS როტერდამიდან

ჰოლანდიელი ფრანკ დე ბური (№4) და იუგოსლავიელი სავო მილოშევიჩი

ჰოლანდია ნატოა?

ევრო 2000-ის მთავარმა ფავორიტებმა ჰოლანდიელებმა, როგორც იქნა, საჩემპიონო თამაში აჩვენეს, იუგოსლავიას ექვსი ბურთი გაუტანეს და ამით, თავისებური რეკორდიც დაამყარეს: ევროპის ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ერთ გუნდს მეორისთვის ექვსჯერ არასოდეს გაუტანია... თუმცა, სიმართლე რომ ვთქვათ, ნიდერლანდელთა გალაღება ბალკანელთა უსუსურობის ბრალი უფრო იყო, ვიდრე „ნარინჯისფერთა ფანტასტიკური“ წარმოდგენისა.

ჰოლანდიამ იუგოსლავია ისე დაბომბა, როგორც შარშან ნატომ. პატრიკ კლუივერტმა და მარკ ოვერმარსმა საცოდავ ბალკანელებს შავი დღე აყარეს. მართალია, თავიდან კლუივერტს ოთხი გატანილი გოლი ჩაეთვალა, მაგრამ ნამატჩევს თვითონვე აღიარა, რომ ერთი შეცდომით მიაწერეს: „ბურთი საკუთარ კარში გოვედარიცამ შეაგდო. ამიტომ, შემრცხვა, როცა ჰოკერის ავტორად გამომაცხადეს“ — უცნაურია არა, კლუივერტის ხასიათის კაცისგან ასეთი ალალი განცხადება, მაგრამ, ვინძლო დაუოკებელ პატრიკს შორსმიმავალი ზრახვები ჰქონდეს... გუშინ უეფამ ეს გოლი ოფიციალურად მიაწერა გოვედარიცას.

საქმე კი ასე იყო, თავიდან იუგოსლავიელები ერთგვარ უპირატესობას ფლობდნენ და ანგარიშიც უნდა გაეხსნათ: სავო მილოშევიჩმა ორი მოწინააღმდეგე მოატყუა და საჯარიმოში ჩაჰკიდა, მაგრამ ჩინებულ მდგომარეობაში მყოფ პრედრაგ მიატოვიჩს მეკარემ აჯობა. ეს იყო ეპიზოდი, რომელსაც მატჩის ბედი, შესაძლოა თავიდან ბოლომდე განსაზღვრა, მაგრამ... სხვათა შორის, ორი წლით წინათ, საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალში ჰოლანდიამ იუგოსლავიას 2:1 მოუგო და მაშინ მიატოვიჩმა პენალტი ზარიხას გაარტყა... იღბალს სად გაექცევი.

ეს იყო და ეს, მერე ჰოლანდიელებმა იძალეს. გოლი ნელ-ნელა მწიფდებოდა, ჯერ ბერხკამპის დარტყმა მოიგერია კრალმა, მერე დავიდსმა ზარიხას სულ ახლოს გადააცილა და ისევ ბერხკამპი: გამოზომილი პასი, კლუივერტმა ბურთი გაშლილი ფეხის წვერით ოსტატურად მიიწება და პირველი შეაგდო. ოღონდ გაურკვეველია, რა უნდოდა ამ დროს იუგოსლავიელთა მეკარეს კარის ხაზზე? ფაქტია, გამოსვლაზე თამაში კრალის ძლიერი მხარე არაა.

აი, ასე დაიწყო ყველაფერი, მერე კი მიჰყვა და მიჰყვა... ბალკანელებმა ბოლოსკენლა ინამუსეს, როცა მიატოვიჩის უძლიერესმა დარტყმამ მასპინძელთა ხარიხა შეაზანზარა, ასხლტილ ბურთს ტურნირის ერთ-ერთმა საუკეთესო მეგოლემ, სავო მილოშევიჩმა სხვებზე ადრე მიუსწრო და... 6:1

ჰოლანდიამ ევროპის ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე დიდი ანგარიშით დამთავრებულ მატჩებს ერთიც მიამატა. მანამდე, 1984-ში, საფრანგეთმა ბელგიას 5:0 მოუგო, ხოლო დანიამ იმავე იუგოსლავიას ამავე ანგარიშით. პატრიკ კლუივერტი ამ ტურნირზე მეორე ფეხბურთელია, ვინც ჰეთ-თრიქის შესრულება შეძლო, პირველი პორტუგალიელი სერჟიო კონსეისაუ გახლდათ, რომელმაც გერმანელებს სამჯერ გაუტანა. მანამდე კი, ევროების ფინალურ ეტაპებზე ჰეთ-თრიქები გერმანელებს კლაუს ალფსსა და დიტერ მიულერს, აგრეთვე ჰოლანდიელ მარკო ვან ბასტენს გაუხერხებიათ, ფრანგი მიშელ პლატინი კი ჯერჯერობით ერთადერთად რჩება, ვინც 1984-ში, ერთი ტურნირის განმავლობაში სამი ბურთის გატანა ორჯერ მოახერხა.

ახლა გამარჯვებულებზე ვთქვათ. ნათელი იყო, რომ თამაშის შედეგი დიდწილად მათ მდგომარეობაზე იქნებოდა დამოკიდებული. მანამდე „ნარინჯისფერებს“ ხეირიანი თამაში ვერ ეჩვენებინათ: ჩეხებთან საეჭვო პენალტით მოიგეს, დანიასთან მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდში გაიხსენეს რომ ჰოლანდიელები არიან, საფრანგეთის მეორე გუნდთან მატჩი ხომ სათვალეში ჩასაგდებიც არაა. „ნარინჯისფერებს“ არც იუგოსლავიასთან უჩვენებიათ რაღაც განსაკუთრებული, უბრალოდ, მეტოქე იყო ძალიან სუსტი...

მოკლედ, ჰოლანდია ნახევარფინალში ისე გავიდა, ჯერ სერიოზული გუნდის წინააღმდეგობას არ წაწყდომია, ისევე, როგორც მისი მომავალი მეტოქე იტალია. ასე რომ, ისინი ერთმანეთისთვის კარგ სასინჯ ქვებადაც გამოდგებიან და ნახევარფინალიც საინტერესო უნდა გამოვიდეს.

იუგოსლავიელებს კი რა... მათ დაცვაში დიდი პრობლემები ჰქონდათ. ჯოროვიჩი დაშავებული გახლდათ, ჯუკიჩი კი მწვრთნელმა ცენტრიდან მარცხენა ფრთაზე გადაიყვანა და როგორც მოვლენათა განვითარებამ გვიჩვენა, ჯაში სწორედ დაცვის ცენტრი გამოდგა ბალკანელთა აქილევსის ქუსლი.

და ერთიც. ალბათ უფრო მნიშვნელოვანი: იუგოსლავიელებმა გადამწყვეტი მომენტში ბრძოლისუნარიანობა ვერ გამოაჩინეს, ანუ ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლდნენ აღმოსავლური, ანუ სოციალისტური მენტალიტეტისგან, რომელსაც არაპროფესიონალიზმი ჰქვია.



REUTERS როტერდამიდან

ჰოლანდიელმა დენის ბერხკამპმა იუგოსლავიელებს სინიშა მიხაილოვიჩს (№11) და მიროსლავ ჯუკიჩს აჯობა (№5)

მატჩის შემდეგ

უდავოა, შთამბეჭდავი გამარჯვების შემდეგ ჰოლანდიის ნაკრების თავკაცი **ფრანკ რაიკარდი** ნასიამოვნები იყო. მწვრთნელს აღტაცება არ დაუმალავს: „ასეთი ბრწყინვალე თამაშის შემდეგ, ცხადია, კმაყოფილი ვიქნები. მსურს, ჩემი გუნდი შევაქო, მათ მოინდომეს და მოლოდინი გაამართლეს. პირველი ტაიმი 2:0 მოვიგეთ, თუმცა გამარჯვება განაღდებული არ გვქონია — იუგოსლავია ხომ ყოველთვის ბოლომდე იბრძვის. საკმარისია, ამ დროს ერთი შეცდომა დაუშვა, რომ ყველაფერი შენს წინააღმდეგ შემობრუნდება. როცა მეორე ნახევარი დაიწყო და გოლი გავიტანეთ, მივხვდი, ყველაფერი დასრულდა, ჩვენ მოვიგეთ“.

იუგოსლავიელთა თავკაცმა **ვუიადინ ბოშკოვმა** განაცხადა: „ჰოლანდიამ საუცხოოდ ითამაშა, თუმცა გაუმართლათ კიდეც. პირველი გოლის გატანის შანსი ჩვენ გვქონდა, მაგრამ შესაძლებლობა ხელიდან გავუშვით. მეტს ვერაფერს ვიტყვი, მეტოქეს შევაქებ და მივულოცავ. ჰოლანდიელებთან თამაში მათ მოედანზე, მათი ერთგული გულშემატკივრის თვალწინ მართლაც ძნელია. ვგონებ, ევროპის ჩემპიონატზე მაინც წარმატებით ვიასპარეზეთ, ევროპაში მერვე გუნდი მაინც ხომ გვყავს“.

მატჩის უდავო გმირი **პატრიკ კლუივერტი**: „შედეგი მოულოდნელი იყო. თამაში სრულებით მობილიზებულებმა დავიწყეთ და ასევე დავასრულეთ, ბევრისთვის ეს დაუჯერებელიც იყო. ახლა ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი ვარ, თუმცა ეს არაფერს ნიშნავს. მთავარია, ჩემპიონები გავხდეთ“.

მატჩის სტენოგრამა

11 — პრედრაგ მიატოვიჩის ნაქცევისთვის დანიშნული ჯარიმა სინიშა მიხაილოვიჩმა დაარტყა. „ლაციოს“ მცველმა სახიფათოდ ჩააწოდა, ედვინ ვან დერ სარმა აკრობატულ ნატტომში ბურთი მოიგერია.

16 — სავო მილოშევიჩმა მეურვეები ეფექტურად ჩამოიშორა და საჯარიმოს სიღრმეში პრედრაგ მიატოვიჩს პასი გადააწოდა, ფორვარდმა დაარტყა, მაგრამ ვან დერ სარმა იყოჩაღა, თავისი გუნდი აშკარა გოლისგან იხსნა.

17 — იუგოსლავიელთა სახიფათო იერიშს ჰოლანდიამ შეტევითვე უპასუხა. დენის ბერხკამპის ძლიერი დარტყმული ივიცა კრალმა მოიგერია, კლუივერტმა და ოვერმარსმა დამატებაზე ვერ იყოჩაღეს.

20 — ედგარ დავიდსისა და დენის ბერხკამპის კომბინაცია ამ უკანასკნელის დარტყმით დასრულდა, ამჯერადაც კრალმა გამოიჩინა თავი, თავისი გუნდი გადაარჩინა.

24 — პატრიკ კლუივერტმა დენის ბერხკამპის პასი მიიღო, ერთი შეხებით გაისწორა და დაარტყა, ივიცა კრალი ვეღარაფერს გახდა, ჰოლანდია დაწინაურდა 1:0.

30 — იუგოსლავიელთა კარს ამჯერად არტურ ნუმანმა შეუტია, მარცხენა ფრთიდან შეიჭრა და ძლიერად დაარტყა, მეკარემ ბურთი მოიგერია.

32 — სინიშა მიხაილოვიჩს ანგარიშის გათანაბრების შანსი ჰქონდა, ჰოლანდიელთა საჯარიმოს მისადგომებთან ჯარიმა დაინიშნა, „ლაციოს“ მცველმა სახიფათოდ დაარტყა, მაგრამ ვან დერ სარმა იყოჩაღა.

38 — ედგარ დავიდსის პასი კლუივერტმა ზუსტად გამოიყენა და გოლი გაიტანა, ჰოლანდია უკვე ორი ბურთით დაწინაურდა, აშკარა გახდა, რომ მასპინძლები უპირატესობას ხელიდან აღარ გაუშვებდნენ.

51 — პოლ ბოსველტი მარჯვენა ფრთიდან სახიფათოდ შეიჭრა, ჩაანწოდა, ბურთი იუგოსლავიელ დეიან გოვედარიცას მოხვდა და კარში შეგორდა, თავიდან გოლი პატრიკ კლუივერტს ჩაეთვალა, თუმცა, შემდეგ უეფამ აზრი შეიცვალა.

54 — პატრიკ კლუივერტმა ბუდევინ ზენდენის აქტიურობა დააფასა ერთიც გაიტანა.

78 — მარკ ოვერმარსის მეხუთე გოლი ერთობ ეფექტური გამოდგა. „არსენალის“ ფორვარდმა ერთი შეხებით ბურთი დაამუშავა და იუგოსლავიელთა კარისკენ ძლიერად დაარტყა, ანგარიში გამანადგურებელი გახდა 5:0.

90 — ფილიპ კოკუს დარტყმული ძელს მოხვდა, მარკ ოვერმარსმა დამატებაზე ზუსტად ითამაშა და დუბლი შეასრულა 6:0.

90 — იუგოსლავიამ ერთი გოლი მაინც გაიტანა, მიატოვიჩის დარტყმული ხარიხას მოხვდა, მილოშევიჩმა კი ბურთი კარში გადაგზავნა, ფორვარდმა ჩემპიონატზე მეხუთედ გაიტანა, მაგრამ ამაოდ.

მეოთხედფინალი

ბრიუგე
25 ივნისი
23.45 საათი
ჟან ბრეიდელი
30 000 (ტევადობა 30 000)

ესპანეთი 1:2 საფრანგეთი

0:1 ზიდანი (32), 1:1 მენდიეტა (38პ), 1:2 ჯორკაეფი (44)

რაულმა ვერ გაიტანა პენალტი (90, აცილა)

ესპანეთი: კანისარესი, სალგადო, არანსაბალი, პაკო, აბელარდო, გვარდიოლა, მუნიტისი (ეჩებერია 73), ელგერა (ხერარდი 77), მენდიეტა (ურსაისი 57), რაული, ალფონსო

მწვრთნელი: ხოსე ანტონიო კამაჩო

საფრანგეთი: ბარტეზი, ტურამი, ლიზარაზუ, ბლანი, დესაი, ვიეირა, დეშამპი, ჯორკაეფი, ზიდანი, ანრი (ანელკა 82), დიუგარი

მწვრთნელი: როჟე ლემერი

გაფრთხილება: სალგადო, გვარდიოლა, ალფონსო, პაკო, დეშამპი

მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)

კარისკენ დარტყმა: 4-4; კარში დარტყმა: 4-4; კუთხური: 6-5; ჯარიმა: 20-32; თამაშგარე: 3-0



ზურაბ მეძველია
ბრიუგედან

REUTERS ბრიუგედან

დიდი კაცი: ზინედინ ზიდანი

ჟოსპენალტი ბეწვის ხიდზე

მატჩს, რომელსაც თავხოტორა პიერლუიჯი კოლინა მსაჯობს, „მშვიდობიანი“ დამთავრება არ უწერია. ცნობილ ბარსელონურ ფინალს რომ თავი ვანებოთ, აგერ, ამ ჩემპიონატზე, ჯერ იყო და, ჰოლანდია-ჩეხეთის თამაში დააგვირგვინა პენალტით, კვირას კი, ბოლო მეოთხედფინალის წამატებულ წუთებში მსოფლიოს ჩემპიონთა კარში ერთ მატჩში მეორე თერთმეტმეტრიანი დანიშნა.

ვითომ კვლავ ეშველა ესპანეთს? კაპიტანი აბელარდო, ისევე როგორც იუგოსლავიასთან ზღაპრულ შეხვედრაში, ამჯერადაც საეჭვოდ წაიქცა, მსაჯმა ამჯერადაც თეთრი ნიშნულისკენ მიუთითა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იმ დროისთვის მოედანზე აღარ იყო გაისკა მენდიეტა, აქამდე ესპანელთა ორივე პენალტის უბადლოდ შემსრულებელი.

სანამ ფრანგები ივიშვიშებდნენ, ჩემგან ზუსტად 12 სკამით მარცხნივ საფრანგეთის პრემიერ-მინისტრ ლიონელ ჟოსპენს გავხედე. მეულლესთან და მცველთა ექვსკაციან ჯგუფთან ერთად გახლდათ. თანამემამულეთა ორივე გოლზე წამოხტა და ბედნიერი ხარობდა. მადამ ჟოსპენი, როგორც ყველა ქალი, უფრო მეტად გამოხატავდა ემოციებს, მაგრამ ამჯერად თმათეთრა პრემიერ-მინისტრი გაქვავებული სახით იჯდა და ერთ წერტილს მისჩერებოდა. რომელს, გასაგებია. ასეც დავრჩით ორივე, სანამ...

დიპლომატიაც ამას ჰქვია — შენების წარმატებით გახარება, ალბათ, დაშვებულია, მაგრამ სხვების უბედურებაზე არ უნდა იხაროთ. ტრიბუნებმა იზუკეს, ჟოსპენი კი ისევე დარჩა, როგორც იყო. მხოლოდ მისი მეულლის წამოხტომამ და ამათ გვერდში მსხდომი ესპანელი მინისტრების თავში ხელის წაშენამ მიმახვედრა, რომ რაულმა ვერ გაიტანა. ავხედე პრესლოჟის ტელევიზორს და ვნახე, რომ რაულმა ააცილა. ისევ მარცხნივ გავიხედე და მომეჩვენა, რომ იმ დღეს „ჟან ბრეიდელზე“ მყოფთაგან ყველაზე მნიშვნელოვანმა კაცმა (თუ ზიდანს არ ჩავთვლით) შვებით მაშინღა ამოისუნთქა.

ამასობაში ესპანელებმა მორიგი, როგორც აღმოჩნდა, ბოლო შეტევა წამოიწყეს, მაგრამ ურსაისის თავურიც ოდნავ უზუსტო აღმოჩნდა და კამაჩოს გუნდიც ჩემპიონატს გამოეთიშა.

ენა როგორ მომიბრუნდება და ამას რაულს როგორ დავაბრალებ. ისევე როგორც ყველა მატჩში, მადრიდის „რეალის“ ფორვარდი ამჯერადაც ორი კაცის მაგივრად იყო მოედანზე, კვირის მატჩის ბოლო ნახევარი საათი კი ცხრათავიანი გველეშაპივით ცხრა ფეხი გამოისხა — წინაც იყო, უკანაც, მეტოქის შეტევასაც შლიდა და ბურთის მოშტანად სირბილსაც არ თაკილობდა. სხვა რა გაეწყობოდა: როცა შენი პარტნიორი ალფონსოა, უარესი შეიძლება დაგემართოს. მაშ ესაა სამართალი — რაული ანტიგმირი იყოს, ცარიელი ადგილი გვარად ალფონსო კი ჩემპიონატის ულამაზესი მატჩის გადამწყვეტი გოლის ავტორი?!

თუმცა გვეყო ამაზე და ახლა მსოფლიოს ჩემპიონებისაც ვთქვათ. ადრე ვწერდით, ძალების მაქსიმალური დაზოგვით მივიდნენ მეოთხედფინალამდეო. თან იმდენი ქნეს, ამ წრეში აუტსაიდერებად მიჩნეულთაგან უძლიერესი გუნდი შეიხვედრეს, თავად კვირას კი ბეწვის ხიდზე იარეს, მაგრამ „ჟოსპენალტმა“ იხსნა.

არადა, თითქოს არაფერი დაუკლიათ. ანუ ზინედინ ზიდანი ჩვეულად ბრწყინავდა და აკი ჩინებული საჯარიმო დარტყმითაც გახსნა ანგარიში, წინ ანრი ჩვეულად ფეთქავდა, ლამის მთელი თამაში ცხვირშიბამბაგაჩრილი დიუგარი კი დასისხლიანებულ მაისურებსაც იცვლიდა და გუნდს არც უანელკობას ატყობდა, თანაც, როცა საჭირო გახდა, ესპანელთა შეტევის მარჯვენა ფრთაც ერთობ დაასუსტა. ცალკე სათქმელია იური ჯორკაეფი. ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდის დახმარება სწორედ მას ევალებოდა, რასაც, ძირითად საქმიანობასთან ერთად, თავი სანაქებოდ გაართვა — ზიდანს სწორედ ის ეხსნებოდა პირველი, ზიზუს შედეგიანი საჯარიმო დარტყმაც სწორედ მისმა წაქცევამ გამოიწვია, პირველი ტაიმის ბოლოსწინა წუთზე კი მტრის რიგებში მარჯვენიდან შეჭრილმა ისეთი დაარტყა, ბურთმა არანსაბალს, კანისარესსა და ესპანელთა კარის მარცხენა ძელს ერთ მანძილზე ჩაუქროლა და ბადეში გაეხვა. და კიდევ — ბლანი და დესაი. განსაცვიფრებელი, რაღაც არაადამიანური სიმშვიდით იგერიებდნენ მათ ზონაში შესულ მომხდურებს და რომ არა პენალტები, ალბათ წარბსაც არ შეიხრიდნენ.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ „მოკვაჭებელი მატჩისთვის“, როგორც ამ თამაშს ცნობილმა სლოვაკმა მწვრთნელმა იოჟეფ ვენგლოშმა უწოდა, მეორე, ღირსეული გუნდიც იყო საჭირო. იყო კიდეც — მარტო გვარდიოლას ცქერა ალგაფრთოვანებდა კაცს. საგანგებოდ დავაკვირდი და 90 წუთში წუნი ვერ მოვუძებნე, ბოლოს და ბოლოს, უზუსტო პასი არ გაუკეთებია. ამის გვერდში ელგერა იბრძოდა. ესეც უნაკლოდ, თუმცა ყველაფერს საზღვარი აქვს და ათი კაცით (ალფონსო, დიდი-დიდი, ნახევარ-მოთამაშედ ჩავთვალო, აფსუს, მორიენტესი!) თერთმეტის წინააღმდეგ რომ თამაშობ, ცხადია, მეტოქეზე ადრე დაიღლები. ასევე მოუვიდა კამაჩოს მიერ ხოტბაშესხმულ მენდიეტას, რომლის ამოკეტვაც ფრანგების ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად მიიჩნეოდა (შეასრულეს კიდეც) და მუნიტისსაც, ვინც თავიდან კი ანერვიულა ტურამი, მაგრამ მერე ფრანგმა 13 სანტიმეტრით დაბალ სანტანდერელს ალღო აუღო და შესაცველი გახადა.

ათი კაციო, ვთქვი. სადაც სამართალია, ისიც ვთქვათ, რომ წესით ბოლო 20 წუთი ესპანელებს მართლაც კაცნაკლულებს უნდა ეთამაშათ, მაგრამ კოლინამ აშკარად დაინდო პაკო, „ბოლო იმედის“ ჯარიმა მხოლოდ გაფრთხილებით შეაფასა და, როგორც აღმოჩნდა, კამაჩოს შანსი მისცა... შანსი ბოლო წუთზე.

მაგრამ, მუსიე ჟოსპენი ისე შესცქეროდა იმ პატარა თეთრ ნიშნულს, რომ...

მატჩის შემდეგ

ძნელი სათქმელია, გულწრფელია თუ არა **იური ჯორკაეფი**, რომელმაც მატჩის შემდეგ განაცხადა, საფრანგეთის ნაკრებში 60 შეხვედრა ჩამიტარებია. ასეთი რთული კი არც ერთიო. „ესპანელები უაღრესად ტექნიკური ფეხბურთელები რომ იყვნენ, ვიცოდი, მაგრამ მათ ასეთ კარგ ფიზიკურ მომზადებას არ ველოდი. მეორე პენალტი რომ დაინიშნა, ვიფიქრე, კიდევ 30 წუთი თამაში გაგვიჭირდებაო მეთქი, მაგრამ გავიმართლა“ — თქვა მან.

ზინედინ ზიდანმა კი გაიმეორე ის, რაც აქამდეც ბევრჯერ თქმულა, ჩვენი ნაკრები ახლა უფრო ძლიერია, ვიდრე ორი წლის წინ იყო და ამის მიზეზი თავდამსხმელთა ჩინებული თამაშიაო.

ზიდანის ქება სხვებთან ერთად **პრისტოფ დიუგარისაც** ეხება. მან ამ შეხვედრაში ცხვირი გაიტეხა: „რაულმა პენალტი რომ ვერ გაგვიტანა, ბედმა გაგვიღიმა, მაგრამ, როგორც წესი, იმას უმართლებს, ვინც ამბიციურებს და უფრო ძლიერია“.

ხოსე ანტონიო კამაჩოს კი დანა პირს არ უხსნიდა: „სათქმელი ბევრიც არაფერი მაქვს. მონდომება არ დაგვიკლია და ბოლომდე ვიბრძოლეთ. ის, რაც ბოლო წუთზე შეგვემთხვა, უიღბლობაა, მაგრამ რა ვქნათ, ფეხბურთში ასეთი რამეები იშვიათი როდია. ახლა შინ დავბრუნდებით და ბიჭები შვებულებაში წავლენ. მათ ეს დაიმსახურეს“.

მატჩის სტენოგრამა

3 — ზიდანმა მარჯვენა ფლანგიდან ჯარიმა დაარტყა, მეტოქის საჯარიმოში ვიეირამ ელგერას საჰაერო დუელი მოუგო, მისი თავური არაზუსტი გამოდგა.

11 — ანრი მარცხენა ფლანგზე ორ ესპანელს დაუძვრა, მერე ოდნავ სიღრმეში შეიწია და ძლიერადაც დაარტყა — არაზუსტად. კანისარესმა ბურთი პირით ხაზს იქით გააცილა.

16 — დეშამპმა მარჯვნიდან მაღალი ბურთი ჩააწოდა, დიუგარიმ სალგადოს დაასწრო და თავით დაარტყა, ფრანგმა ტრავმა მიიღო.

19 — გვარდიოლამ ჯარიმიდან პირდაპირ კარში ჩაახვია, ბარტეზმა მთელი თავისი ოსტატობა გამოავლინა და კარის ხაზიდან ბურთი მუშტებით კუთხურზე მოიგერია.

22 — ალფონსომ რაულს მიაწოდა, ამან კი კარიდან წინ გამოსული მეკარე შენიშნა და სცადა, მისთვის თავზე გადაეგდო ბურთი, რომელიც ბარტეზმა ჩინებული რეაქციით კარს ზემოთ კუთხურზე გადააგდო.

28 — მუნიტისის მარცხნიდან სახიფათოდ დარტყმულს ბარტეზმა მხოლოდ თვალი გააყოლა.

29 — დიუგარის პასი, ზიდანი გვარდიოლას გაექცა, თუმცა დარტყმისას ფეხი აუცდა.

32 — ზიდანმა ჯარიმა ჩვეულად დაარტყა და კანისარესი პირში ჩალაგამოვლებული დატოვა — 0:1.

38 — ტურამმა მუნიტისი საჯარიმოში წააქცია, კოლინას სამართლიანი პენალტი, მენდიეტას გამორბენი და — 1:1.

44 — ვიეირამ საჯარიმოს მისადგომებიდან ესპანელთა ჯებირები მოშალა და დასარტყმელად მარჯვნიდან შეავარდნილ ჯორკაეფს დაუგორა ბურთი, მის ძლიერად დარტყმულს კანისარესმა ვერაფერი მოუხერხა — 1:2.

47 — მუნიტისმა ალფონსოს პასი მიაწოდა, ამ უკანასკნელს ბარტეზი ფეხებში ჩაუვარდა და ხიფათიც განმუხტა.

66 — ჯორკაეფის შორიდან გასროლილს არანსაბალმა ფეხი დაუხვედრა და ბურთი აუტში გადააგდო.

68 — ზიდანმა მარცხენა ფლანგზე ჩინებულად ითამაშა და ბურთი ვიეირას თავზე დაასვა. მის დარტყმულს კი მცველები ადვილად გაუმკლავდნენ.

70 — გვარდიოლამ კუთხური ჩააწოდა, აბელარდომ ყველას დაასწრო, მისი თავურისგან ფრანგები დესაიმ იხსნა, ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა.

71 — ალფონსომ დასარტყმელად გვარდიოლას დაუგორა ბურთი, მის ყუმბარისებულ გასროლილს დესაიმ მხარი დაუხვედრა და ბურთი კუთხურზე გადააგდო.

75 — ფრანგთა ლამაზი კომბინაცია: ზიდანი-ჯორკაეფი-ვიეირა, ეს უკანასკნელი მიწაზე დაუშვებლად ურტყამდა, სალგადომ ბურთს ფეხი დაუხვედრა.

83 — ჯორკაეფის ჯარიმიდან დარტყმული კანისარესმა ბრწყინვალე ნახტომში კუთხურზე მოიგერია.

90 — არეულობა ფრანგთა საჯარიმოში. ბარტეზს ბურთი ხელიდან გაუვარდა და სრულიად უმიზეზოდ აბელარდო წააქცია. პენალტი. რაულმა ესპანეთს ბოლო შანსი მოუსპო. თერთმეტმეტრიანი აიცილა.

90 — ალფონსოს მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩაწოდებულზე ტანმაღალმა ურსაისმა დესაის დაასწრო, თავური ოდნავ არაზუსტი გამოდგა.

REUTERS ბრიუგედან

ესპანელი გაისკა მენდიეტა (№16) ფრანგებს, ლორან ბლანსა (№5) და დიდიე დეშამპს შორის

ციო ახვლედიანი

ნერილები აღმოსავლეთისკენ

კალინინგრადიდან

საღამოს ჭამის ჩანაწერები



REUTERS ბრიუსელიდან

მაგარია ძმაო, ჰაჯი, მაგრამ ხამიც არანაკლები ბრძანდება

გამოღმა

ეჰ, ძმანო, აბა, რა გიჭირთ მანდ? ქარიანი ამინდები ჩამცხრალა (და რა სჯობს ივნისში ქარს?), მიუსხდებით ტელევიზორებს და უყურებთ ამ ლამის დასრულებულ ევროპის ჩემპიონატს. ტოტალიზატორში გადაირბენთ, დახევთ დასახევ ქვითარს, არდასახევს ფულად აქცევთ და იტყვით, ალბათ მაინც იტალია გახდება ჩემპიონიო.

ალბათ ლუდსაც გვარიანად მიირთმევთ და, ვიცი, პაპიროსიც სულ ანთებული გაქვთ. ამ საფაქსედ გამზადებულ შორეულ წერილს რომ ვადგენ, არც კი ვიცი, მოაღწევს თუ არა თქვენამდე.

აღარ მეგონა, თუ სადმე კიდევ გადავაწყდებოდი ლენინის ძეგლსა. და ჰა, აღმოვაჩინე შუა მოედანზე. არამარტო ლენინის, არამედ კალინინისაც. უნდა ვაღიარო, რომ ვიმყოფები რუსულ ქალაქ კალინინგრადში, რომელსაც 55 წლის წინათ კოენიგსბერგი ერქვა, რომლის ქუჩებშიაც ოდესღაც დააბიჯებდა ემანუილ კანტი და რომლის თეატრშიაც შილერი დგამდა თავის პიესას. მერე საბჭოთა ტანკებმა ამ ქალაქისგან კანტის საფლავიღა დატოვეს.

ჩემი სასტუმროს მშვენიერი ნომრიდან ჩანს აღმოსავლეთ პრუსიის, ან კალინინგრადის ოლქის მეტად ლამაზი პეიზაჟები, ამ მშვენიერ ნომერში კი დგას ეკრანდამჯდარი „შილიალისი“, რომელშიაც, მინდა თუ არა, უნდა ვუყურო მეოთხედფინალებს.

გახსოვთ „შილიალისი“? ძალიან ჭირდა მისი შოვნა კომუნისტების დროს. განა ეწუწუნება, მაგრამ ფეხბურთის მაყურებელი კაცისთვის მოხერხებული ტელევიზორი მთავარია.

კალინინგრადი კი არ არის ისეთი ქალაქი, კაფეში ან ბარში რომ მიუჯდები ეკრანს. თანაც ჩემი წვერულვაშის პატრონს რუსეთის ტერიტორიაზე საბუთებით სიარული მართებს.

დღეს აქაურ სადგურში ვნახე ე. წ. „ძებნაში მყოფთა სტენდი“, რომელზეც რვა ჩემებრ წვერულვაშოსანი „ლიცო კავკაზსკოი ნაციონალნოსწოის“ ფოტო იყო გამოკრული. ემანდმეთქი და ვზივარ, ველოდები ფეხბურთს.

თანაც, ვნანობ, რომ ხელი აღარ მიმიწვდება ევროპულ პრესასა და ტელევიზორზე, საიდანაც აჰ, რამდენი რამ შევიტყვე ევრო 2000-ის და საერთოდაც ფეხბურთის შესახებ. უბრალოდ, ძალიან საინტერესოა, როცა, ვთქვათ, თამაშს ბი-ბი-სი-ზე იოჰან კრუიფი და მარტინ ონილი არჩევენ, კამათობენ, იცინიან, ამტკიცებენ. გარი ლინეკერი კი დიდ ეკრანზე გიჩვენებს და გიხაზავს ყველაფერს. ანდა, ვთქვათ, როცა ოტო რეჰაგელი ლაპარაკობს, თუნდაც ამ დაფეხვილი შემადგენლობით როგორ უნდა ითამაშოს გერმანიამ.

აჰ, ძმანო, ევროპა მართლაც ერთიანია. მგონი, უკვე ვწერდი, პარიზსა და ჰანოვერში საინფორმაციო საშუალებათა წყალობით თავი ბრიუსელში გეგონებოდა კაცს. პრესა? დორტმუნდში — იმ დღის „სანი“, „მირორი“, „გარდიანი“. მადრიდში „ფრანკფურტერ ალგემაინე“, ვოლფსბურგშიც კი, ვოლფსბურგში „მონდი“, „ლიბერასიონი“...

იქ ერთი სუნთქვაა, ისინი სხვაგან არიან:

გამოსცდები ევროკავშირს და ლუდის ჩამოსხმას ოცი წუთი სჭირდება. მე ჩვენებრ დუხჭირი ცოტა მეგონა ქვეყანაზე, ერთ პატარა პოლონურ ქალაქში კი პირტიტველა ჯარისკაცები ისევე ითხოვდნენ სიგარეტს, როგორც ჩვენი ჯარისკაცები. ეს კალინინგრადი კი, შუქის ამბავს თუ გამოვრიცხავთ, თორემ მეტად გაჭირვებული ჩანს.

და ფეხბურთი?

გერმანიის საზღვრიდან გამოყოლილ „კიკერს“ ვათვალიერებ. ამ „კიკერის“ ფურცლისას დავფიქრდი პირველად, როგორ წაახდინეს სამხრეთულმა გუნდებმა წლევანდელ ევროპის ჩემპიონატზე ჩრდილოური გუნდები. პირინეები, აპენინები, საფრანგეთი, ბალკანები და იქეთ ინგლისი, სკანდინავია, დანია, ჩეხეთი, გერმანია. ამ ამბის მიზეზების ძებნა ფრიად ბუნდოვან განსჯამდე მიგვიყვანდა. უბრალოდ კი ასე შეიძლება თქმა: ჩრდილოელებმა ცუდი გუნდები გამოიყვანეს. რა სახელები ეწერა ქალაქზე ინგლისის ნაკრებს და რას წერდა მოედანზე? კრუიფმა პირდაპირ თქვა, ამ ნაკრების მწვრთნელი „მანჩესტერის“ თამაშს მაინც არ უყურებს ხოლმე, რომ „მანჩესტერისავე“ ფეხბურთელებით ბურთი ისე გაათამაშოს, როგორც ამას ფერგიუსონის გუნდი აკეთებს? პორტუგალიის ლამის დუბლებთან წახდენის შემდეგ მეჰმეთ შოლი მთელი დღე ერს ებოდიშებოდა ტელევიზორში, პაულ ბრაიტნერი კი ავი- ღიმილით ამბობდა, რიბეკის მთავარი ღირსება მსახიობური ნიჭიაო (რიბეკმა გარისკა და მობილური ტელეფონის რეკლამაში გადააღებინა თავი).

ნორვეგიელები ძალიან ჰგვანან ექვსი წლის წინანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის ნორვეგიელებს, დანიელები წინა ევროპის ჩემპიონატის დანიელებს. შესარჩევი ტურნირის შარშანდელი ლობები შეედები და ჩეხები... ეჰ, ასე საღ წავალთ?

წუთი-წუთზე მეოთხედფინალები იწყება.

პროგნოზი

ამაზე რთული, მიახლოებითი და განწყობაზე ჩამოკიდებული საქმე არ არსებობს. მაგრამ რა ჭნას მარტოდ დარჩენილმა კაცმა? არსრულ ეძარჩიელოს? მარტოკაც გაზარდოს ვაჟნებს ხოლმე.

შეაჩერდი „შილიალისს“, იყავი „ოერტეს“ და „ცედეეფის“ იმედად. და თქვი: პორტუგალია თურქეთს მოუგებს 2:0-ს (ო-ჰო-ჰო, შენს გარდა არვინ იტყოდა), იტალია რუმინეთს პენალტებით (სახიფათოს ამბობ), ესპანეთი საფრანგეთს 3:2-ს (მთლად სისულელეც, თუმცა ეს ანგარიში პოპულარულიც კი გამოდგა, საერთოდ ციფრი „3“ გამოდგა პოპულარული), ჰოლანდია კი იუგოსლავიას გაივლის ერთი ბურთის სხვაობით (აბა, დაფიქრდი).

ახლა კი, ვნახოთ.

ორი სიტყვა

ძნელია საბჭოთა კავშირში, უფრო სწორად, ძნელია წარსულში მოგზაურობა. ამ კალინინგრადში გადასარევად კეთილი და ხელშემწყობი ხალხია, მაგრამ როგორც ერთმა პოლონელმა კაპელმაისტერმა მითხრა ერთ პოლონურ სოფელში, რუსკი დობრი ნაროდ, ნო ვსიგდა პადჩინაიცა სვოი პრავიტელსტვო, კატორი უსტროილ ტურმა.

თბილისში რომ განებივრებულნი გახლავართ საფეხბურთო არხებით, აქ ჰანოვერიდან ნაქებმა „ცედეეფმა“ დანა გამომისვა ყელში, „ოერტე“ კი რის „ოერტეა“, პორდაპირი რეპორტაჟი რომ გადმოეცა. სულ თითის გასიებამდე ვატრიალე მრავალსმნავები „შილიალისის“ სენსორი და როგორც იქნა, „ერტეერი“ გამოვიჭირე.

ვაჰ, დრონი, დრონი... ერთ დროს მადრიდში გამოჭიმულს ახლა ერთმანეთს დამთხვეული რეპორტაჟების ცქერა მომიხდა. „შილიალისს“ პულტი არა აქვს. წამოდექი, გადართე იტალიაზე, წამოდექი, დაბრუნე პორტუგალიაზე. თანაც, დიდი და მძიმე სავარძელი პატარა და მსუბუქი „შილიალისისგან“ მოშორებით დგას. ვერც სავარძელს მიწევ ახლოს, ვერც „შილიალისს“ მოაშორებ შტეპსელს.

რას ვაქებდი ამ ნომერს!

ბალეშჩიკმა კაცმა ჯერ უნდა მიიხედ-მოიხედო და მერე დაიწყო ქება.

თუმცა, მოგზაურობაც ეგაა, რომ ხან ისე გამოვა, ხან — ასე...

რა გავარტყი და რა ავაცილე მეოთხედფინალების ამბავში, უჭემოდაც მიხვდებით. მინუს საფრანგეთი და ანგარიშზე რომ არ გავქაჩულიყავი... მაინც მგონია, რომ ჰოლანდიას რომელიღაც ვარსკვლავის შუქი დაეცა, ასევე ანგარიშის თვალსაზრისით. არ იყო ურიგო ქვითარი...

გაიოზ დარსაძე

სპეციალისტის პრემ

ბევრ სხვა ტაქტიკურ ხერხთან ერთად ეს ჩემპიონატი საყოველთაო პრესინგითაც იქნება დასამახსოვრებელი. ამ ხერხის გამოყენებით გუნდები ერთმანეთს აიძულებენ, შეცდომა დაუშვან, რაც ხშირ შემთხვევაში გოლით მთავრდება. მაგრამ კარგი გუნდის ხელოვნება მხოლოდ ზეწოლის გამოყენებაში როდია. არსებობს პრესინგის წინააღმდეგ თამაშის 20 ფაქტორი, რომლებიც ძლიერი გუნდებისთვის უცხო არაა და შესაბამის სიტუაციაში შესაბამის გზას მიმართავენ. მაგალითად, ასე მოიქცნენ რუმინეთთან იტალია და ესპანეთთან საფრანგეთი, რომლებიც ახლა ნახევარფინალისტები არიან.

პორტუგალია — თურქეთის მატჩამდე ბევრი კითხულობდა, შეცვლის თუ არა პორტუგალიელთა მთავარი მწვრთნელი უმბერტუ კოელიუ ჟოაუ პინტუს გერმანელთათვის სამი გოლის გამტანი სერჟიუ კონსეისაუთიო. კოელიუმ კითხვას საინტერესოდ უპასუხა: მიიღო რისკიანი, მაგრამ სწორი გადაწყვეტილება. აქცენტი შეტევაზე გააკეთა და ორივე ფეხბურთელი ძირითად შემადგენლობაში შეიყვანა. მანვე კარგად გათვალა თურქეთთან ბრძოლის სტრატეგია, თითოეული წვრილმანი და შედეგიც სრულიად სამართლიანი მიიღო.

პორტუგალიელებმა თავიდან მოედნის ცენტრში მიაღწიეს უპირატესობას მოკლე პასების და ინდივიდუალური გარღვევების ხარჯზე. ისინი ბურთსაც უფრო ხშირად ფლობდნენ (57/49 პროცენტი), მაგრამ რაკი ორივე გუნდი ცდილობდა პრესინგის გამოყენებას, პირველი ტაიმის ბოლოს წუნიანმა გადაცემებმა იმატა. მოთამაშეთა დიდმა რაოდენობამ კი მოედნის შუაში მოიყარა თავი და ცენტრიდან შედეგიანად შეტევა თითქმის შეუძლებელი გახდა.

მაგრამ პორტუგალიას ჰყავს ლუიშ ფიგუ, რომელიც ორივე ფრთიდან უტევდა და დაცვასაც ეხმარებოდა. როცა ფლანგები გაიხსნა, ფიგუმ ინდივიდუალური მოქმედება ჩაწოდებით დაასრულა და ნუნუ გომეშმა რთულად შესასრულებელი დარტყმით დააწინაურა პორტუგალია. მეორე გოლიც ფიგუს ფლანგურ გარღვევას მოაყოლა ნუნუმ — სანამ თურქები მსაჯთან არკვევდნენ, დაარღვია თუ არა ფიგუმ თამაშის წესი, 2:0 გახდა და ნახევარფინალში მეტოქის ყველა საფეხბურთო კომპონენტში დამჩაგრავი პორტუგალია გავიდა.

რუმინელებმა, დიდი დანაკლისის მიუხედავად, ტოლი არ დაუდეს მრისხანე ძალას — იტალიის ნაკრებს. რუმინეთს ილიე, პოპესკუ, პეტრესკუ და კონტრა არ ჰყავდა, მაგრამ ისე ითამაშა, იტალიას ბურთის ფლობაშიც აჯობა. იენეის გუნდმა, რომელმაც 4-5-1 დაუპირისპირა ძოფის გუნდისეულ 3-5-1-1-ს, გასაქანი არ მისცა მეტოქეს — იოლად არ ათამაშა. წინწანეულ მოლდოვანს უკნიდან ჰაჯი და მუტუ ეხმარებოდნენ, ფლანგებიდან კი პეტრე და მუნტიანუ. კარგად ორგანიზებული იყო რუმინელთა დაცვაც, რომლის სიმჭიდროვის წინააღმდეგ იტალიელებმა ჯერ გრძელი პასები გამოიყენეს, მერე კი მათი შეცდომებით ისარგებლეს.

ასე რომ, მხოლოდ პრესინგის გამოყენება როდია წარმატების საწინდარი — ძალიან ფაქიზ და სინქრონულ მოქმედებებს მოითხოვს დაცვაში ხაზზე თამაში და ხელოვნური თამაშგარის შექმნა. იტალიელებმა პირველად თამაშგარისას მეტოქის დაცვის შეცდომით ისარგებლეს, მეორედ კი პრესინგის გამო ფილიპესკუს უმისამართოთ მოგერიებული ბურთი გაიტანეს.

რუმინეთს ძვირად დაუჯდა ორადორი შეცდომა — ნახევარფინალში იტალია გავიდა, გუნდი, რომელიც მეტოქისგან განსხვავებით ერთხელაც არ შემცდარა.

შეიძლება იკამათო, ზონური დაცვა სჯობს თუ პერსონალური, მაგრამ პირობა ერთია, ორივეს მაღალ დონეზე შესრულება სჭირდება. ჰოლანდიელმა პატრიკ კლუივერტმა, რომელსაც იუგოსლავიელი ნიშა საველიჩი მეურვეობდა, 3 გოლი გაიტანა, მაგრამ განა მარტო ამიტომ ვინმეს ზოგადად პერსონალური დაცვის უვარგისობაზე მოუბრუნდება ენა?

მთლიანად ცუდად ითამაშა იუგოსლავიელთა დაცვამ, ჰოლანდიელებმა აიკლეს მეტოქის მარჯვენა ფლანგი, სადაც დრაგან სტოიკოვიჩი თამაშობდა. ნარინჯისფერთა ნახევარდაცვამ მაღალი დონის სათამაშო დისციპლინით, მონდომებით და იმპროვიზაციით დაჩაგრა მეტოქე. შესანიშნავად ურთიერთმოქმედებდნენ კლუივერტი და ოდნავ სიღრმიდან მოთამაშე ბერხკამპი, რომლებსაც კარგი პასებით ამარაგებდნენ ზენდენი, დავიდსი და ოვერმარსი.

ჰოლანდიელები თამამად ცდილობდნენ მეტოქის მოტყუებას, ეს სანახაობრივიცაა და ასეთ მატჩებში მეტად ეფექტურიც.

მაშინ, როცა 4:0 იყო, ფილიპ კოკუ ძელს შეასკდა, მაგრამ მილოშევიჩს არ გაატანინა. ეს არ გახლდათ უაზრო თავგანწირვა. ეს არის ბრძოლის ჩვევა, ურომლისოდაც დიდი გუნდები ვერ შეძლებდნენ ნინსვლას.

იუგოსლავიელები ამაოდ იყვნენ სინიშა მიხაილოვიჩის საჯარიმო დარტყმების იმედად — 1:6 მეოთხედფინალში გასული გუნდისგან მოულოდნელი შედეგია.

ესპანეთის ნაკრების მწვრთნელმა ხოსე ანტონიო კამაჩომაც საკუთარი გუნდის მხსნელად პრესინგი მიიჩნია. ეს მართლაც ერთადერთი გზა იყო საფრანგეთის დასამარცხებლად. ზეწოლის გამო ფრანგთა გადაცემებში ბევრი წუნი იყო და ესპანელებმა მეტოქე აიძულეს, უბურთოდ ეთამაშა (ბურთის ფლობა 52/48 პროცენტი ესპანელთა სასარგებლოდ). ერთადერთი, ვინც ბურთს ინარჩუნებდა და პრაქტიკულად არც კარგავდა, ზინედინ ზიდანი იყო.

ესპანელთაგან განსაკუთრებით აქტიურობდა მუნიტისი, რომელმაც ჯორკაეფის და ტურამის ფლანგზე გაიელაღა. ჯორკაეფი ხშირად დაცვის დახმარებას აგვიანებდა და მუნიტისი ბარტეზის კარს ხიფათს უქმნიდა.

მაგრამ ერთია: ზიდანის გუნდის წინააღმდეგ მოთამაშეებს საკუთარი საჯარიმოს სიახლოვეს დაჯარიმება ძვირად უჯდებათ. ზიდანი ჯარიმას პენალტივით ურტყამს და ესპანელებს ერთი შეცდომა ძვირად დაუსვა.

მართალია, პირინეელებმა პენალტით მალევე გაათანაბრეს ანგარიში, მაინც ფრანგებმა იყოჩაღეს: ამ შედარებით ტანმაღალმა გუნდმა დაცვაშიც და შეტევაშიც მაღალი ბურთისთვის თითქმის ყველა ბრძოლა მოიგო.

მატჩის ბოლოს, ძლიერი პრესინგის დროსაც კი ფრანგები იშვიათად კარგავდნენ ბურთს, მაგრამ ბარტეზმა მაინც გამონახა შანსი ესპანელთათვის, რომელიც რაულმა ვერ გამოიყენა. რას იზამ, ფეხბურთში ყველაფერი ხდება და ყველაფერი ერთ დღეს არ მთავრდება — დასტურად მატჩის შემდეგ ორივე გუნდის ჯენტლმენური საქციელიც გამოდგება. წაგებულ-მოგებულნი ერთმანეთს გადაეხვივდნენ და ისე დაშორდნენ.

ღირსეულმა საფრანგეთმა გაიმარჯვა, დამარცხებულმა ესპანეთმაც ღირსეულად დაიჭირა თავი.

REUTERS როტერდამიდან

პატრიკ კლუივერტის გრძელ, შავ და ღვედივით მოქნილ ფეხს იუგოსლავიის კარში პირველი გოლი გააქვს

რეკორდსმენი თორმეტი საათით

12 ივნისს „სარბიელის“ ძველი, ოთხი წლის წინანდელი ნომერი მოვიძიე. ინგლის-პორტუგალიასთან დაკავშირებით იქიდან ერთი ცნობის ამოწერა და ჩემს დღიურში გადმოტანა მსურდა. საქმე ისე წავიდა, რომ იმ ცნობისთვის ადგილი აღარ დამრჩა. გაზეთის ადგილზე შენახვა გადავწყვიტე, მაგრამ მერე გადავიფიქრე და მაგიდაზე დავიტოვე. თორმეტი დღის შემდეგ ძველი გაზეთი კვლავ დამჭირდა. საუქმეო ჩანაწერები სწორედ მასში მოთავსებული ცნობით უნდა დამეწყო, მაგრამ მერე იმისთანა რამ მოხდა, კინაღამ ისიც გვერდზე დამრჩა და სხვა რამეებიც. ამჯერად აუცილებლად შეგახსენებთ, რა წერია ძველ „სარბიელში“, ოღონდ ცოტა მოგვიანებით. მანამდე კი იმის შესახებ, რაც როტერდამში გრძელმა, შავმა და ღვედივით მოქნილმა ფეხებმა დაატრიალა.

ამ ფეხებმა ევროპის ჩემპიონატის ისტორიის ერთი ფურცელი დაწერა. დაახლოებით თორმეტი საათის განმავლობაში ეს ფურცელი უნიკალური იყო. შემდეგ კი ერთადერთობის პრეტენზია დაკარგა, თუმცა მაინც გამორჩეულად დარჩა.

ბოლიშს გიხდით, რადგან ისევ ოთხი წლით უნდა დავიხიო უკან. 1996 წლის მაისში ჰოლანდიაში, სასამართლოებით განთქმული ჰააგაში გახლდით. ტელევიზორს რამდენჯერაც შევხედე, იმდენჯერ ჰოლანდიელი ფეხბურთელი პატრიკ კლუივერტი დავინახე. მაშინ 19 წლის ბიჭს უკვე დიდი სახელი ჰქონდა დადებული — სხვა თუ არაფერი, წინა წელს „აიაქსმა“ ჩემპიონთა თასი მისი გოლით მოიპოვა, მაგრამ კლუივერტს ტელევიზორში ფეხბურთელობის გამო არ აჩვენებდნენ: სასამართლოს დარბაზში მჯდარ პატრიკს ავტოავარიაში ორი ადამიანის მკვლელობა ედებოდა ბრალად. გარდა ამისა ტელევიზიით, პრესით და ქუჩაში მოწყობილი მინიდემონსტრაციებზე ჰოლანდიის საზოგადოება კლუივერტის მკაცრად დასჯას ითხოვდა.

გავიდა ცოტა ხანი და კლუივერტს ჯგუფურ გაუპატიურებაში მონაწილეობა დაბრალდა. დამთავრდა მაგის ფეხბურთი — ჩათვალა უმრავლესობამ. ფეხბურთელიც ამართლებდა ამ ვარაუდს: ევრო 96 ჩაიფლავა და იტალიურ „მილანშიც“ მეტად ცუდი სეზონი გაატარა.

დღეს შეიძლება თამამად ითქვას, რომ კლუივერტს არაფერი დაუმთავრებია, პირიქით, შესძლოა, უფრო დიდ საქმეებს ახლა იწყებს. კვირას როტერდამში, იუგოსლავიის წინააღმდეგ გაკეთებული ჯერჯერობით მისი კარიერის მწვერვალი იყო. იდგა პატრიკი მოედანზე და ფეხებს ბილიარდის ჯოხივით იქნევდა. ბურთიც, ლამის ყოველი შეხების მერე, ბადეში ვარდებოდა. მატჩის საბოლოო ოქმში კლუივერტის გვარის გასწვრივ ოთხი გოლი ეწერა.

ოთხი გოლი ევროპის ჩემპიონატებზე არავის გაუტანია. ამიტომაც გახდა კლუივერტი უნიკალური რეკორდის მფლობელი, თუმცა მხოლოდ თორმეტი საათით. საქმეში კარგად რომ გაერკვეთ, სჯობს მოვლენებს ქრონოლოგიურად მივყვეთ.

— მატჩის 51-ე წუთზე ჰოლანდიელი ბოსველტის ჩამოწოდებულისკენ ერთდროულად გაქანდნენ კლუივერტის და იუგოსლავიელი გოვედარიცას ფეხები. ჩანდა, რომ გოლი გოვედარიცას ფეხიდან გავიდა. ტაბლოზე კლუივერტის გვარი დაიწერა.

— გოლის შემდეგ კლუივერტი ესპანელ მსაჯთან, ხოსე მარია გარსია არანდასთან მივიდა. მოდით, თავად ფეხბურთელს მოვუსმინოთ: „მესამე გოლთან დაკავშირებით ეჭვი გამოვთქვი. ცოტა ესპანური ვიცი და მსაჯს ვუთხარი, გოლი მე არ გამიტანია მეთქი“.

— თამაშის მერე კლუივერტმა სტადიონი დატოვა. იგი დარწმუნებული იყო, რომ მატჩი სამი გოლით დასრულდა.

— უეფა-ს წარმომადგენელმა და მსაჯმა ნამატჩევს ცოტა წაითათბირეს და გოლი კლუივერტს ჩაუთვალეს. ამის შემჭყობი პატრიკი ამბობს: „თუკი მსაჯმა ასე გადაწყვიტა... ადრე ვთქვი, რომ სამი გოლი გავიტანე. ჩათვალეთ, რომ ის სიტყვები არ გაგიგიათ. ახლა ჩემი ოთხი გოლით გახარებული ვარ“.

— დაახლოებით თორმეტი საათის შემდეგ უეფა-ს საგანგებო კომისია შეიკრიბა, ვიდეოფირები აქეთ-იქით ატრიალა და დაადგინა: „მესამე გოლი გოვედარიცამ საკუთარ კარში გაიტანა. გაუქმდეს წინა გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც გოლის ავტორად ჰოლანდიელი კლუივერტი ითვლებოდა.“

აი, ასეთია ჯერ ნაჩუქარი, მერე კი წართმეული რეკორდის ისტორია. ისე, დაეჯერებინა მსაჯს კლუივერტისთვის, აშხელა ამბავი ხომ აღარ ატყდებოდა?

კლუივერტის ოთხმა გოლმა ყველა და ყველაფერი დაჩრდილა. საოცარია, მაგრამ თავად კლუივერტიც დაიჩრდილა, რადგან ოთხ გოლზე აწყობილი საზოგადოებრივი აზრი ახლა უკვე რეალური სამი გოლისადმი ნაკლებ ინტერესს იჩენს. არადა, ჰეთ თრიკი საზუმარო ამბავია? კი ბატონო, ჰოლანდიელ მარკო ვან ბასტენსაც გაუტანია თორმეტი წლის წინ და პორტუგალიელ სერგიუ კონსეისაუსაც ერთი კვირის წინ, მაგრამ განა მათი გარჯა დასაფასებელი არ გახლავთ?

ჰოლანდიის მიერ იუგოსლავიის 6:1 ძლევამაც მეორე პლანზე გადაინაცვლა. განა ყოველ მეორე მეოთხედფინალი მთავრდება ამ ანგარიშით? ამგვარად ძლევამოსილი ჰოლანდია ბოლოს თორმეტი წლის წინ, ევრო 88-ის დასკვნით ეტაპზე ვნახე. ამგვარად უსუსური იუგოსლავია კი არ მახსოვს. ამ შეხვედრაში პირველად გამოიკვეთა რაიკარდი-მწვრთნელის კონტურები, თანაც საკმაოდ მკაფიოდ. იუგოსლავიამ კი ორი ტრადიციიდან მხოლოდ ერთს მისდია: სავო მილოშევიჩმა გაიტანა. ბალკანელებმა ევრო 2000-ზე პირველად დაასრულეს მატჩი სრული შემადგენლობით. წითელი რა საკადრისია, მათგან ყვითელი ბარათიც არავის მიუღია.

ახლა კი მივადექი „სარბიელის“ 1996 წლის 15 ოქტომბრის ნომერს. ნახეთ, რას წერს იქ მამუკა კვანტალიანი: „კარგია ნუნუ გომეში, რომელიც პორტუგალიის ახალგაზრდული ნაკრების წევრია და დიდი პერსპექტივის მქონე ფეხბურთელადაც მიიჩნევენ. ვარჯიშისასაც ეტყობოდა, ტყუილად რომ არ აქებენ. ზოგიერთ ეპიზოდში მართლაც დიდი ფეხბურთელივით ირჯებოდა“.

შეგახსენებთ, ეს 1996 წლის ოქტომბერში იყო. თბილისის „დინამო“ უეფას თასის მეთექვსმეტედფინალში პორტუგალიის „ბოავიშტას“ მასპინძლობდა. ამ გუნდის თავდამსხმელი ნუნუ გომეში 20 წლისა იყო, ხოლო საქართველოში ჯერ კიდევ ცოცხლობდა დღეს აფიორად ქცეული „დინამოს“ სუპერკლუბად ჩამოყალიბების თეორია“.

ალბათ გახსოვთ, ორი მატჩის ჯამში რა დღე აყარა „ბოავიშტამ“ „დინამოს“. ბოავიშტელებმა თბილისში ერთ გაშვებულს პორტუში ხუთით უპასუხეს. ნუნუ გომეშს მაშინ არ გაუტანია (მაგის რბევაღა აკლდა ჩვენს ჩემპიონს), მაგრამ ამ ოთხ წელიწადში „დიდი პერსპექტივის მქონე“ ფეხბურთელიდან ჩამოყალიბებულ მოთამაშედ იქცა. ინგლისის კარში გადამწყვეტი გოლი, მეოთხედფინალში თურქებისთვის გატანილი ორი გოლი... ნუ დავივიწყებთ, რომ ყველაფერი ეს ევროპის ჩემპიონატზე ხდება.

ორი გოლი ორ გოლად, მაგრამ ნუნუ გომეშს მაინც ვერ მივაჩნევ პორტუგალია-თურქეთის საუკეთესო მოთამაშედ. ანკი როგორ გინდა ეს ტიტული სხვას მიანიჭო, როცა ლუიშ ფიგუ მოედანზეა. თურქებს მართლაც ღვთის რისხვასავით მოევლინათ ეს ფეხბურთელი, რომელიც ზღაპრული ჯინივით ნებისმიერი ადგილიდან ამოიზრდებოდა ხოლმე და მეტოქეს აწიოკებდა. მიუხედავად იმისა, რომ გამარჯვება პირადად მისი დამსახურება იყო, ფიგუ თავმდაბლობით გამოირჩა: „ჩვენ შემტევი სტილით ვთამაშობთ. ამ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს მოძრაობას. ამიტომაც დავრბივარ ბევრს, პოზიციებს ვიცვლი. მწვრთნელი გვეუბნება, მეტოქე ყველა მხრიდან შეაწუხეთო, ჰოდა მეც მის დავალებას ვასრულებ“.

ეს მატჩი ამსტერდამის „არენაზე“ გაიმართა და დახურულ სივრცეში წარიმართა. ამ ნაგებობას მოძრავი სახურავი აქვს, რომლის გამოყენებაც წვიმისაგან თავდასაცავად გახდა საჭირო. ეს პირველი შემთხვევა გახლდათ, როცა ევროპის ჩემპიონატის მატჩი ჭერქვეშ გაიმართა.

თურქმა მცველმა ალფაი ოზალანმა პორტუგალიელ კოლეგა ფერნანდო კოუტუს მკერდში მჯიღი ჩასცა, რისთვისაც მოედნიდან გააგდეს. კიდევ სამი თურქი და ხუთი პორტუგალიელი გაიფრთხილეს. უეფას დიდხანს არ უფიქრია და სანქციებიც გამოიტანა. თურქეთის ფეხბურთის ფედერაცია 7300 დოლარს შეელევა. ამ თანხაში გათვალისწინებულია როგორც მოთამაშეთა, ისე გულშემატკივართა უწესრიგობა. თურქმა ფანებმა მატჩის 53-ე, 56-ე და 58-ე წუთებზე ტრიბუნიდან მაშხალები ისროლეს. ვერც პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაცია გადაურჩა სასჯელს: ხუთი გაფრთხილება და კვამლის გამშვები მოწყობილობის გამოყენება 3 ათასი დოლარი ღირს.

ჰაი, დედასა, ჰაჯი, რა მართლა ქაჯივით მოიქცა?! ჯერ ხომ სულ ტყუილად და თავისით წაიქცა იტალიის საჯარიმოში. მერე კი მსაჯს მიუვარდა და ლანძღვა დაუწყო, როგორ თუ პენალტს არ ნიშნავო. პორტუგალიელ ვიტორ მანუელ მელო პერეირას მობეზრდა რუმინელი ვარსკვლავის უმსგავსობის ცქერა და მეორე ყვითელი ბარათით მოედნიდან გაისტუმრა. გაცეცხლდა ჰაჯი: „თვითმფრინავიდანაც ჩანდა, რომ პენალტი იყო. იტალიელი მცველი წითელ ბარათს იმსახურებდა, ყვითელი ბარათი კი მე მომცეს. რატომ ჩამოვედით ევროპის ჩემპიონატზე? უსამართლოდ გაგვძარცვეს. მარტო ერთ არდანიშნულ თერთმეტმეტრიანში როდია საქმე, ამ ტურნირზე ხუთი პენალტი არ დაგვინიშნეს“.

მეთოდები დაგიძველდა, ჰაჯი. ამით ახლა ველარავის გააკვირვებ. აბა, ვნახოთ რას ამბობს რუმინული პრესა: „დიდი ფეხბურთელის საცოდავი აღსასრული“ — ეს „პრო სპორტის“ აზრია. „ჰაჯის გაძევებამ მშვენიერი სიზმარი დაასრულა. ჩვენმა ვარსკვლავმა რუმინეთი უიმედოდ დატოვა“ — ამას კი „ევენიმენტული“ იუწყება. მართლა შეიცვალა დრო, თორემ ცოტა ხნის წინ ჰაჯიზე ასეთი რამეების მთქმელს რუმინეთში კარგი დღე არ დაადგებოდა. „ადევარული“ კი იმედიანადაა: „ახალგაზრდა ფეხბურთელებმა გვიჩვენეს, რომ რუმინეთის ნაკრებს მომავალი აქვს“.

ერთი წუთით შეეჩერდით. რუმინეთს თავიდანვე არ ჰყავდა დისკვალიფიცირებული პოპესკუ და პეტრესკუ. 59-ე წუთზე ჰაჯი გაუგდეს. დარჩენილ ხალხს გამოვაკლოთ ბელოდედიჩი, დავუმატოთ აგრეთვე დისკვალიფიცირებული ილიე და მივიღებთ იმ გუნდს, რომელიც საქართველოს დაუპირისპირდება მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში. იმ გუნდმა ათი წუთი შესანიშნავად ითამაშა და გოლი იმიტომ ვერ გაიტანა, რომ მეტოქედ იტალია ჰყავდა, უძლიერესი დაცვის მქონე გუნდი. ღმერთმა ნუ ქნას, ის ათი წუთი საქართველოსთან მატჩშიც განმეორდეს, რადგან მაშინ რუმინელთა მეტოქეებ იტალიელები აღარ იქნებიან.

ისე გამომივიდა, რომ ჰაჯი რუმინეთის მომავალ ნაკრებში აღარ იქნება. თუმცა მე რა, თავად ფეხბურთელმა თქვა, ევრო 2000-ის მერე ნაკრებიდან მივდივარო. ჰაჯის ეს დაპირება იტალიასთან მატჩის შემდეგ შეახსენეს, ჰკითხეს, ეს თქვენი ბოლო მატჩი იყო ნაკრებში?. პასუხად „კარპატელმა მარადონამ“ მხრები აიჩეჩა. ისე, თუ მან თამაში მოინდომა, ვერა ძალა წინ ვერ დაუდგება. ჰაჯი — ჰაჯია, გინდა ნებერაძისიკვდილებული იყოს, რუმინულ ფეხბურთში მის სიტყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მაგალითი გნებავთ? ჰაჯიმ გააგდო ნაკრებიდან 32 წლის მწვრთნელი ვიქტორ პიცურკა, რომელმაც რუმინეთს შესანიშნავად ჩაატარებინა ევრო 2000-ის შესარჩევი ციკლი. ეგღა მაკლია, მაგ ღლაპმა მიუფროსოსო, ბრძანა 35 წლის ჰაჯიმ... საბოლოოდ რა გამოვიდა, ჩემზე კარგად ხედავთ.

გუშინ ერთი ძირძველი ქალაქელი კაცი შემხვდა. მიკითხვ-მოკითხვის შემდეგ სიტყვა ევრო 2000-ზე ჩამოვაგდეთ. საფრანგეთს მივადექით, იმ კაცმა მითხრა: ეგ გუნდი ისე მეჯავრება, რომ მისი კარგად გაკეთებულიც ცუდად მეჩვენებაო. გარწმუნებთ, არც მე მაქვს საფრანგეთი გულზე ამოსვირინგებული, მაგრამ თვალები რომ დამეთხარა, ესპანეთთან ზინედინ ზიდანის ბრწყინვალება სინათლეს მაინც დამიბრუნებდა.

რა უნდა ვთქვა ზიდანზე? ის, რომ ჭკუის კოლოფია, ბურთს თითქმის არ კარგავს, მისი პასი ყოველთვის აღწევს ადრესატამდე, ნებისმიერი სიტუაციიდან პოულობს გამოსავალს და მხოლოდ საუკეთესო გაგრძელებას ირჩევს? ამას ჩემი თქმა რად უნდა, ეს ხომ თავადაც შესანიშნავად იცით. საინტერესო ისაა, თავად ზიდანი რას ამბობს თავის თავზე: „გუშინწინ 28 წლისა გავხდი და ვგრძნობ, რომ ასე ძლიერი არასდროს ვყოფილვარ. თავს შესანიშნავად ვგრძნობ და მსურს მომავალშიც ასე გაგრძელდეს“.

ზიდანმა ეს სიტყვები ესპანეთთან მატჩის შემდეგ თქვა. ორიოდ წუთში კი მისმა თანაგუნდელმა ბიქსენტ ლიზარაზუმ დასძინა: „როცა გამოუვალ მდგომარეობაში ვართ და არ ვიცით, რა გავაკეთოთ, მაშინ ზინედინს ვაწვდით ბურთს. აქ კი ვმშვიდდებით, რადგან იგი აუცილებლად რაღაცას მოიგონებს“. კრისტოფ დიუგარიც არ იშურებს ეპითეტებს თანაგუნდელისთვის: „იგი მართლაც ბრწყინვალეა. ხანდახან მატჩის მიტოვება და ზიდანის თამაშის ცქერა მინდება ხოლმე“.

თუკი ზიდანს მატჩამდე ორი დღით ადრე ჰქონდა 28-ე დაბადების დღე, ესპანეთის ნაკრების და მადრიდის „რეალის“ თავდამსხმელ რაულს ორი დღის შემდეგ მოუწევს 23-ე იუბილეს აღნიშვნა. ეს დაბადების დღე, ალბათ, ყველაზე მწარე იქნება რაულისთვის — ბოლო წუთზე აცდენილი პენალტი ამის საფუძველს იძლევა. კაცმა არ იცის, რა მოხდებოდა დამატებით დროში ან თერთმეტმეტრიანების სერიაში, რაულს რომ ეყოჩაღა. თუმცა ამას რაღა აზრი აქვს — „ოქროს ბიჭმა“ ტინგიცა ბარტეზისგან ნაბოძარი შანსი ჰაერში აუშვა.

„რაულმა ესპანეთი ატირა“ — თავადაც ტირის ესპანური სპორტული გაზეთი „მარკა“. „რაულმა ბოლო ექვსი პენალტიდან მესამე ააცილა. იგი საკუთარ აჩრდილს ჰგავდა, მაშინ, როცა ზინედინ ზიდანი საფრანგეთის ტვინი და სული იყო... რა ნამუსით იღებ წელიწადში ერთ მილიარდ პესეტას (5,6 მილიონი დოლარი — რედ.), როცა ბოლო წუთზე პენალტს აცილებ“ — გაზეთ „ასი“ საკუთარი აზრსაც აქვეყნებს და გულშემატკივრების კომენტარებსაც.

საბრალო რაული, მის ადგილზე ყოფნას მტერს არ ვუსურვებ: „როცა დავინახე, რომ ბურთი ხარიხას გადაცდა, თავბრუ დამეხვა. არ მახსოვს, როგორ დავამთავრე მატჩი. მოედნიდან გასვლისას ტირილი ამივარდა, რომელიც სასტუმროშიც ვერ შევიჩერე“.

ესპანელთა მწვრთნელმა ხოსე ანტონიო კამაჩომ კი რაულის თერთმეტმეტრიანზე უფრო ისმაელ ურსაიას თავური შეიცხადა: „პენალტი ჩვენი ერთადერთი შანსი არ ყოფილა, ურსაიას რომ შეეგდო...“ სენიორ კამაჩო, არ გიფიქრიათ იმაზე, რომ რაულს პენალტი არ უნდა დაერტყა? რატომ შეასრულა გადამწყვეტი დარტყმა იმ ფეხბურთელმა, რომელიც თავის გუნდში მეოთხე-მეხუთე პენალტისტია? განა ბარსელონელი გვარდიოლა ან ბილბაოელი ეჩებერია იქვე არ იყვნენ? თუმცა, კარგით, მეღა გაკლდით, ხვალ ესპანეთში დაბრუნდებით და შეკითხვები და ჭირის ოფლში გაცურვა მერე ნახეთ...

ინტერტოტოს თასი. პირველი ეტაპი
საპასუხო მატჩი

გადაადგილება დროსა და სივრცეში

ლიეჟი
24 ივნისი
18 საათი
ბელგია
1 000 (ტევადობა 30 000)

სტანდარდი 1:1 დინამო

0:1 ზირაქიშვილი (30), 1:1 ვან ბუიტენი (71)
სტანდარდი: სუანარია, ორი, ვან ბუიტენი, ბლეი, ვუო, იობო, ტიხი (პეტერსი 46), ფაკენი, უსალა, ვალსანიკი, ელიანი (ფლორენცი 68)
დინამო: გრიშკაშვილი, ქმოკლიძე, ვაშაკიძე (სხვიტარიძე 46), შაშიაშვილი, სიჭინავა, არველაძე, ანჩაბაძე, დათუაძე (მონასელიძე 63), გოგოლაძე (ბობოხიძე 72), ზირაქიშვილი
გარეშემხილება: ორი (16), ვუო (78), ბობოხიძე (81)
მაყურებელი:

ზურაბ მეძველია
ლიეჟიდან

რომ ვთქვა, თმა ღერა-ღერა დავიგლეჯე-მეთქი, მართალი არ ვიქნები. კი ბატონო, აქედან ერთი საათის სავალზე და ოდნავ მოგვიანებით მალდინი, ალბერტინი და მისთანები ბურთაობდნენ, მაგრამ „სტანდარდი“ — „დინამო“ არ მენახა, თუნდაც 18 წლის შემდეგ, არ იქნებოდა.

ცხადია, არც ერიკ გერეტსისთვის მოშიკრავს თვალი და არც რამაზ შენგელაისთვის (მისი ბიჭი კი იყო განცხადში, მაგრამ არ უთამაშია), ხელოვნური თამაშგარეც სულ ერთადერთხელ შექმნეს მასპინძლებმა (ერთბაშად სამი ჩვენებური კი გააბეს). ეგ კი არა, ქართველთა დელეგაციაში მყოფმა ნუკრი კაკილაშვილმა ის სტადიონიც ძლივს იცნო, სადაც 1982 წელს თავად უთამაშია: ევრო 2000-სთვის „შლესინი“ მეტად გაკოხტავდა, ტევადობა კი გაუორმაგდა. და მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, „სტანდარდი“ — „დინამო“ იყო და შაბათს, გაგანია ევროპის ჩემპიონატისას, ადგილობრივი დროით 15 საათზე, სწორედ ლიეჟის სტადიონზე აღმოჩნდი.

„აუცილებლად უნდა მოვიგოთ. რაც თბილისში მოხდა, სასწაული იყო და წესით, აღარ უნდა განმეორდეს“ — ამ სურვილს ასრულება არ ეწერა, ამ სიტყვების მთქმელ ნიკა ჩხეიძეს კი მხოლოდ მატჩისწინა მოთელვაზე მოუხდა ხტომა.

ნიკა ვერაფერს შეცვლიდა. „დინამოს“ კარში მდგომ გრიშიკაშვილს შეცდომა არ დაუშვია, ოთხჯერ კი აშკარა საგოლე მომენტი განმუხტა. ამ ოთხიდან ორი პირველ ტაიმში იყო. ტაიმში, რომელიც სტუმართა აშკარა უპირატესობით წარიმართა, მაგრამ კინკილა გოლის გარდა ვერაფერს გამორჩა.

კინკილა, ვთქვი, ბოლო-ბოლო, ქართველებმა ლიეჟში გაიტანეს — 30-ე წუთზე მასპინძელთა მეკარის მორიგ მოგერიებულს დათუაძემ უთავაზა, გზად ბურთი ზირაქიშვილს გადაეყარა და ამანაც, კარის ხაზიდან ორი მეტრიდან არ ააცილა. წამსვე გვერდით მსაჯს გავხედე (ლიეჟური კომპლექსი!) და დავწყნარდი — 0:1.

ჯერჯერობით ყველაფერი კარგადაა. ჩვენებმა პირველი სახიფათო მომენტი მე-40 წამზევე შექმნეს, როცა ანჩაბაძის პასით გოგოლაძემ დაარტყა. ასე გაგრძელდა ტაიმის ბოლომდე — „თურქმენ“ ლეგიონერს ლიეჟელი მცველები დაბაბულობაში ჰყავდა, ზირაქიშვილიც ბევრს მოძრაობდა, დათუაძე კი მარჯვენიდან ხშირად და სახიფათოდ ეხმარებოდა თავდამსხმელებს. ამ დროს რევაზ არველაძე და ანჩაბაძე, პასებს რომ თავი ვანებოთ, უკან ჩასვლასაც ასწრებდნენ, ხშირად კი მოედნის ცენტრშივე ახერხებდნენ (სიჭინავასთან და სახვაძესთან ერთად) მეტოქის შეტევის ჩაშლას. ვიმეორებ, პირველ ტაიმში მხოლოდ ორჯერ შეძლეს ჭაბუკმა ბელგიელებმა გრიშიკაშვილის შეწუხება (მე-3 და 33-ე წუთებზე) და მაშინაც სოსომ იყოჩაღა.

როგორც მოგვიანებით შეეიტყე, „სტანდარდმა“ ჭაბუკებში ძირითადის რამდენიმე ფეხბურთელიც გამოურია, მაგრამ ეს პირველ ტაიმში თამაშს არანაირად დასტყობია.

წასულან ეგენი პერუჯაში და ეგაა — ვფიქრობ შესვენებაზე. ეგაა. „პერუჯამაც“ თუ სათადარიგოები არ ათამაშა... ეჰ, ვინ მიგიშვა იქამდე!

გოგოლაძის ხელში იყო, ლიეჟის სასტუმროდან ამსტერდამის აეროპორტში სამშაბათის მისული „დინამო“ საით გაფრინდებოდა — სამშობლოში თუ იტალიაში: მეორე ტაიმის დაწყებიდან ოთხი წუთი იყო გასული, როცა ანჩაბაძის მორიგი პასით კახა მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ვერ ივარგა და ააცილა. „არა უშავს, კიდევ გექნება შანსი“ — გაამხნევა შაშიაშვილმა, მაგრამ ვაგლახ — მსგავსი დარჩენილ დროში არაფერი მომხდარა; საქმეს ვერც ბელგიაში სამუშაოდ თუ თავსსაშველად ჩამოსულ ქართველთა „დინამო! დინამო!“-მ უშველა.

ამასობაში სამუშაო გრიშიკაშვილს მოემატა. „სტანდარდის“ რამდენიმე ნახევარ-შანსს ერთი რეალური მოჰყვა და მართალია, სოსომ მეტოქის ფეხებში თავგანწირული ნახტომით კვლავ იხსნა კარი... „ავირიეთ, ძალიან ავირიეთ“ — შესძახა რევაზ არველაძემ. თბილისელთაგან ყველაზე გამოცდილმა.

ეს თითქოს, ნიშანი იყო. ნიშანი თბილისელთა დროებითი მწვრთნელისთვის, რომელმაც მოედანზე პირველი დასვენებული ფეხბურთელის გაყვანა გადაწყვიტა. დროულიც იყო, მაგრამ სწორედ დათუაძის, ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მოთამაშის გამოცვლას იდეალურ მიგნებად ნაღდად ვერ ჩავთვლი. ამ შეცვლიდან ორიოდ წუთში გრიშიკაშვილმა კვლავ ივაჟკაცა, მაგრამ საქმეს უკვე ისეთი პირი უჩანდა, ასე გაგრძელებით პერუჯაც გვერდზე დარჩებოდა და 50 ათასი შეეცარიული ფრანკიც, პირველ ეტაპზე გამარჯვებულს რომ ეძლევა.

ასეც მოხდა. მასპინძელთა შეტევის მარჯვენა ფრთაზე რევაზ არველაძე დაჯარიშდა, საჯარიმოდან ბლეის ჩაწოდებულს კი ზუსტად იმ ადგილიდან, საიდანაც ზირაქიშვილმა შეაგდო, ამჯერად ვან ბუიტენმა მიუჩინა სათანადო ადგილი. იქვე ჩამაკაძემ გოგოლაძეც სკამზე დასვა და დარჩენილ დროში თვალსასეირო „დინამოს“ მეკარის თამაშილა გახლდათ. გრიშიკაშვილმა ბოლო სამი წუთი მეტოქის საჯარიმოსთან გაატარა, მაგრამ უშედეგოდ.

...ბენილუქსში საქართველოს საელჩოს თანამშრომელთა ავტომანქანით 40 წუთში უკვე ბრიუსელში ვიქნები. მალე მალდინის, ალბერტინის და მისთანების ბურთაობაც დაიწყება. ორიოდ საათი და 80 კილომეტრი ამ ორ მატჩს შორის.

სინამდვილეში, ცა და დედამიწა.

დანიელ ვან ბუიტენი

საქართველოს ვიცე-ჩემპიონ, თბილისურ „ვიტ ჯორჯიას“, უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე მეტოქედ იერუსალიმის „ბეითარი“ ერგო. ისრაელის თასის მფლობელი „ბეითარი“ ახალი საფეხბურთო სეზონის წინ დაკომპლექტების პროცესშია — ახალი მეპატრონე, ახალი მწვრთნელი და ფეხბურთელები. „ბეითარს“ ჯერ მზადება არ დაუწყია, თუმც ისიც ფაქტია, რომ მილიარდერი გად ზეევი (კლუბის მეპატრონე), გუნდს მოუმზადებელს და შეკრებაგაუვლელს არ დატოვებს. მეტოქისგან განსხვავებით, ახალი სეზონისთვის მზადებას „ვიტ ჯორჯია“ ნაადრევად შეუდგა. ვეტერინარები ბაკურიანში იმყოფებიან შეკრება ზე. მართალია, „ვიტ ჯორჯიას“ სრულყოფილებამდე ჯერაც ბევრი უკლია, მაგრამ ორგანიზაციულ საქმეს ამ კლუბს ვერავინ დაუწუნებს. ვეტერინართა მზადების, სასელექციო საქმიანობისა და ევროთასების წილისყრის შედეგებ ზე კლუბის პრე ზიდენტი გურამ რუხაძე გვესაუბრება.

გურამ რუხაძე

მცხეთიდან იერუსალიმამდე

ბაკურიანისა და გერმანიის გავლით

დაზვერე, დააკვირდი და აირჩიე

— სასელექციო მუშაობა „ვიტ ჯორჯიას“ საქმიანობის ერთ-ერთი ძლიერი მხარეა. ჩვენ თითქმის მთელი გასული წლის მანძილზე ვესწრებოდით პირველი და რეგიონალური ლიგის თამაშებს. თვალს ვადევნებდით ჩოხელის თასზე მოასპარეზე ფეხბურთელებს. დაკვირვებისა და სპეციალისტებთან ჩატარებული კონსულტაციების შემდეგ 17-22 წლის 30 ფეხბურთელი შევარჩიეთ, რომელსაც „ვიტ ჯორჯიას“ სასელექციო ნაკრები ვუწოდეთ. ჩვენს მიერ შედგენილ კატალოგში ჩაეწერა ყველა სასურველი პერსპექტიული მოთამაშე.

იმ ნაკრებმა 4 ამხანაგური მატჩი გამართა. მეტოქეებად თბილისის „იბერია“ და თსუ, ნორჩი დინამოელის 1982 წელს დაბადებულთა ნაკრები და ჭაბუკიანის „ჭაბუკიანი“ შევარჩიეთ. თავის გამორჩენის საშუალება მიეცა ოცდაათივე ფეხბურთელს.

აი, ვინ შეარჩია „ვიტ ჯორჯიამ“ საბოლოოდ — ბესიკ ჭილაძე, რომელთანაც სამწლიანი კონტრაქტი უკვე გავაფორმეთ და საბა სულთანიშვილი. სულთანიშვილის თაობაზე მოლაპარაკებები მთავრდება გორის „დილასთან“ და მალე საბაც ვიტჯორჯიელი იქნება.

თსუ-დან სამი მოთამაშე შევიგულეთ. მირზა მერლანი, გიორგი დეკანოსიძე და გიორგი ადამია „ვიტ ჯორჯიასთან“ ერთად ბაკურიანში არიან შეკრებაზე.

ჩვენი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება წარმოშობით ქუთაისელი, იქაური საფეხბურთო სკოლის აღზრდილი პერსპექტიული ახალგაზრდა შოთა ხეცურიანი და 1982-83 წლებში დაბადებული კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი.

ვიტჯორჯიელი გიორგი მორჩილაძე თსუ-ში გავანათხოვრეთ. გიორგის შესაძლებლობებში დარწმუნებულები ვართ. იგი მეთერთმეტე ეროვნულის დასკვნითი ეტაპიდან შემოგვიერთდა და ძირითადში ადგილის დამკვიდრება გაუჭირდა. მწამს, მორჩილაძე იტყვის თავის სიტყვას, ამ ეტაპზე კი მისი თსუ-ში თამაში ჯობს, სათამაშო პრაქტიკა არ მოაკლდება.

თსუ-მვე შეიმატა აწ უკვე ყოფილი ზოოვეტელი გიგა შედანია. სასელექციო მუშაობა ჯერაც არ დამთავრებულა. ჩვენ კვლავაც მივაქცევთ უდიდეს ყურადღებას ახალგაზრდა, პერსპექტიულ მოთამაშეებს.

19 ივნისიდან 1 აგვისტომდე

— „ვიტ ჯორჯიამ“ მეთერთმეტე ეროვნულის დამთავრების შემდეგ ვარჯიში 7 ივნისამდე გაგრძელა. მერე გუნდი ორკვირიან შვებულებაში გავუშვით. ფეხბურთელებმა 19 ივნისამდე დაისვენეს. 19-ში მცხეთაში შეიკრიბნენ, სამი დღე ივარჯიშეს და 22 ივნისს ბაკურიანში გაემგზავრნენ ორკვირიან შეკრებაზე. იქ სამჯერად წვრთნას გადიან.

„ვიტ ჯორჯია“ თბილისში 4 ივლისს დაბრუნდება, სამ საკონტროლო მატჩს ჩაატარებს თსუ-სთან, „ზოვეტთან“ და „ჭაბუკიანთან“, ხოლო 13 ივლისს გერმანიაში გაემგზავრება, თითქმის სამი კვირით. გერმანიაში 8 საკონტროლო თამაში გვექნება. მეტოქეებად ბუნდესლიგის „კოტბუსი“, და „ჰანზა“, მეორე ბუნდესლიგის „ზანქტ პაული“, რეგიონალიგის „უნიონ ბერლინი“, „ლიუბეკი“, ხოლო ობერლიგის „ხოხენხამენი“, „ზარაუ“ და „ხაილიგენხაფენი“ შევარჩიეთ. მათთან 16-28 ივლისს ვითამაშებთ.

პირველი აგვისტოდან მცხეთაში ვივარჯიშებთ და „ბეითარის“ სტუმრობას დაველოდებით.

საფეხბურთო ფორუმი

— ევროთასების წილისყრა ის დღესასწაულია, რომელსაც ფეხბურთის გარშემო მოტრიალე ადამიანი ცხოვრებაში ერთხელ მაინც უნდა დაესწროს. მთელი საფეხბურთო ევროპა იქ იყო თავშეყრილი და იმ სანახაობას სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია.

როგორც კი „ვიტ ჯორჯიას“ მეტოქე გაირკვა, მაშინვე დავუკავშირდი „ბეითარის“ პრეზიდენტ მოშე დადაშს. საათნახევრიანი შეხვედრა გამოგვივიდა და თითქმის ყველაფერზე დეტალურად მოვილაპარაკეთ.

„ბეითარს“ ჩვენს გარდა შეიძლებოდა სომხური „მიკა აშტარაკი“, ალბანური „ტომორი“ და მაკედონური „ბუდუჩნოსტი“ შეხვედროდა. დადაში მინცდამაინც აღტაცებული არ ჩანდა, მეტოქედ „ვიტ ჯორჯია“ რომ ერგო.

ებრაელები თბილისს თავიანთი თანხებით ეწვევიან, საპასუხო შეხვედრაში დანახარჯს თავად გავიღებთ. აქ ჩვენ გავუწევთ მეგზურობას და ყველანაირი ორგანიზაციული საკითხების გადაჭრაში ხელს შევუწყობთ, იქ ისინი იკისრებენ ამგვარ მოვალეობას.

სხვათა შორის, იერუსალიმში სასტუმრო უკვე შევარჩიეთ. „ვიტ ჯორჯია“ თამაშამდე ორი დღით ადრე ხუთვარსკვლავიან სასტუმრო „ჰოლიდეი ინ კრაუნ პლაზაში“ დაბინავდება.

შვეიცარიაში შეხვედრა გვქონდა „გლობალ სპორტნეტის“ წარმომადგენლებთან. მომდინარეობს მუშაობა და სულაც არ არის გამორიცხული, თბილისური მატჩის ტელეტრანსლაცია ირუსალიმში გადაიცეს.

ვცდილობთ, ამომწურავი ინფორმაცია შევაგროვოთ „ბეითარის“ შესახებ. ამისთვის ჩვენი პარტნიორები ყველა გზას მოსინჯავენ. ემილ დანჩევი, ბულგარული სოფიის ცსკა-ს სააგენტოს გენერალური დირექტორი და ვოია ივნოვიჩი, შვეიცარიული საფეხბურთო მენეჯმენტ სერვისის წამყვანი მენეჯერი ყოველმხრივ, ამომწურავ ინფორმაციას გვაახლებენ.

ვოია ივანოვიჩმა გაგვანდო, რომ ბეითარი“ შეკრებას შვეიცარიაში გაივლის და იქ ჩვენი მზვერავი ებრაელთა ყველა ნაბიჯს გულდასმით შეისწავლის.

რაც შეეხება შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსებს, მე კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ის ორივე გუნდისთვის თანაბარია, ორმოცდაათი ორმოცდაათის წინააღმდეგ.

მამუკა ძვანტალიანი

მუჯირი ხომერიკის გზაზე

ბათუმიდან შვეიცარიას გადაბარგებულმა ლევან ხომერიკმა, როგორც ჩანს, ისე მოაწონა თავი „არაუს“ ხელმძღვანელობას, რომ მათ კიდევ ერთი ბათუმელის გადაბარება მოაწადინებინა.

გუშინ „ბათუმმა“ „არაუდან“ კლუბის პრეზიდენტის ხელმოწერილი ფაქსი მიიღო, ამირან მუჯირი კარგი ფეხბურთელი ყოფილა და ისიც კარგი იქნება, უახლოეს დღეებში ჩვენთან თუ გამოუშვებთო.

ამ წინადადების წინააღმდეგი „ბათუმი“ არ არის, სიამოვნებითო, შეუთვალეს შვეიცარიელებს და ივლისში, ან ოდნავ მოგვიანებით ამირან მუჯირს „არაუს“ გაამგზავრებენ. ლაპარაკი კონტრაქტის გაფორმებაზე არ ყოფილა. „არაუმ“, მუჯირს ჯერ გავსინჯავთ და როცა დავრწმუნდებით, რომ გამოგვადგება, დანარჩენი მერე იყოსო.

შეგახსენებთ, ამირან მუჯირს უცხოეთში უკვე ნათამაშევი აქვს. ადრე ის ისრაელის ფეთახთიქვას „ჰაპოელის“ ფეხბურთელი გახლდათ, მერე კი ისევ საქართველოს მოაშურა, ერთი სეზონი „დინამოში“ დაჰყო და კვლავ „ბათუმში“ დაბრუნდა.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ ლევან ხომერიკმა „არაუს“ შემადგენლობაში შაბათს მეორე საკონტროლო მატჩიც ჩაატარა. პირველი შეხვედრის მსგავსად არაუელები კვლავ დამარცხდნენ, ამჯერად ქვედალიგელ „ვინტერტურთან“ — 0:2. ხომერიკმა შეუცვლელად ითამაშა. შეგახსენებთ, პირველი საკონტროლო მატჩი „არაუ“ ავსტრიულ „ტიროლთან“ 3:4 წააგო. მაშინ ჩვენებურმა ერთი გოლი გაიტანა.

ძოგა ინასარიძე

რა ელის სევასტის?

ეს პირველი შემთხვევა არ არის, ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ „ვიტ ჯორჯია“ დაზარალდეს, ჩვენი კლუბის წინააღმდეგ პარტიზანული მოქმედება არავის შერჩება — ასეთი განცხადების გაკეთება ცოტა მოულოდნელიცაა ისეთი გაწონასწორებული პიროვნებისგან, როგორიც გურამ რუხაძეა. მაგრამ „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტს და კლუბის მწვრთნელებს აღშფოთების საბაბი ნამდვილად აქვთ. უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩისთვის სამზადისში ვეტერინარებს დასაწყისშივე პრობლემები შეექმნათ. 22 ივნისს საწვრთნელი ციკლის პირველი ეტაპის ჩასატარებლად XI ეროვნული ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა ბაკურიანს მიაშურა. შეკრებაზე მხოლოდ კლუბის და ეროვნული ნაკრების მცველი სევასტი თოდუა არ გამოცხადდა. მალევე გაირკვა, რომ თოდუას ბაკურიანში ჩასვლა აზრადაც არ მოსვლია. მიზეზი მარტივია. ეს ფეხბურთელი გუნდის ხელმძღვანელობის დაუკითხავად სხვა თბილისურ კლუბს — „ლოკომოტივს“ შეუერთდა.

სანამ გურამ რუხაძის ამ ფაქტისეულ სრულ კომენტარს გაეცნობით, მანამდე შეგახსენებთ, რომ სევასტი თოდუას წარმატებულ საფეხბურთო კარიერას სწორედ გურამ რუხაძემ ჩაუყარა საფუძველი. შარშან ბევრისთვის უცნობი ახალგაზრდა ფეხბურთელი, სამტრედიის „იბერიიდან“ რუხაძის რეკომენდაციით მოხვდა „ვიტ ჯორჯიაში“, ამ გუნდთან ერთად ჩემპიონატში ვერცხლის პრიზიორიც გახდა და ეროვნულ ნაკრებში თამაშიც დააჭაშნიკა. დღეს კი მისი გზის გამკვალავი მოტყუებულია და შეურაცხყოფილად გრძნობს თავს: „თოდუა რომ სამტრედიიდან წამოვიყვანეთ, ყველანაირი პირობა შევუქმენით. ისიც სრულად აკმაყოფილებდა გუნდის მოთხოვნებს. ყველაფერი ვიღონეთ საიმისოდ, რომ სევასტის ფეხბურთის გარდა არაფერზე ეფიქრა, ჩვენი ურთიერთობაც შედეგიანი და ეფექტური იყო. მალე თოდუა ეროვნულ ნაკრებში მიიწვიეს და ყველაფერი აქედან დაიწყო. ნაკრებიდან დაბრუნებული საოცრად შეცვლილი ჩანდა, ვერ ცნობდნენ მწვრთნელები და თვით თანაგუნდელებიც კი. ადვილი მისახვედრია, რა გავლენის ქვეშაც იმყოფებოდა. თოდუას „ვიტ ჯორჯიასთან“ კონტრაქტი 2000 წლის 16 ივლისს უმთავრდება, მიუხედავად ამისა, მან უხეშად დაარღვია კლუბთან დადებული ხელშეკრულება და თვითნებურად მიგვატოვა. მე, როგორც „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტი, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ასეთი ფეხბურთელი კლუბს აღარ სჭირდება და ნებისმიერ შემთხვევაში სევასტი თოდუას „ვიტ ჯორჯიასთან“ განშორება მოუწევს, მაგრამ მის მსურველ კლუბს ბოლო თეთრამდე გადავახდევინებთ საკომპენსაციო თანხას. არც ის არის გამორიცხული, თოდუამ ფიფა-უეფას წესების თანახმად დისკვალიფიკაციაც გამოჰკრას ხელი“. პრეზიდენტის აზრს გუნდის მთავარი მწვრთნელი სერგო კოტრიკაძეც იზიარებს: „რა თქმა უნდა, დიდი ძალა მოგვაკლდა, მაგრამ გუნდის ინტერესები უმთავრესია. ასეთ ორჭოფულ და მერყევ პიროვნებას „ვიტ ჯორჯიაში“ არაფერი ესაქმება. რა თქმა უნდა, მოულოდნელია ის, რომ ეს ფეხბურთელი დღეს „ლოკომოტივში“ ვარჯიშობს. რკინიგზულ კლუბს ჩვენთვის ამის შესახებ ოფიციალურად არაფერი უცნობებია, რა თქმა უნდა, სამომავლო გეგმებზე თოდუასთან ადრე ბევრჯერ მისაუბრია, მაგრამ მისგან გადაჭრით პასუხი არასდროს მიმიღია. ვიმეორებ, იგი ერთობ მერყევი პიროვნებაა“.

ბუნებრივია, საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით მთავარ მოქმედ პირთან დაკავშირებაც ვცადეთ, თუმც სევასტი თოდუა ვერაფრით მოვიხელთეთ. დავუკავშირდით სფფ-ის სატრანსფერო კომიტეტსაც. იქ კი გვაცნობეს, რომ თოდუა ოფიციალურად ჯერაც „ვიტ ჯორჯიას“ საკუთრებაა და ამ ფეხბურთელის გადაბარების თაობაზე არც ერთი გუნდის განაცხადი არ შემოსულა. პრობლემა კი კვლავაც პრობლემად რჩება და შესაძლოა უფრო გამწვავდეს კიდეც, თუ „ვიტ ჯორჯიას“ ხელმძღვანელები ფიფა-უეფასეული კანონით იხელმძღვანელებენ. მსგავს შემთხვევებს კოდექსი მწვავე ვერდიქტებს უყენებს. წესის და სატრანსფერო დებულების მეოცე პუნქტის თანახმად, ფეხბურთელის გადაბარების მსურველმა კლუბმა ფეხბურთელთან მოლაპარაკების დაწყებამდე მისი გუნდის ხელმძღვანელობა უნდა ჩააყენოს საქმის კურსში, წინააღმდეგ შემთხვევაში, საჯარიმო თანხის გადახდა არ ასცდება. იმ ფეხბურთელს კი, რომელიც თვითნებურად დატოვებს კლუბს და ხელშეკრულებას დაარღვევს, კონტრაქტის ვადის გასვლის ბოლომდე დისკვალიფიკაცია და ჯარიმა ელის.

პაატა ძვანტალიანი

სევასტი თოდუა (მარცხნივ), თენგიზ კობიაშვილი და „ტორპედოს“ მალხაზ ასათიანი

ბადრი კვითელაშვილის ფოტო

ლოკომოტივს აკონტროლებენ

საქართველოს თასის მფლობელ თბილისის „ლოკომოტივში“ დღეს არსებულ ვითარებაზე სახარბიელოაო, არ ითქმის. ბოლო ხანს ქართული კლუბებიდან ფინანსურად ერთობ შეძლებულს, როგორც ჩანს, მძიმე დროება დაუდგა. მიზეზი არ ვიცით. კლუბის მესვეურნი კონკრეტულად არაფერს ამბობენ, თავს იკავებენ, თუმც ფაქტია — „ლოკომოტივს“ გაუჭირდა. ხელფასები არ დარიგებულა. ისე კი ხმები დაირხა, რკინიგზის დეპარტამენტსა და საფეხბურთო კლუბ „ლოკომოტივის“ ფინანსური ურთიერთობით კონტროლის პალატა დაინტერესებულა, სახელმწიფოს ფულს კლუბს რად ახმართო. სიტყვამ მოიტანა და იმასაც ამბობენ, კონტროლის პალატა ფოთის ნავსადგურისა და იქაური „კოლხეთის“ ამბებსაც იკვლევსო.

ერთი სიტყვით, „ლოკომოტივში“ საქმეები, ცოტა არ იყოს, არევის პირასაა. ამის ბრალია, თუ რისი, „ლოკომოტივმა“ ბორჯომში დაგეგმილი შეკრებაც გადაიფიქრა, იქ უხარისხო სავარჯიშო მოედანიაო. ამჯობინა, რამდენიმე დღეს თბილისში გააგრძელოს მომზადება. ბრატისლავის „სლოვანთან“ უეფას თასის საკვალიფიკაციო მატჩამდე კი კლუბი, ალბათ, ლავოდენში გაივლის შეკრებას.

ჯერჯერობით ისიც უცნობია, ვინ დატოვებს რკინიგზელებს ან ვინ შეემატებათ. ამბობენ, „ლოკომოტივიდან“ კახა გოგიჩაიშვილიც მიდისო.

სხვა კი... „ლოკომოტივი“ თბილისის „ვიტ ჯორჯიასთან“ აპირებს მოლაპარაკებას მცველ სევასტი თოდუას გადასაბირებლად. მოსალოდნელია, რომ რკინიგზელებმა „სლოვანთან“ მატჩამდე კიდევ სამი, ჩვენს პირობაზე ძლიერი ფეხბურთელიც დაიმატონ. ვინ, არ ამბობენ.

ქოგა ინასარიძე

დინამო დაამთავრა

ათ დღეში ექსჩემპიონს მურთაზ ხურცილავა და სერგო კუტივაძე ჩაიბარებენ

საქართველოს ათგზის ჩემპიონი თბილისის „დინამო“, „სტანდარდთან“ ლიეჟში ფრედ დამთავრებული მატჩის შემდეგ, თუმც ორი თამაშის ჯამში წაგებული, თბილისს დღეს დაბრუნება და ხვალიდან ათ დღეს დაისვენებს — ბიჭები გადაღლილები არიან, ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ დღე არ ჩაუგდიათ — გვითხრა „დინამოს“ პრეზიდენტმა მერაბ რატიანმა, მისივე თქმით, გუნდი ახალი სეზონისთვის მზადებას ახალი, თუმცაღა ძველი, მწვრთნელებით განაახლებს — ათი დღის შემდეგ „დინამოს“ მწვრთნელი მურთაზ ხურცილავა იქნება, თანაშემწე — სერგო კუტივაძე. მერაბ რატიანის განცხადებით, ხურცილავა და კუტივაძე ალბათ ახალგაზრდულ ნაკრებშიც იმუშავებენ, მიუხედავად იმისა, რომ კუტივაძეს ნაკრებში დარჩენაც სურს, ხურცილავა კი ამის წინააღმდეგიაო — გვითხრა წუხელ მერაბ რატიანმა.

ქოგა ინასარიძე

საზაფხულო მიდი-მოდი

		გასხვისებულები	ახალწვეულები	სეზონთშორისი
	ტორპედო *დავით ყიფიანი*	ბობოხიძე (დინამო), ვაჩიბერაძე (ლოკომოტივი), იმედაძე (დინამო, კიევი, უკრაინა)		20 ივნისიდან ქუთაისში ვარჯიშობს. მოგვიანებით 10 დღით თბილისში, მერე კი ესტონეთში შეკრიბება
	ვიტ ჯორჯია *სერგო კოტრიკაძე*		სულთანიშვილი (დილა), ჭილაძე (ს.ა. იბერია)	22 ივნისიდან ბაკურიანში ორკვირიან შეკრებაზეა, 13 ივლისიდან 1 აგვისტომდე გერმანიაში მოემზადება
	დინამო *ჯემალ ჩიმაკაძე*	დიდავა, წიტაიშვილი (მაკაბი, თ-ა, ისრაელი), ხიზანიშვილი (კრივბასი, უკრაინა), ო. გველესიანი (ბათუმი), ხუციშვილი, მინაშვილი (ტრანსფერზე არიან),	ბობოხიძე (ტორპედო), კ. გოგოლაძე (სიონი), ბურდული (თბილისი), კ. მეტრეველი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა)	შამქირი (აზერბაიჯანი) 1:1, სტანდარდი (ბელგია) 2:2, 1:1
	ბათუმი *ჯანი კარნეგელი*	მ. მახარაძე (კარიერა დასრულა), ხომერიკი, ა. მუჯირი (არაუ, შვეიცარია), ტოგონიძე, ჩლაიძე, თარგამაძე, ხუჯაძე, მაჭუტაძე, გელა ქორიძე (?)	ო. გველესიანი (დინამო), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (კოლხეთი), ბ. შენგელია (სიონი), მაჭავარიანი (თბილისი)	7 ივნისიდან შვებულებაშია 3 ან 4 ივლისს ბათუმში შეკრიბება
	კოლხეთი *გია ტყებუჩავა*	შალამბერიძე, ღაღანიძე, ტრაპაიძე (ტავრია, უკრაინა), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (ბათუმი)		21 ივნისიდან ფოთში ვარჯიშობს
	სიონი *სპარტაკ არჩვაძე*	კ. გოგოლაძე (დინამო), ბ. შენგელია (ბათუმი), ვ. მაისურაძე (?)		27 ივნისიდან ბოლნისში ვარჯიშობს
	იბერია *სოსო ფრუიძე*	ვ. გიგიაძე, ი. გიგიაძე (ტორპედო, მოსკოვი, რუსეთი), ჟვანია, ნაროუშვილი (ლოკომოტივი)		
	დილა *მერაბ ხუციშვილი*	სულთანიშვილი (ვიტ ჯორჯია); მერაბ კოჭლაშვილი (მწვრთნელი)	მერაბ ხუციშვილი (მწვრთნელი)	21 ივნისიდან გორში ვარჯიშობს
	მერანი *სერგო გაბელაია*			1 ივნისიდან შვებულებაშია. 1 ივლისიდან თბილისში შეკრიბება. თვის ბოლოს ლაგოდეხში, მოგვიანებით კი რუსეთში ან უკრაინაში მოემზადება
	ლოკომოტივი *რევაზ ძოძუაშვილი*	კაციაშვილი (მარგველთი), ჯულელი (?, რუსეთი), გოგიჩაიშვილი (?)	ვაჩიბერაძე (ტორპედო), ჟვანია, ნაროუშვილი (იბერია), ზურაბ აიანადი (ხობი)	25 ივნისიდან თბილისში ვარჯიშობს მოგვიანებით ლაგოდეხში მოემზადება
	თსუ *თენგიზ კაცია*	ბართიშვილი (ტრანსფერზეა), მაზიაშვილი, ბარქაია (კონტრაქტები დაუმთავრდათ)		27 ივნისიდან მცხეთაში ვარჯიშობს
	გორდა *იასონ ალადაშვილი*			28 ივნისს რუსთავში შეკრიბება

შენიშვნა: ტრანსფერთა უმრავლესობა საბოლოო არ არის

სლოვაკეთმა საამაყო შვილი დაკარგა

რამდენიმე დღის წინ ტრაგიკულად დაიღუპა სლოვაკეთის ეროვნული ნაკრების წევრი პეტერ დუბოვსკი. ტაილანდში დასასვენებლად მყოფმა ფეხბურთელმა კლდიდან ტბაში გადახტომა მოინდომა, მაგრამ ცუდად გადახტა და...

დუბოვსკიმ თავის ტვინის მძიმე ტრავმა და სხეულზე მრავალრიცხოვანი ჭრილობები მიიღო. მიუხედავად ამისა, მისი გადარჩენა მაინც შესაძლებელი ყოფილა. „ფეხბურთელი ახლა ცოცხალი იქნებოდა, სამედიცინო დახმარება რომ დროულად აღმოეჩინათ" — იტყობინება ერთ-ერთი სლოვაკური რადიო. „სლოვაკეთმა საამაყო შვილი დაკარგა" — ამ და სხვა ამგვარი შინაარსის სათაურებითაა აჭრელებული სლოვაკური პრესა.

პეტერ დუბოვსკი საფეხბურთო სამყარომ ჯერ კიდევ ჩეხოსლოვაკიის ნაკრებში თამაშისას გაიცნო. თავდამსხმელმა მის რიგებში 14 მატჩი ჩაატარა, თუმცა თავის გამოსაჩენად ესეც ეყო. ჩეხოსლოვაკიის დაშლის შემდეგ იგი ბრატისლავის „სლოვანში" გამოდიოდა და სლოვაკეთის ეროვნული გუნდის ღირსებას იცავდა. იგი ნაკრების უდავო ლიდერი გახლდათ. ბოლო წლებში დუბოვსკი ესპანეთში თამაშობდა. ჯერ მადრიდის „რეალში" იყო, იმქვეყნად კი „ოვიედოს" წევრად წავიდა.

REUTERS სურათიდან

დაგვიანებით მისულმა ტაილანდელმა მაშველებმა პეტერ დუბოვსკის გადარჩენა ვეღარ შეძლეს

„დუბოვსკი სლოვაკეთის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელია. იგი ჩვენთვის ყოველთვის ლეგენდარულ პიროვნებად დარჩება" — წერენ სლოვაკური გაზეთები.

ინტერტოტოს თასი. I ეტაპი

საპასუხო მატჩები. 24-25 ივნისი

INTERTOTO CUP

ტატაბანია (უნგრეთი) 3:0 ტორსჰაგენი (ფარერები) (4:0)
ჩაჰლაული (რუმინეთი) 4:2 ნარვა (ესტონეთი) (5:2)
სიგმა (ჩეხეთი) 1:0 არაქსი (სომხეთი) (2:1)
სტაბეკი (ნორვეგია) 2:0 ფლორიანა (მალტა) (1:1)
ატლანტასი (ლიტვა) 0:1 (პენ.5:3) ქოჯაელი (თურქეთი) (1:0)
ჰაპოელი (ფეთახ თიქვა, ისრაელი) 1:1 *ლინცერი (ავსტრია)* (1:2)
სლავენი (ხორვატია) 3:0 გლენავონი (ჩრდ. ირლანდია) (1:1)
ვილიაში (აზერბაიჯანი) 1:3 *ზაგლებე (პოლონეთი)* (0:4)
დინაბურგი (ლატვია) 1:0 ტრენჩინი (სლოვაკეთი) (0:0)
ვესტერლო (ბელგია) 0:6 *პრიმორიე (სლოვენია)* (0:5)
ზრინსკი (ბოსნია) 2:1 *ფრიოლუნდა (შვედეთი)* (0:1)
ობილიჩი (იუგოსლავია) 1:1 *ციბალია (ხორვატია)* (1:3)
სტანდარდი (ბელგია) 1:1 დინამო (საქართველო) (2:2)
სილკებორგი (დანია) 1:2 *მოგილიოვი (ბელარუსი)* (1:2)
ქსამაქსი (შვეიცარია) 3:3 მიუპა (ფინეთი) (2:1)
ლუცერნი (შვეიცარია) 4:4 *ლეიფტური (ისლანდია)* (2:2)
ველბაჟდი (ბულგარეთი) 0:0 დუბლინი (ირლანდია) (3:3)
ვლაჟნია (ალბანეთი) 1:2 *ნეა სალამინა (კვიპროსი)* (1:4)
ჰობშაიდი (ლუქსემბურგი) 0:1 *პელისტერი (მაკედონია)* (1:3)
უნისპორტი (მოლდოვა) 1:0 ქუიმბრან თაუნი (უელსი) (1:0)

II ეტაპი. 01-02. ივლისი — 08-09. ივლისი

უნისპორტი (მოლდოვა) — ზალცბურგი (ავსტრია)
ზენიტი (რუსეთი) — პრიმორიე (სლოვენია)
პერუჯა (იტალია) — სტანდარდი (ბელგია)
ნეა სალამინა (კვიპროსი) — აუსტრია (ავსტრია)
სტაბეკი (ნორვეგია) — ოსერი (საფრანგეთი)
დინაბურგი (ლატვია) — ოლბორგი (დანია)
ლინცერი (ავსტრია) — დუკლა (ჩეხეთი)
ატლანტასი (ლიტვა) — ბრედფორდი (ინგლისი)
მალიორკა (ესპანეთი) — ჩაჰლაული (რუმინეთი)
ბლშანი (ჩეხეთი) — მოგილიოვი (ბელარუსი)
სედანი (საფრანგეთი) — ლეიფტური (ისლანდია)
ქსამაქსი (შვეიცარია) — შტუტგარტი (გერმანია)
ზაგლებე (პოლონეთი) — სლავენი (ხორვატია)
ტატაბანია (უნგრეთი) — ციბალია (ხორვატია)
პელისტერი (მაკედონია) — ფრიოლუნდა (შვედეთი)
ველბაჟდი (ბულგარეთი) — სიგმა (ჩეხეთი)

ოქტანიის ეროვნებათა თასი

ავსტრალია 17:0 კუკის კუნძულები
1:0 აგოსტინო (18), 2:0 მუსკატი (21), 3:0 ტიატო (24), 4:0 ფოსტერი (30), 5:0 ზდრილიჩი (35), 6:0 ფოსტერი (42), 7:0 მუსკატი (45პ), 8:0 ფოსტერი (51), 9:0 ლაზარიდისი (55), 10:0 პოპოვიჩი (60), 11:0 ზდრილიჩი (65), 12:0 აგოსტინო (68), 13:0 კორიკა (70), 14:0 ფოსტერი (80), 15:0, 16:0, 17:0 ზანე (82, 87, 89)

ახალი ზელანდია 2:0 ტაიტი
1:0 ბუკენუგე (27), 2:0 ჯეკსონი (78)

სოლომონის კუნ-ბი 5:1 კუკის კუნ-ბი
1:0 სური (33), 2:0 მენაპი (47), 2:1 შეპერდი (55), 3:1 სამანი (63), 4:1 ომოკირიო (74), 5:1 კოტო (88)

ახალი ზელანდია 3:1 ვანუატუ
0:1 ივაი (14), 1:1 კილენი (46), 2:1 პერი (65), 3:1 კილენი (84)

ავსტრალია 6:0 სოლომონის კუნ-ბი
1:0 ჩაპერფილდი (6), 2:0, 3:0 ზანე (13, 34), 4:0 ომოკირიო (36ს.კ.), 5:0 მუსკატი (39პ), 6:0 კარდოზო (43)

ვანუატუ 3:2 ტაიტი
0:1 რუსო (2პ), 1:1 ბენი (49), 2:1 ივაი (60), 3:1 ტურა (77), 3:2 ამარუ (87)

ნახევარფინალი

ავსტრალია 1:0 ვანუატუ
1:0 მუსკატი (5პ)

ახ. ზელანდია 2:0 სოლომონის კუნ-ბი
1:0, 2:0 ს. ელიოტი (51, 55)

კირინის თასი

იაპონია 2:0 ბოლივია
1:0, 2:0 იანაგისავა (7, 34)
65 073 მაყურებელი

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

სიახლე!!!
პირველად საქართველოში!
რადიო „ევრიკა" გთავაზობთ
პროექტს „ევრო 2000"
RADIO EVRIKA 100.3 FM ყველაზე პიცების გაღება
გადაცემაში „ევრო 2000" თქვენ თამაშების წინ მოისმენთ:
- ცოტაოდენი რამ ევროპის ჩემპიონატის ისტორიიდან
- ინფორმაცია ფეხბურთელთა პირადი ცხოვრებიდან
- კურიოზები და ანეკდოტები ფეხბურთზე
- სტატისტიკური ცნობები ევროპის ჩემპიონატის შესახებ
- გასული თამაშის მიმოხილვა
- საუბარი იმ გუნდების შესახებ, რომელთა თამაშიც არის იმ დღეს, ხოლო გადაცემის ბოლოს მიიღებთ მონაწილეობას საინტერესო ვიქტორინაში.

გენერალური პრიზის მომწოდებელი — ტურისტული ფირმა „აფრა"

ფეხბურთის რუბრიკით

ინგლისელი მცველი სოლ კემპბელი, შესაძლოა „ინტერში" გადავიდეს. მილანური კლუბის პრეზიდენტი მასიმო მორატი არ მალავს, რომ 25 წლის ფეხბურთელის გადაბირება სურს. „ტოტენჰემის" პასუხი ჯერჯერობით უცნობია. ლონდონური კლუბის ხელმძღვანელობა ადრე აცხადებდა, რომ შეეცდებოდა, კემპბელი შეენარჩუნებინა. ინგლისიდან იტალიას, შესაძლოა რიო ფერდინანდმაც მიაშუროს, ახალგაზრდა ფეხბურთელით „რომა" არის დაინტერესებული.

პორტუგალიელი ფორვარდის, ნუნუ კაპუშუს შეძენა „არსენალს" და „ჩელსის" სურთ. „მეთოფეთა" თავკაცი არსენ ვენგერი „პორტუს" ხელმძღვანელობას რამდენჯერმე დაუკავშირდა და 27 წლის ფეხბურთელის შესაძლო ტრანსფერზე ესაუბრა. კაპუშუს შეძენის სურვილი ცოტა ხნის წინ მეორე ლონდონური კლუბის მთავარმა მწვრთნელმა, ჯანლუკა ვიალიმაც გამოთქვა. „პორტუს" პასუხი ჯერჯერობით უცნობია, არც სატრანსფერო თანხა განუცხადებიათ. კაპუშუ 1991 წლის მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის გმირჯგებულია, „პორტუში" იგი 1997 წელს ჩაირიცხა, თუმც ახლა არ არის გამორიცხული, რომელიმე წამყვან ევროპულ ჩემპიონატს მიაშუროს.

შოტლანდიური „დანდის" იტალიელ მწვრთნელს, ივანო ბონეტის ატილიო ლომბარდოს შეძენა განუზრახავს. 34 წლის ფეხბურთელი „ლაციოში" კიდევ ერთი სეზონით დარჩენაზე დათანხმდა, თუმცა არ არის გამორიცხული, შოტლანდიაში გადავიდეს. „ლომბარდომ „ლაციოსთან" კონტრაქტი გაახანგრძლივა, თუმცა მის გადმობირებას მაინც შევეცდები" — განაცხადა ბონეტიმ — ჩვენ მეგობრები ვართ. ჩემს გუნდში იგი ერთ-ერთი ძირითადი მოთამაშე გახდება".

სამხრეთკორეელი ფორვარდი იან იუნგ ვინი „პერუჯაში" გადავიდა, ფეხბურთელი 1 ივლისს ინტერტოტოს თასზე თამაშს შეძლებს. პერუჯელები აღმოსავლურ ბაზარზე ერთობ აქტიურობენ, შეგახსენებთ, რომ იაპონელი ჰიდეტოში ნაკატა სწორედ „პერუჯაში" თამაშობდა. მათ იტალიაში, შესაძლოა ჩინელი ნახევარმცველი მა მინ იუც გადაიბირონ, რომელიც თავისმა კლუბმა 500 ათას გირვანქად შეაფასა.

ესპანეთის ნაკრების ფორვარდ პედრო მუნიტისს მადრიდის „რეალი" ეპატიჟება. სამეფო კლუბი სანტანდერის „რასინგს" ფეხბურთელის სანაცვლოდ 9,3 მილიონ გირვანქას სთავაზობს. ესპანური პრესის ცნობით, მუნიტისის აგენტი „რეალის" ხელმძღვანელობას უკვე შეუთანხმდა და შესაძლო ტრანსფერზეც ესაუბრა. დედაქალაქელებს „ბეტისის" ფორვარდის, ალფონსო პერესის შეძენაც სურთ, თუმც სევილიური კლუბი მის სანაცვლოდ 16 მილიონ გირვანქას მოითხოვს, მადრიდელებს თანხა ეძვირათ.

ფრანგი მცველი ფრანკ დუმა მარსელის „ოლიმპიკიდან" „ლანსში" გაანათხოვრეს, ფეხბურთელი რამდენიმე თვის წინ „ნიუკასლში" თამაშობდა, თუმც, კლუბის გამოცვლა ირჩია. „ლანსის" ახალი მწვრთნელი როლან კურბისი გუნდის გაძლიერებას აპირებს და დუმას მიწვევა განიზრახა. მცველმა 1997 წელს „მონაკოს" შემადგენლობაში საფრანგეთის ჩემპიონობა მოიპოვა. შეგახსენებთ, რომ „ლანსი" ცოტა ხნის წინ პასკალ ნუმამ დატოვა, იგი „ბეშიქთაშში" გადავიდა. გუნდმა თავდასხმის ნაზი არგენტინელი ესტებან ფუერტეთი გააძლიერა, რომელიც ფრანგებმა „კოლონიდან" შეიძინეს.

იუგოსლავიელი ბორის ბუნიაჩი „ურალანის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. ელისტურმა კლუბმა მიმდინარე სეზონში უკვე მეოთხე მწვრთნელი გამოიცვალა, ბოლოს გუნდს ალექსანდერ ირხინი ავარჯიშებდა, რომელმაც თანამდებობა ერთ თვეში დატოვა. უცნაურია, მაგრამ ირხინი წინა ხუთშაბათს ცსკ-სთან 2:0 მოგების შემდეგ გაათავისუფლეს, „ურალანმა" 14 ტურში მეორედ გაიმარჯვა.

გაუშვით ჰიცფელდი გაიერნიდან

გერმანული პრესა ნაკრებში ორხელისუფლებიანობას არ გამორიცხავს

გაუშვით ოტმარ ჰიცფელდი, რომ მან გერმანიის ნაკრები ჩაიბაროს — მოითხოვენ გერმანელი პოლიტიკოსები მიუნხენის „ბაიერნის" ხელმძღვანელობისგან. ბუნდესკრებიდან ერიხ რიბეკის წასვლის შემდეგ მწვრთნელის პოსტი დღემდე ვაკანტურია. ერთ-ერთ შესაძლო კანდიდატად სწორედ ოტმარ ჰიცფელდს ასახელებენ. თავად სპეციალისტმა ამას წინათ განაცხადა, რომ ნაკრების სადაველებს სიამოვნებით ჩაიბარებდა, თუმც მიუნხენის „ბაიერნის" ხელმძღვანელობა ირწმუნება, რომ ჰიცფელდს კონტრაქტის დასრულებამდე, ანუ 2003 წლამდე არსად გაუშვებს.

„ბაიერნმა" თავისი ინტერესები გვერდზე უნდა გადადოს — აცხადებს ერთ-ერთი მაღალჩინოსანი პარლამენტარი — ოტმარს მას შემდეგ ვიცნობ, რაც დორტმუნდის „ბორუსიას" ხელმძღვანელობდა. მერწმუნეთ, იგი ნაკრების მწვრთნელობის საუკეთესო კანდიდატია."

კოლეგის აზრს დაეთანხმა მისი პოლიტიკური ოპონენტი, ქრისტიან დემოკრატთა ლიდერი ფრიდრიხ მერცი, რომელმაც განაცხადა: „ბუნდესკრებისთვის უდიდესი დახმარება იქნება, თუ მიუნხენის „ბაიერნი" ჰიცფელდს სანაკრებოდ გაუშვებს."

გერმანული პრესა არცთუ სახარბიელო დღეში ჩავარდნილი ნაკრების მწვრთნელებად დაუმისა და ჰიცფელდის დუეტს მიიჩნევდა, თუმცა „ლევერკუზენის" თავკაცმა შესაძლო შეთავაზება ადრევე იუარა: „ოფიციალურად ვაცხადებ, რომ გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი არ გავხდები, ჩემი კანდიდატურის განხილვა არცკი ღირს" — უთხრა კრისტოფ დაუმმა ჟურნალ „კიკერს".

ოტმარ ჰიცფელდმა კი ერთ-ერთ გამოსვლაში აღნიშნა: „ნაკრების მწვრთნელობა მართალიც საპატიოა. მზად ვარ, ეს წინადადება განვიხილო, „ბაიერნისა" და გერმანიის საფეხბურთო კავშირის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებები ვაწარმოო. თუმც, აქვე აღვნიშნავ, თუ გუნდში ორ მწვრთნელს დანიშნავენ, მე არ ვიმუშავებ, ნაკრებს მხოლოდ ერთი თავკაცი უნდა ჰყავდეს. ნებისმიერი სხვა შემოთავაზება ჩემთვის ხელსაყრელია."

„ბაიერნის" ხელმძღვანელობამ ჰიცფელდის გაშვებაზე უარი თქვა: „ოტმარ ჰიცფელდი გერმანიის ნაკრების მწვრთნელი ჯერჯერობით ვერ გახდება. მას არასდროს ჰქონია სურვილი, „ბაიერნთან" ხელშეკრულება შეეწყვიტა და გუნდიდან წასულიყო."

ნაკრების შესაძლო მწვრთნელებად გერმანული მედია ამჟამად უმუშევარ ჯოვანი ტრაპატონის ან იუპ ჰაინკესს განიხილავს, თუმც კონკრეტულად ამის შესახებ ჯერჯერობით არც ტრაპატონი და არც ჰაინკესი არ საუბრობენ.

ბუნდესნაკრები 16 აგვისტოს ესპანელებთან ამხანაგურ შეხვედრას გეგმავს, შემდეგ კი, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლიც იწყება. პირველ მატჩს გერმანელები 2 სექტემბერს საბერძნეთთან ჩაატარებენ.

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

კროკოს ბიშროებში ევროპის ჩემპიონატის მატჩების დღეებში შემოსვლის გარეშე იმუშაონებს (როცა თამაშები არ ტარდება — ჩვეულებრივი განრიგით)

ევროპის ჩემპიონატი. ნახევარფინალი

28 ივნისი

029	საფრანგეთი-პორტუგალია	1,65	3,3	4,7

29 ივნისი

030	ჰოლანდია-იტალია	1,9	3,2	3,5

მჩ შესარჩევი მატჩები

28 ივნისი

032	ბრაზილია-ურუგვაი	1,25	4,4	8,0
033	ვენესუელა-ბოლივია	4,4	3,1	1,6

29 ივნისი

034	კოლუმბია-არგენტინა	2,5	2,8	2,6
035	ჩილე-პარაგვაი	1,8	2,8	4,4
036	ეკვადორი-პერუ	2,1	2,8	3,3

რუსეთი. მე-15 ტური

27 ივნისი

037	სატურნი-ნ.ნოვგოროდი	1,35	3,5	7,0
038	ჩერნომორეცი-ანჟი	1,9	2,9	3,6
039	ტორპედო-როტორი	1,4	3,5	7,0
040	ზენიტი-ფაკელი	1,5	3,2	6,5
041	როსტსელმაში-სპარტაკი	4,7	3,0	1,7
042	ალანია-კრილია	1,5	2,9	6,5
043	ურალანი-ლოკომოტივი	5,0	3,2	1,6
044	ცსკა-დინამო	3,2	2,9	2,0

ავსტრია. სუპერთასი

30 ივნისი

045	ტიროლი-გრაცერი	1,7	3,1	4,4

I ტაიმი/ძირითადი დრო

			1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
		28 ივნისი									
23.45	079	საფრანგეთი-პორტუგალია	2,4	10,0	20,0	3,0	5,0	8,5	12,0	9,0	7,0
		29 ივნისი									
21.00	080	ჰოლანდია-იტალია	2,8	10,0	18,0	3,4	4,5	6,3	12,0	9,0	5,6

(დასაშვებია №№079-080 გადამრაელება)

ჩემპიონი

28 ივნისი (21.00)

101	ჰოლანდია	2,0
	იტალია	3,5
	საფრანგეთი	2,0
	პორტუგალია	5,3

ფინალში გასვლა

28 ივნისი (21.00)

201	ჰოლანდია	1,4
	იტალია	2,3
	საფრანგეთი	1,35
	პორტუგალია	2,6

(დასაშვებია ორი გუნდის გადამრაელება)

ევროპის ჩემპიონატის ბომბარდირი. 28 ივნისი (21.00)

701	მილოშევიჩი	4,0	701	ფ.ინძაგი	20,0
	კლუივერტი	1,1		ზენდენი	50,0
	კონსეისაუ	15,0		ტოტი	30,0
	ანრი	10,0		გომეში	15,0
	ფ. დე ბური	50,0		ანელკა	50,0
	დელ პიერო	50,0		ჯორკაეფი	30,0

იმ შემთხვევაში, თუ ორმა ან მეტმა ფეხბურთელმა გოლების თანაბარი რაოდენობა დააგროვა, დადებულ ფსონს ზემოთ მოგებული თანხა ბომბარდირთა რაოდენობაზე გაიყოფა

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში; №2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი; თემქა, მე11-ე მიკრორაიონი, პირველი კვარტალი და

ახალი ბიუროები: ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან) და წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა №16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში.
ბათუმში — ლუკა ასათიანის (ყოფილი ჯაფარიძის) ქუჩა №67, II სართული.
გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი.
თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

რუსთავში ხანმოკლე პაუზის შემდეგ კვლავ მუშაობს „კროკოს“ განახლებული ბიურო. მისამართი: შარტავას 7.

დახაშვებია მხოლოდ ის გადამრაელებები, რომლებიც მითითებულია სიაში არასწორი გადამრაელებისას. დარჩება პროგნოზთა ის ჯგუფი, რომლის კოეფიციენტთა ნამრაელიც მცირეა

გადამრაელება დასაშვებია მხოლოდ იმ წესით რომელიც ზემოთ არის მითითებული

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ითამაშებს ბასკო კორაჩზე?

ამას ჩრდილოეთიდან პასუხი გაარკვევს

ქართულ კალათბურთში ახლა დასვენების დროა და გულში ჯერაც მოზეიმე ქვეყნის ახალი ჩემპიონი, ბათუმის „ბასკოც“ სამომავლოდ იკრებს ძალებს. ისვენებს რუსთავის „აზოტიც“, რომელსაც ფინალში ზედიზედ მესამედ დამარცხებამ გარკვეულწილად ნირი წაუხდინა. უდავოა, მომქანცველმა სეზონმა და ემოციებით დატვირთულმა ფინალურმა სერიამ მწვრთნელ-კალათბურთელები გვარიანად დაღალა...

წლეულს „აზოტს“ უჩვეულოდ გაუგრძელდება არდადეგები. როგორც წესი რუსთაველები კორაჩის თასის ეშხით ადრიანად იწყებდნენ ვარჯიშს, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობამ ახლა ევროტურნირში მონაწილეობაზე უარი თქვა და მწვრთნელმა ოთარ ხმელიძემაც ხუთ აგვისტომდე დაითხოვა შეგირდები. პირველი, რაც გავიფიქრეთ, ის იყო, ვიცე-ჩემპიონს თავკაცები ფინალში წაგების გამო შემოსწყრენო. საბედნიეროდ, ასე არ აღმოჩნდა. ხმელიძის თქმით, „აზოტის“ შეფებს ჯერ კიდევ რეგულარული ჩემპიონატის დროს გაუფრთხილებიათ გუნდი, ფინანსურად საქმეები მთლად კარგად არ მიგვდის და კორაჩის თასზე თამაშისგან ამჯერად თავი შევიკავოთო. ამ მიზეზით რუსთაველებს გეგმები შეეცვალათ. წლეულს „აზოტი“ მანავში აღარ მოემზადება და მხოლოდ ურეკის შეკრებით დაკმაყოფილდება. აქამდე გუნდში საინტერესო ერთიც მოხდა — „აზოტი“ ივანე გოგოლაძემ დატოვა, რომელმაც საერთოდ დაანება თავი კალათბურთს.

რას აპირებს ზღვისპირული „ბასკო“? ბათუმელებს ჩრდილოეთ ევროპის საკალათბურთო ლიგაში თამაში ამოუჭრიათ გულში და ჯერაც ამ ლიგის მესვეურთა საბოლოო პასუხს ელიან. თუ მათგან უარი მიიღო, „ბასკო“ კორაჩის თასზე იასპარეზებს, თუმც ფედერაციაში განაცხადის წარდგენას მიანცდამაინც არ ეშურება ჩემპიონი, იქნება ჩრდილოეთ ლიგის მთავარმა კომისარმა შარუნას მარჩულიონისმა თავის ამქარში გამრიოსო.

„ბასკო“ ორ ივლისს შეიკრიბება. ამ დროისათვის ჩავლენ ბათუმში რუსი ლეგიონერები — ანდრეი ბელიაევი და ანტონ არხიპოვი, რომლებიც შვებულებას თავიანთ სამშობლოში ატარებენ. მთავარი მწვრთნელი ზურაბ ტომარაძე გადაჭრით ჯერ ვერ ამბობს, მომავალშიც დაიტოვებს თუ არა ამ ბიჭებს, თუმც ეტყობა, რომ გუნდის გადახალისება დაუგეგმავს. „ბასკოდან“ ჯერჯერობით არავინ წასულა, ხოლო იმას, თუ ვინ ჩაირიცხება კლუბში, ტომარაძე არ ამხელს.

გიორგი ბიკაშვილი

ევროპული ამბები

საფრანგეთი

გაბაფხულზე „ლიმოჟმა“ კორაჩის თასი მოიგო

ლიმოჟი საბოლოოდ გააგდეს

ლამაზი ისტორიის დასასრული

სწორედ ასე შეაფასა „ლიმოჟის“ კაპიტანმა იან ბონატომ საფრანგეთის კალათბურთის ფედერაციის გადაწყვეტილება. საფრანგეთის ჩემპიონს, ქვეყნისა და კორაჩის თასების მომგებ გუნდს ეროვნულმა საკალათბურთო ლიგამ პროფესიულ ჩემპიონატში მონაწილეობის მიღება აუკრძალა რამდენიმე კვირის წინ ვალების გამო. „ლიმოჟმაც“ საჩივრით ფედერაციას მიმართა, მაგრამ თავისი მაინც ვერ გაიტანა. „გვერდი გადაფურცლულია. ყველა კალათბურთელმა უდიდესი ძალისხმევის ხარჯზე ბრწყინვალე სეზონი ჩაატარა. ახლა კი გვშლიან. ძალიან იმედგაცრუებულნი და დათრგუნულები ვართ“ — დაამატა ბონატომ, რომელიც მომავალი სეზონიდან, თავისი თანაგუნდელების უმრავლესობის მსგავსად, ახალი კლუბის ღირსებას დაიცავს. გუნდი უკვე დატოვეს მთავარმა მწვრთნელმა, ჩერნოგორიელმა დუშკო ივანოვიჩმა, ცენტრმა ფრედერიკ ვეისმა და ამერიკელმა ლეგიონერებმა მარკუს ბრაუნმა და ჰარპერ უილიამსმა. სხვებიც ნელ-ნელა მათ გზას დაადგებიან.

„ფედერაციამ ნახა, რომ „ლიმოჟი“ თავის ფინანსურ ვალდებულებებს ვერ ასრულებს. არადა, კლუბის ხელმძღვანელობამ რამდენჯერმე განაცხადა ვალის მალე დაფარვის თაობაზე. თუმცა ყველა ეს განცხადება მტკნარი სიცრუე გამოდგა და ფულის კლუბის ანგარიშზე გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი არ არსებობს“ — თქვა ფედერაციის სააპელაციო კომიტეტის პრეზიდენტმა ელი ბარანჟემ პარასკევ საღამოს.

საფრანგეთის უძლიერეს კლუბს 20 მილიონი ფრანკის (დაახლოებით 5,4 მილიონი ლარი) დეფიციტი აქვს. ლიონელი საქმოსანი ჟან-კლოდ პერენი მზად იყო დაახლოებით ამისი ორი მესამედი სხვადასხვა წყაროებიდან დაეფარა, ოღონდ მომავალი სეზონის ბიუჯეტი 4 მილიონი ფრანკით (1,1 მილიონი ლარი) უნდა შემცირებულიყო, მაგრამ ფედერაცია გაჯიქდა და „ლიმოჟის“ კეთილისმსურველებს აღარ ენდო. შეგახსენებთ, რომ კლუბის ყოფილი პრეზიდენტი ჟან-პოლ დე პერეტი მისტიური აზიელი ინვესტორებისგან 40 მილიონ ფრანკს (10,8 მილიონი ლარი) ელოდა, მაგრამ „ლიმოჟის“ გადარჩენის ეს გზა სუფთა ბლეფი აღმოჩნდა.

ერთი სიტყვით, „ლიმოჟი“ პრო A-დან გააძევეს, მაგრამ ლიგის პრეზიდენტმა ალენ პელეტიემ ლიმოჟელები მთლად ვერ გაიმეტა და პრო B-ში თამაშის უფლება მისცა, რამაც „ლიმოჟის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი დიდიე შოკე ძალიან გაახარა. „მოყვარულებამდე თუ დავგაქვეითებდნენ, ვაპირებდით თავი ბანკროტად გამოგვეცხადებინა. ახლა შეიძლება, კლუბი საბოლოოდ არ გადაგურდეს“ — განაცხადა მან. თუმც ჯერჯერობით უცნობია, გაჰყვებიან თუ არა ახალი სპონსორები კლუბს პრო B-ში.

გაგი გურული

ევროპული ამბები

საბერძნეთი

დიდი ფულის ძალა: თურქი საბერძნეთში!

იბრაჰიმ ჭუთლუაი (№10)

ესპც პირველი თურქი კალათბურთელი, რომელიც საბერძნეთის ლიგაში ითამაშებს. 26 წლის იბრაჰიმ ჭუთლუაიმ სტამბოლის „ეფესი“ დატოვა და ათენის აეკ-ში გადავიდა.

ამ სეზონის ბოლომდე ჭუთლუაი სტამბოლის „ფენერბაჰჩეს“ საკუთრება იყო. შარშან იგი კლუბს ხელფასზე ვერ შეუთანხმდა და ამიტომ „ეფესში“ გაანათხოვრეს. „ფენერბაჰჩეს“ იმედი ჰქონდა, თურქული კალათბურთის ვარსკვლავს შევინარჩუნებო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ჭუთლუაი წლიურ ხელფასად მილიონ დოლარს ითხოვდა, „ფენერბაჰჩეს“ კი 750 ათასზე მეტის გადახდა არ შეეძლო.

ჭუთლუაის იმდენად უყვარს ფული, რომ საბერძნეთიდან მიღებული წინადადების განხილვასაც დათანხმდა. არადა, თურქეთ — საბერძნეთის ისტორიული და დღევანდელი ურთიერთობები ხომ მოგეხსენებათ... კალათბურთელი ერთხანს ეთათბირა აეკ-ს, მერე კი სამწლიან კონტრაქტსაც მოაწერა ხელი.

სამი სეზონის განმავლობაში ჭუთლუაი 4 მილიონ დოლარს მიიღებს, პირველ სეზონში — მილიონს, მეორეში — 1,4 მილიონს, მესამე — 1,6 მილიონს. აეკ-ის ვიცე-პრეზიდენტის იანის გრანიცასის თქმით, თუკი ჭუთლუაი თავს გამოიჩენს, თანხა შეიძლება გაიზარდოს.

ჭუთლუაი გახარებულია ახალი კონტრაქით და ამბობს: „ჩემმა ათენში გადმოსვლამ ხელი უნდა შეუწყოს თურქი და ბერძენი ხალხების დაახლოებას. საბერძნეთის ლიგა უძლიერესია ევროპაში და ბედნიერი ვარ, რომ მის ერთერთ საუკეთესო გუნდში ვითამაშებ. ჩემი აქ ყოფნა აეკ-ის მწვრთნელის, დუშან ივკოვიჩის ფაქტორითაცაა განპირობებული — იგი ძლიერი სპეციალისტია და მისგან ბევრ რამეს ვისწავლი. იმითაც მოხარული ვარ, რომ აეკ-მა ფეხი სტამბოლში აიდგა“.

მართალია ჭუთლუაი, აეკი საუკუნის დასაწყისში სტამბოლში დაარსებული გუნდია. მისი დამფუძნებლები სტამბოლელი (კონსტანტინოპოლელი) ბერძნები იყვნენ, რომლებიც მალე დაუბრუნდნენ ისტორიულ სამშობლოს და კლუბიც ათენში გადაიტანეს.

არიქა, საბერძნეთში კალათბურთელებს დიდ ფულს უხდიანო და მეორე თურქმა მოთამაშემაც, ნაკრების კაპიტანმა ჰარუნ ერდენაიმაც დაიწყო იქ კლუბის ძებნა. სტამბოლის „ულქერიდან“ წამოსულმა ერდენაიმ მოლაპარაკება გაბა სალონიკის პაოკ-თან. ამბობენ, კლუბი და კალათბურთელი ორწლიან კონტრაქტზე ბჭობენო. პაოკ-ს ასევე სურს ხორვატი ცენტრის სტოიან ვრანკოვიჩის გადაბირება. ვრანკოვიჩი 36 წლისაა და ადრე საბერძნეთში უთამაშია — სალონიკის „არისის“ და ათენის „პანათინაიკოსის“ ღირსებას იცავდა.

ინდიანა ლარის შენარჩუნებას ლამობს, მის ძველ ადგილს კი აიზიას სთავაზობს

ლარი ბერდი

1999-2000 წლების სეზონის ჩემპიონებად კურთხევის შემდეგ ფინალური სერიის უძვირფასესმა მოთამაშემ შაკილ ონილმა ცხელ გულზე თქვა, ნურავის ეგონება ამით დავკმაყოფილდებით, ეს მხოლოდ დასაწყისია. ახლა ცოტას დავისვენებთ და მეორე ოქროს შევუტევთო. მომავალ სეზონში მისი „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“ ფავორიტი იქნება თუ, რაღა თქმა უნდა, კლუბმა ეს შემადგენლობა შეინარჩუნა. ჩემპიონ გუნდს კი დაშლის საშიშროება ჯერჯერობით ნამდვილად არ ემუქრება, რასაც ვერ ვიტყვით „ლეიკერსისა“ მიერ ფინალში ძლეულ „ინდიანა პეისერზზე“. თუ გავითვალისწინებთ კლუბში მომხდარ თუ მოსალოდნელ ცვლილება-რეფორმებს, ამ გუნდს წლევანდელი შედეგის გამეორება გაუჭირდება.

აქამდე „ინდიანა“ თავის არსებობის მანძილზე ფინალში არ გასულა და წლევანდელი წარმატება თითქოს მისი შემდგომი აღმასვლის წინაპირობად უნდა იქცეს, მაგრამ სინამდვილეში საქმე პირიქითაა. „ინდიანა“ კარგა ხანია, აქეთ მიდიოდა და რაც შეძლო, მისი შესაძლებლობების ზღვარი იყო. ახლა ბოლო ათწლეულის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს დასუსტების საფრთხე ემუქრება.

ვიცე-ჩემპიონებისთვის უსიამოვნებები მწვრთნელ ლარი ბერდის გუნდიდან წასვლის შემდეგ დაიწყო. ლეგენდარული ლარი არასდროს მალავდა, რომ სამწვრთნელო კარიერას კონტრაქტის გასვლისთანავე დაასრულებდა. ამბობდა, „ინდიანაში“ ჩემი მესამე სეზონი უკანასკნელი იქნებაო. როგორ არ ეხვეწა კლუბის ხელმძღვანელობა, დარჩი კიდევ ერთი წლითო და სარფიანი კონტრაქტიც შესთავაზა, მაგრამ ბერდი შეუვალი აღმოჩნდა. ესეც საკმარისია ჩემთვის, სამმა სეზონმა გვარიანად დაძღალაო: „კლუბის ხელმძღვანელობასთან დიდხანს ვისაუბრე ამ საკითხზე. მტკიცედ გადავწყვიტე, უახლოესი ერთი წელიწადი დავისვენო, მეტი დრო დავუთმო ოჯახს, ცოლს, ბავშვებს. ერთი წლის შემდეგ გადავწყვეტ, რა საქმეს მოვკიდებ ხელს. ერთი კი უეჭველია, მწვრთნელობას არასდროს დავუბრუნდები“. მიუხედავად ამისა, კლუბის ბოსები ყველა ღონეს ხმარობენ, რომ ბერდი კლუბში დატოვონ თუ მწვრთნელად არა, ადმინისტრაციაში მაინც, სადაც მწვრთნელყოფილს ვიცე-პრეზიდენტობას სთავაზობენ. „ჩვენ გვჭირდება ლარი და ცდილობთ, იგი შევინარჩუნოთ“ — ამბობს „პეისერზის“ პრეზიდენტი დონი ვოლში. ლარის პასუხი კი ორჭოფულია — „ვნახოთ ერთი წლის შემდეგ“.

ლარი ბერდის წასვლის შემდეგ ბუნებრივად გაჩნდა კითხვა, ვინ დაიკავებს მის ადგილს? არის რამდენიმე კანდიდატი: ბერდის ასისტენტი რიკ კარლაილი, „საკრამენტოს“ მეორე მწვრთნელი ბაირონ სკოტი და აიზია ტომასი. ამ უკანასკნელს ყველაზე რეალური შანსი აქვს. ისევე როგორც თავის დროზე ბერდი, ვერც ტომასი მოიწონებს თავს თუნდაც მცირე სამწვრთნელო გამოცდილებით, მაგრამ კლუბი ამას მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ აქცევს და 80-90-იანი წლების ლეგენდარულ კალათბურთელთან აქტიურ მოლაპარაკებასაც აწარმოებს. ტომასი უსაქმოდ არაა, კალათბურთიდან წასვლის შემდეგ მან „ტორონტო რეპტორზის“ აქციების დიდი ნაწილი იყიდა და როგორც კლუბის მფლობელმა საკუთარი თავი კლუბის გენერალურ მენეჯერად დანიშნა. ერთი წლის წინ კი „ტორონტო“ გაყიდა და ქვეყნის ერთ-ერთი საკალათბურთო ლიგა, კონტინენტური საკალათბურთო ასოციაცია შეიძინა ათ მილიონად. თუ ტომასი მწვრთნელად მიიწვიეს, როგორც თავად ამბობს, სიამოვნებით მიანებებს თავს კბა-ს და მშობლიურ ინდიანას დაუბრუნდება. მშობლიურს იმიტომ, რომ ტომასი სწორედ ინდიანას შტატში დაბადებულ-გაზრდილა და უნივერსიტეტიც აქ დაუმთავრებია.

კალათბურთელობისას აიზია ტომასი თავისი დროის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ვარსკვლავი გახლდათ. მართალია, იგი ისე არ კაშკაშებდა, როგორც სხვა გიგანტები — მაიკლ ჯორდანი, მეჯიქ ჯონსონი და ლარი ბერდი, მაგრამ მან და მისმა „დეტროიტმა“ მაინც მოახერხეს და ამ ბუმბერაზების ეპოქაში ორჯერ გახდნენ ჩემპიონები. იქნება კი ტომასის სამწვრთნელო კარიერა ისევე წარმატებული, როგორიც საკალათბურთო. თუ ტომასს „ინდიანა“ ჩაბარეს, მას, თავისი წინამორბედისა და მეგობრის, ლარი ბერდის შედეგის გამეორება გაუჭირდება. ცვლილებებია მოსალოდნელი „პეისერზში“. სხვაგან გადასვლას აპირებენ გუნდის ვეტერანი ლიდერები — რეჯი მილერი და მარკ ჯეკსონი. კიდევ ერთ ლიდერს რიკ სმიტსს კარიერის დამთავრება განუზრახავს. მათი, განსაკუთრებით კი მილერის, სრულფასოვანი შემცვლელის პოვნა არცთუ იოლი საქმეა. ასე რომ, ტომასი ძნელ საქმეს ეჭიდება.

ირაკლი ფირაშვილი

ტაისონის ფსიქოპათოლოგიური ნოკაუტი

მაიკ ტაისონმა სავარეზე შეჭამა და ლუისსა და მის შვილებს იგივეს უპირებს

გაგიგიათ, ვინმეს 38 წამში 9 მილიონი დოლარი ეშოვოს? ადგეს ბილ გეიტსი, თუ ბიჭია და ასეთი რამ დაიკვეხოს! აი, მაიკ ტაისონი კი... ლუ სავარეზეს განადგურების შემდეგ პრესკონფერენციაზე გიჟს ჰგავდა და ენა არ გაუჩერებია, მაგრამ ამაზე ქვემოთ...

გლაზგოს „ჰემპდენ პარკში“ ტაისონისა და ლუ სავარეზეს ბრძოლისას ანშლაგი არ ყოფილა, ბევრს წარღნავით მოვარდნილმა თავსხმამ შეუშალა ხელი. საკრიკო გიგანტების გამოჩენამდე ფეხბურთის სტადიონზე მოწყობილი რინგი წვრილფეხობას დაეთმო და ისეთი მოსაწყენი ჩხუბები გაიმართა, კრივის დიდად მოყვარული ინგლისელი ბილეთში გირვანქასაც არ გადაიხდიდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ბევრს არვის უნახავს — სტადიონს წყლის ისეთი ნაკადი ეფრქვეოდა, მაყურებლები უფრო თავშესაფრის ძებნით იყვნენ გართულნი. შემდეგ გამოიდარა და როცა ტაისონი და სავარეზე რინგისკენ წამოგოგმანდნენ (სპეციალური კალოშები ეცვათ ფეხის მშრალად შენახვისთვის), ტრიბუნებზე ხალხმა იმატა. მოკრივეებს შესახედად არა უშავდათ, სავარეზეს სულ არ ეტყობოდა, ტაისონისნაირ მხეცთან დატაკება რომ ელოდა. ამ უკანასკნელს ხომ საერთოდ ფეხებზე ეკიდა ყველაფერი და რეფერიმ, ჯონ კოლმა, მალე ნიშანი მისცა. ამით დაიწყო... ტაისონმა სავარეზეს პირველი უთავაზა. ჯები იყო, საკმაოდ უწყინარი, მეორედ კი ისეთი სთხლიშა, სავარეზეს გონიერულად აფარებულმა თათმანმაც ვერაფერი უშველა, ტაისონის მუშტმა მასშიც გაატანა და იტალიელ იანკის საფეთქელში ეძგერა. სავარეზე დაეცა

მაიკ ტაისონი: ლუის, მე შენ გულს ამოგაცლი!

და კიდევ კარგი, თორემ ტაისონისგან შემზადებული მესამე დარტყმა უეჭველად იქვე აუგებდა ანდერძს. წაქცეული მალე წამოდგა, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ ზანგის ფუთიანი მუშტების ახალი დოზები მიეღო. მათგან ის მარცხენა ჰუკი უნდა გამოვარჩიოთ, თეთრკანიანმა ყბაში რომ მიიღო და რაღაც სასწაულით მაინც ფეხზე დატოვა. ბრძოლის დაწყებიდან ნახევარ წუთში რეფერი ამოქმედდა, სხვაგვარად არ ეგებოდა: ტაისონი მეტოქის მოსაკლავად იყო შემართული. კოილი თეთრი მანდილივით ჩავარდა მოჩხუბართა, უფრო სწორად, ნადირსა და მსხვერპლს შუა და მაშინ იყო, ტაისონმა მეტოქეს რომ გაუქანა. დარტყმის მცირე ნაწილი რეფერის ერგო და ისიც პატიოსნად გაიშოტა რინგზე, თუმცა მალევე წამოხტა და ჩხუბი შეაჩერა. ამაოდ ყვიროდა სავარეზე, გონსა ვარ და გაგრძელება შემიძლიაო, მსაჯმა სასაკლაოს გაგრძელება არ ისურვა და, ცხადია, სამართლიანად.

მასმედიასთან საუბრისას ჩვეული ტაისონი ვიხილეთ. მის ნაუბარს აშკარად სარეკლამო ელფერი დაჰკრავდა და, შესაძლოა, შოუს ნაწილი იყო, მაგრამ არც გულწრფელობის მომენტი უნდა გამორიცხოს. ლენოქსს ლუისს კი შეუძლია ჩაფიქრდეს. ასეთი მეტოქე ჯერ არ რგებია, ჩხუბის საბაბი კი, იცოცხლეთ, იმდენია, დათვლას ვერ აუვა კაცი. ჯერ მარტო ტაისონის მიმართვები წაიკითხეთ: „მე შენი გულის გამოღება მინდა“, „შენი ბავშვები უნდა შევჭამო“ და მისთანები, რაც ადრე ყურის ჭამაში შემჩნეული ტაისონისგანაც კი გასაკვირია. რამ გააცოფა ასე ეს კაცი? ალბათ თავისმა აუწყობელმა ცხოვრებამ და წინა კვირას მეგობრის დაკარგვამაც, რომლის ნათელ ხსოვნასა და ალაჰს უძღვნა სწორედ ტაისონმა სავარეზეს დაშხობა. მსოფლიო კრივში კი ორი კაცი გამოიკვეთა: ლენოქს ლუისი და მაიკ ტაისონი. ორივე ვაჟკაცია და ბრძოლას არ გაექცევა, მაგრამ ტაისონს თურმე სადღ მსჯელობაც შეუძლია: „ცოტა დავფანდი — თქვა მან პრესკონფერენციაზე — ორი კვირის ვარჯიში რას მიშველიდა და ლუისსაც ჯერ ვერ შევხვდები, მაგრამ როცა ჯანზე მოვალ, ვაი დედას! გავანადგურებ, მკერდიდან გულს...“ აქ დავამთავროთ.

დავით გულუა



მაიკ ტაისონის რკინის მუშტი რეფერისაც მოხვდა

მაიკლ ჯონსონი

მარიონ ჯონსი

მშვიდობაში, მარიონ!

ჰანტერის ცოლი ახალ სამოსში სიგრძეზეც კარგია

პორტლენდში საკმაოდ წარმომადგენლობითი ტურნირი მოეწყო და მასზეც ცოტას ვიტყვით, მაგრამ იმავე ამერიკულ იუჯინში იმდენი დიდებული მძლეოსანი ასპარეზობდა, მეტი ყურადღება ამ უკანასკნელს უნდა დაუთმოთ. პორტლენდში ორი ამბავი იქცევდა ყურადღებას — ამერიკელმა ალენ ჯონსონმა 110-მეტრიანი ბარიერებიანი გზა 13,27 წამში გალია და თამამად განაცხადა, ახლა ამ საქმეში კაცი ვერ მავობებსო, მერე კი დაამატა: „ვგრძნობ, 13 წამზე დაბლა ჩამოსვლაც შემიძლია, 12,9-იან შედეგსაც ვუჭვრეტ“. მაიკ მარში 32 წლისაა. 8 წლის წინ ბარსელონის ოლიმპიადა მოიგო, მერე ტრავმებმა შეაწუხეს, ახლა კი ისე ჩანს, რომ აღდგომა დაუდგა. მცირე ხნის წინ სელეში მარშმა ასმეტრიანზე 10,01 წამი უჩვენა და მართალია, პორტლენდში ჩვიდმეტი მეასედით მეტი მოანდომა, მაინც იმედიანადაა. უკანდასახევსაც ხერხიანად იტოვებს. „ვთქვათ, ცუდად წავიდა ჩემი საქმეები — მსჯელობს მარში — ვერ ვირბინე საჭიროებისამებრ. მერე რა... ყოველთვის შემეძლება იმის თქმა, რომ ბებერი ვარ. სხვები ამას ვერ იტყვიან“. პორტლენდშივე იყო სტეისი დრაგილა, მსოფლიოს პირველი მეჭოკე ქალი, რომელმაც პირველობა არავის დაუთმო. ახლა კი პორტლენდიდან სამხრეთისკენ ჩავიწიოთ:.

მაშ ასე, იუჯინი, ორეგონის შტატი, კვირა, სამძლეოსნო ტურნირი „პრეფონტეინ კლასიკი“, მონაწილეები: მორის გრინი, მაიკლ ჯონსონი, მერიონ ჯონსი, სი ჯეი ჰანტერი, მარია მუტოლა, გაბრიელა საბო და სხვა მრავალი. მსოფლიოს მძლეოსნობის ჭეშმარიტ ნაღებზეა ლაპარაკი. ყველაზე დამაინტრიგებელი გრინისა და ჯონსონის ერთ სარბიელზე ხილვა გახლდათ, მაგრამ მათი პირველი შეხვედრა ივლისში იქნება, ხოლო ჯერჯერობით ორივემ თავის მშობლიურ დისტანციებზე ირბინა და, ცხადია, მოიგო. ჯონსონის შედეგი უფრო შთამბეჭდავი იყო, 400 მეტრიანს ხუთი ნაბიჯი აკლდა, ამ დისტანციაზე ასეთი ნაბიჯების რაოდენობა ნორმალურია, ამიტომ ჯონსონის ნაბიჯები ასეთი ზომისაა. ამ ნაბიჯებით 400-მეტრიანი ბარიერებიანი გზა 47,36 წამში გაიარა, ეს ამ დისტანციაზე მეოთხე საუკეთესო შედეგია.

ბარაჭა, მაიკ!

ბაზარზე მეკარე გაძვირდა

„ძალიან კმაყოფილი ვარ. ეს ბიჭი მაგონებს მარტინ ბროდოს და, დარწმუნებული ვარ, რამდენიმე წლის შემდეგ მასზეც არანაკლებ ბევრს ილაპარაკებენ“ — ამბობდა სახეგაბრწყინებული აილენდერსის გენერალური მენეჯერი მაიკ მილბერი და საფუძველიც ჰქონდა. 2000 წლის დრაფტზე, რომელიც შაბათ-კვირას კალგარში გაიმართა, მართლაც უჩვეულო ამბავი მოხდა — დრაფტის პირველი ნომერი გახდა მეკარე, 18 წლის რიკ დიპიეტრო, რომელიც წლეულს ბოსტონის უნივერსიტეტის ღირსებას იცავდა. დიპიეტრო დიდებულად ფლობს ყვანჯს, ამან მილბერი ისე აღაფრთოვანა, რომ ერთობ მნიშვნელოვან გაცვლებსაც კი არ მოერიდა. რიკისთვის ძირითადში ადგილი რომ გაეთავისუფლებინა, მილბერიმ ერთბაშად ორი მეკარე დათმო, აქედან ერთი 1997 წლის დრაფტში აყვანილი რობერტო ლუონგოა, რომელიც თითქოს „კუნძულელთა“ კარის ძირითად დარაჯად უნდა ქცეულიყო. მილბერიმ დრაფტამდე ერთბაშად სამი ტრეიდი განახორციელა. ჯერ ლუონგო საიმედო ფორვარდ ოლი იოკინენთან ერთად ფლორიდაში ორ თავდამხსმელ — ოლეგ კვაშასა და მაიკ პერიშზე გაცვალა. შემდეგ მეკარე კევინ უიქისისა და შარშან მერვე ნომრად აყვანილი კრისტიან კუდროცის ნაცვლად ამ დრაფტში სამი არჩევანი, მათ შორის მეხუთე ნომერი მოიპოვა. ეს უკანასკნელი (მოვლენებს ოდნავ წინ გავუსწრებთ) პერსპექტიული ფორვარდი, მექსიკელი ჯამისა და პერუელი დედის შვილი, რაფი ტორესია.

საბოლოოდ კი მილბერიმ ედმონტონში ცნობილი მცველი რომან ჰამრლიკი შეიძინა, რაც ასევე ორი ახალგაზრდა მოთამაშის, მათ შორის მცველ ერიკ ბუერის ფასად დაუჯდა, თუმც მილბერიმ არც ეს იკმარა და დრაფტის შემდეგ ხალხი კიდევ ერთხელ გააოცა — მან მომავალ დრაფტზე არჩევის ფასად ფილადელფიის გამოცდილი, 37 წლის მეკარე ჯონ ვანბიზბრუკი შეიძინა. მიუხედავად იმისა, რომ „ბიზერმა“ ბრაიან ბუშეს დიდებული თამაშის გამო ძირითადი გოლკიპერის პოსტი წლეულს დაკარგა, მილბერი თვლის, იგი მაინც პირველხარისხოვანი მეკარეა და დიპიეტროსთვის მისაბაძი მაგალითი იქნებაო. ამრიგად, ზედიზედ მეორე სეზონია, აილენდერსი და მილბერი დრაფტის მთავარ ფიგურებად იქცნენ.

REUTERS კალეგარიდან

რიკ დიპიეტროს წარმატება პირველად მშობლებმა მიულოცეს

აილენდერსის შემდეგ წლევანდელი დებიუტანტის, ატლანტას ჯერი იყო და „თრეშერსმა“ ზედიზედ მეორედ, ცენტრალური სასკაუტო ბიუროს (ცსბ) მიერ საუკეთესოდ მიჩნეული ფორვარდი აირჩია. ამჯერად იგი დენი ჰიტლი გახლდათ (შარშან ჩეხი პატრიკ შტეფანი იყო). წარმოშობით კანადელი და გერმანიაში დაბადებული მოთამაშე წლეულს ვისკონსინის უნივერსიტეტის გუნდის ღირსებას იცავდა, სადაც 34 თამაშში 27 გოლი გაიტანა. იგი წლის საუკეთესო ახალბედაც გახდა სტუდენტურ ლიგაში და ახალგაზრდების მსოფლიოს ჩემპიონატზეც ნაკრებში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. თუმც 19 წლის ჰიტლი, რომელსაც ჩინებული საგოლე ალღოს გამო „გამტანი მანქანა“ შეარქვეს, ჯერ მოვლენების დაჩქარებას არ აპირებს და, შესაძლოა, მომავალი სეზონი კვლავ უნივერსიტეტის გუნდში ჩაატაროს.

მესამე და მეოთხე არჩევანი კი მომავალი სეზონის დებიუტანტებს ხვდათ წილად. მინესოტამ 18 წლის გარემარბი, სლოვაკი მარიან გაბორიკი აიყვანა, რომელმაც ქვეყნის ჩემპიონატში ჩატარებულ 50 თამაშში 25 შაიბა შეაგდო და თუ იგი დაცვას მეტ ყურადღებას მიაქცევს, ნამდვილად ვარსკვლავად უნდა იქცეს.

კოლუმბუსმა კი ჩეხ მცველ როსტისლავ კლესლას დაადგა თვალი. როგორც ვარაუდობენ, კლესლას წლეულსვე შეუძლია ლიგაში თამაში. აღსანიშნავია, რომ იგი 15 წლიდან ჩრდილოეთ ამერიკაში თამაშობს. წლეულს 74 მატში 45 (16+29) ქულა მიითვალა, რაც მცველისთვის ჩინებული შედეგია. გარდა ამისა, როსტისლავი ასაკთან შედარებით ძალიან გაბრეცულად და ხისტად თამაშობს, რის გამოც ბევრი კრის პრონგერ ადარებს.

ამის შემდეგ აილენდერსმა და ბოსტონმა, შესაბამისად, უკვე ნახსენები ტორესი, ჩრდილო-ამერიკაში მოასპარეზეთა შორის ცსბ-ს მიერ მესამედ მიჩნეული ფორვარდი სკოტ პარტნელი და შვედი მცველი ლარს იუნსონი აირჩიეს, მერე კი რუსების ჯერიც დადგა — მე-8 ნომრიდან 21-ემდე ერთბაშად რვა (!) რუსი ჰოკეისტი აიყვანეს. აღსანიშნავია, რომ მათი უმეტესობა 18-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობდა, სადაც რუსეთის ნაკრებმა, მიუხედავად ფინალში ჩეხებთან წაგებისა, ერთობ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. აღსანიშნავია, რომ აქედან ორი ჩიკაგომ აირჩია — ფორვარდები: პაველ ვორობიოვი (11) და მიხაილ იაკუბოვი (10).

საბოლოო ჯამში პირველ რაუნდში 30 რჩეულისგან 15 ევროპელია — 8 რუსი, 3 შვედი და 2-2 ჩეხი და სლოვაკი.

მართალია, ჯერ არავინ იცის, როგორ გამოიჩენენ თავს ეს ბიჭები მომავალში, თუმც, სპეციალისტთა აზრით, დრაფტი ნაყოფიერად აილენდერსმა, ატლანტამ, კოლუმბუსმა, ბუფალომ და სენტ ლუისმა გამოიყენეს. „ხმლებმა“ მოწონება რუსი ცენტრფორვარდის, არტიომ კრიუკოვის შეძენის გამო დაიმსახურეს. მართალია, მისი აყვანა გარკვეულ რისკთანაა დაკავშირებული, რადგან ტვინის შერყევის გამო ნახევარი წელი არ უთამაშია, მაგრამ სიმბოლურია, რომ ბევრი მას ერიკ ლინდროსს ადარებს, სენტ ლუისმა კი 30-ე და 75-ე ნომრები, ცენტრფორვადები — ჯეფ ტაფი და ჟუსტენ ჰპინო აირჩიეს.

სამველ ღარიბიანი

1991-99 დრაფტში პირველნი

1999 — პატრიკ შტეფანი (ატლანტა)
1998 — ვენსან ლეკავალიე (ტამპა)
1997 — ჯო ტორნტონი (ბოსტონი)
1996 — კრის ფილიპსი (ოტავა)
1995 — ბრაიან ბერარდი (ოტავა)
1994 — ედ ჟოვანოვსკი (ფლორიდა)
1993 — ალექსანდრ დეიგლი (ოტავა)
1991 — ერიკ ლინდროსი (კვებეკი)

ჯეროლა Perla

პ ე რ ლ ა

მარგალიტების მაღაზია

კოსტავას 47

დასაწყისი პირველ გვერდზე

პირველი ქართველი მთვარეზე
ლონდონური ოდისეა 2000

„აპოლო 11“-ის ნაცვლად მეტროს ერთი ჩვეულებრივი ვაგონიდან გამოვდივარ გაჩერება „საუსფილდზე“. „უიმბლდონის“ სუნთქვა მაშინვე იგრძნობა: იატაკზე ჩოგბურთის კორტია დახატული და ბალახისფერი ხალიჩა აგია, კედლებზე უზარმაზარი პლაკატია გაკრული, რომელზეც ტრიბუნებზე მსხდომი მაყურებლებია გამოსახული ნატურალურ ზომაში.

ისე, აქაურ მეტროს „ანდაგრაუნდი“ სულ ტყუილად ჰქვია, მიწის ქვეშ მატარებელი წუთითაც კი არ ჩადის. სამაგიეროდ, ერთი ხაზიდან მეორეზე გადაჯდომამ შეიძლება ინფარქტი დაგმართოთ, მატარებლის სწორად შერჩევას და საჭირო მიმართულებით გამგზავრებას კი ყურადღების ზეადამიანური დაძაბვა სჭირდება — ერთი და იგივე ბაქანიდან ქალაქის ხუთ სხვადასხვა კუთხეში შეიძლება აღმოჩნდეთ.

ასე რომ, როდესაც ამ ლაბირინთს თავი დავაღწიე და სუფთა ჰაერზე გავედი, შვებით ამოვისუნთქე. გარეთ თითქმის არაფერი მემუქრება, თუ ქუჩების გადაკვეთის მომენტს არ ჩავთვლით: მავიწყდება, რომ აქ მანქანებს საჭე საწინააღმდეგო მხარეს აქვთ და ჯერ მარჯვნივ უნდა გაიხედო, მერე კი — მარცხნივ. ამიტომ მანქანის საქარე მინაზე შემოსკუპებისა და ნეკნების გაერთიანების პერსპექტივისგან ინგლისელი მძღოლების სანაქებო რეაქცია და სიფრთხილე თუ მიხსნის.

„საუსფილდიდან“ კლუბამდე დაახლოებით 15 წუთის სავალია ფეხით. გზაში რამდენიმენაირ უფასო გაზეთს, მარაოს და ტურნირის სიმბოლიკიან წვირლმანებს გთავაზობენ სახეზე ღიმილმიკერებული ინგლისელი გოგონები. აი, მაისურები და სხვა შეფერილობის ქუდები კი საკმაოდ ძვირი ღირს.

ასე, ათიოდ წლის წინ მოსკოვში ახლადგახსნილი „მაკდონალდსის“ წინ საბჭოთა საზომებითაც კი უზარმაზარი რიგი ვიხილე — ხალხის მასა მოზრდილ პარკს წრეს ურტყამდა და მეზობელ ქუჩაზე გადადიოდა. მაშინ ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ მსგავს რამეს სხვაგანაც შევხვდებოდი, მაგრამ უიმბლდონის ბილეთებისთვის რიგი მაშტაბებით მართლა არნახულია.

ცოცხალი ხაზი შესასვლელამდე კილომეტრით ადრე მაინც იწყება, ხალხი კუს ნაბიჯით მიიწევს წინ და ბევრი საღამომდეც ვერ აღწევს სალაროებამდე, მაგრამ მათთვის თავიანთი კერპების ხილვის იმედი, ეტყობა, მართლა ბოლოს კვდება.

თავიდან ვიფიქრე, რიგში მდგომთა რაოდენობას დავითვლი-მეთქი, მაგრამ სადღაც 500-ის შემდეგ მომწყინდა და თავი დავანებე — აქ ამაზე ათჯერ და ოცჯერ მეტი იქნებოდა. სიცოცხლეში პირველად ვიგრძენი ევროპელთან შედარებით პრივილეგირებულად თავი (თუმცა, რა თქმა უნდა, მეც ევროპელი ვარ), ასეთი გმირობისთვის მოთმინება ნამდვილად არ მეყოფოდა.

ჟურნალისტებისთვის შესასვლელად მეზუთე კარიბჭე იყო გამოყოფილი, ჩემმა აკრედიტაციამ სეზამ გაიღესავით გაჭრა, აქაც გამიღიმეს, ოღონდ ჩანთა მაინც გამიჩხრიკეს და მერე ერთმა მასპინძელმა პრესცენტრისკენ გაძღოლა შემთავაზა.

მანამდე კი თბილისის ღია პირველობის შარშანდელ გამარჯვებულ ევგენია კულიკოვსკაიას შევხვდი. გზა ერთი გვქონდა და ძველი ნაცნობობის ხათრით ბოლო ორი წლის ამბები გამოვკითხე. თბილისში ყოფნის დროს 21 წლის რუსი საუკეთესოთა ოცეულში შესვლაზე ოცნებობდა და მეტად იმედიანადაც იყო განწყობილი, თუმცა მერე მხარის ოპერაცია გადაუტანია და ახლა კლასიფიკაციაში 290-ეა. უიმბლდონზე ის მხოლოდ წყვილებში ითამაშებს.

ამასობაში პრესცენტრის სამყოფელს, ახალაგებულ „შილენუმ ბილდინგსაც“ მივაღწიეთ, თუმცა დაწვრილებით ამ თემაზე ხვალ მოგითხრობთ — თავად ჩოგბურთისთვისაც ხომ უნდა გამოვნახოთ ადგილი.

კონფლიქტი

უიმბლდონისთვის ახალი ათასწლეულის დადგომას ხეირიანი არაფერი მოუტანია. ჯერ იყო და, ანდრეი მედვედევმა და მარი პირსმა საჯაროდ, მათმა მრავალმა კოლეგამ კი ზურგსუკან გათათხეს ტურნირი, ახლა კი, ლშემატკივარია, ამიტომ ეროვნული გუნდის ტრიუმფზეც დაუჯერებლად ვიხარებ და საინტერესო პასუხიც მალე მოვძებნე. ერთ ნარინჯისფრად აჭრელებულ პაბში შევედით მეოთხედფინალის საცქერლად და საშინლადაც შევცდით, იქ ჰოლანდიელები მხოლოდ ჩვენ აღმოვჩნდით. ხუთშაბათს არ ვიცი, მაგრამ თუ ფინალში გავალთ, შევეცდები, კონტინენტზე მოვუსვა და მატჩს დავესწრო“.

მარტინა და მე

სამწუხაროდ, მარტინა ჰინგისისა და ჩემი ურთიერთობა ჯერჯერობით ამ ქვესათაურს არ გასცილებია, თუმცა პირველი ნაბიჯი უკვე გადაიდგა — გუშინ მსოფლიოს პირველი ჩოგნის ინტერვიუს დავესწარი და ყურადღების მისაპყრობად ორი კითხვაც დავუსვი.

საპასუხო გრძნობების გაჩენის შესახებ ვერაფერს გეტყვით, თუმცა ინტერვიუს მცირე ნაწილს აქვე შემოგთავაზებთ. და ერთიც, თუ კორტზე შვეიცარიელს ამპარტავნული და ცოტა გამაღიზიანებელი იერიც კი აქვს ხოლმე, ახლოდან ამგვარი არაფერი ეტყობა.

— რა უფრო გსურთ, პირველი ჩოგნობის შენარჩუნება, თუ დიდი სლემის ტურნირის მოგება?

— ორივე კარგი იქნება. თუ პირველი გინდა იყო, თითქმის იძულებული ხარ, ერთი „მეიჯორი“ მაინც მოიგო. თუ ეს აქ მოხდება, ძალიან კარგი, თუ აშშ-ის ღია პირველობაზე — არც ესაა ცუდი, თუმცა ყველას აჯობებს, თუ აქაც ვიმარჯვებ და იქაც.

— რას გაძლევთ „ოლ ინგლენდ კლაბის“ წევრის სტატუსი?

— უკეთეს ადგილს მანქანების დასაყენებელ მოედანზე. კიღევ ის არის კარგი, რომ ყოველდღიურად ორი ბილეთიც მერგება.

— როგორ გრძნობდით თავს მატჩის წინ, მარშან აქ პირველივე წრეში დამარცხდით, ეს ხომ არ გაწუხებდათ?

— ამაზე ერთი ორჯერ გავიფიქრე. მატჩის წინ გასახდელში იანა ნოვოტნა ვნახე. არც კი ვიცოდი, თუ აქ იყო, მითხრა, შენს შეხვედრას უნდა გავუკეთო კომენტარი BBC-ზეო. მაშინვე კარგ გუნებაზე დავდექი.

— რამდენიმე თვის წინ ამერიკაში თქვენი შერკეული ქომაგი დაიჭირეს. ხომ არ განერვიულებთ ეს ფაქტი, თავს უსაფრთხოდ გრძნობთ?

— ო, დიახ. ხალხი ქუჩაში მცნობს, მაგრამ ეს მაინცდამაინც არ მაღელვებს. ყველგან ასე ხდება და მიჩვეული ვარ. ისე, ცოტას კი ვფრთხილობ, რაკი გოგოები ვართ, ასე უნდა მოვიქცეთ.

ჰო, ჰინგისმა პირველ წრეში ანხელეს მონტოლიო დაამარცხა 6:1, 6:2

ქალები. პირველი წრე: ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი) — ელენა დემენტიევა (რუსეთი) 6:1, 6:1; მარიანა ლუჩიჩი (ხორვატია) — დენისა ხლადკოვა (ჩეხეთი) 4:6, 6:2, 6:2; ინგა გუინ ში (ჩინეთი) — ჯულია კასონი (იტალია) 6:2, 6:1; სილვია ტალარია (ხორვატია) — ირინა სპირლეა (რუმინეთი) 6:4, 6:2; ვინუს უილიამსი (5, აშშ) — კვეტა ჰრდლიჩკოვა (ჩეხეთი) 6:3, 6:1; ქრისტინა ტორენსვალერო (ესპანეთი) — სედა ნურლანდერი (ჰოლანდია) 0:6, 6:4, 8:6; ტინა პინსიჩი (სლოვენია) — ჰანა კოლინი (ბრიტანეთი) 6:1, 7:5; მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — ანხელეს მონტოლიო (ესპანეთი) 6:1, 6:2; ანა სმეშნოვა — პეტრა მანდულა (უნგრეთი) 6:2, 7:6; მაგდალენა გრუიპოვსკა (ჰოლონეთი) — ამანდა ჰოპმანსი (ჰოლანდია) 7:6 (10:8), 6:2; ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) — ჯული პულინი (ბრიტანეთი) 7:5, 6:2; სერენა უილიამსი (8, აშშ) — ასა კარლსონი (შვედეთი) 6:3, 6:2; ანა კურნიკოვა (რუსეთი) — სანდრინ ტესტიუ (10, საფრანგეთი) 7:5, 5:7, 6:4; ოლგა ბარაბაშნიკოვა (ბელარუსი) — ბარბარა შეტი (15, ავსტრია) 6:2, 6:2.

კაცები. პირველი წრე: უეინ ფერარა (ს. აფრიკა) — უეინ არტურსი (ავსტრალია) 6:7 (6:8), 6:3, 7:6 (7:5), 6:1; ფრანცისკო კლავეტი (ესპანეთი) — ჰერმან გუმი (არგენტინა) 6:3, 6:3 (7:5), 3:6, 6:4; ალბერტო მარტინი (ესპანეთი) — ვერნერ ესპაუერი (ავსტრია) 6:4, 6:4, 3:6, 6:2; ელ აუნაუი (მაროკო) — ფელიქს მანტილა (ესპანეთი) 7:6 (7:5), 6:3, 6:4; პიტ სამპრასი (1, აშშ) — ირაი ვანეკი (ჩეხეთი) 6:4, 6:4, 6:2; კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) — უეინ ბლეკი (ზიმბაბვე) 6:2, 6:2, 6:4; რიჩარდ კრაიჩეკი (11, პოლანდია) — მიხაელ კოლმანი (გერმანია) 3:6, 6:1, 6:4, 7:6 (7:3); სლავა დოსედელი (ჩეხეთი) — ნიკოლას ლაპენტი (16, ეკვადორი) 6:3, 6:2, 0:6, 6:1; იონას ბიორკმანი (შვედეთი) — ანდრეი მედვედევი (უკრაინა) 6:4, 6:3, 6:3.



ბრიტანელებზე გაბუტული ალექს კორეჩა შინ გაბრუნდა

ზედ დაწყების წინ, მორიგი სკანდალი გამოცხვა.

სხვა დიდი სლემის ტურნირებისგან განსხვავებით, უიმბლდონზე კაცების გათესვის დროს მათ კლასიფიკაციას ზუსტად არ მისდევენ. ორგანიზატორები აქ წინა წლებში ნაჩვენებ შედეგებსა და სწრაფ საფარზე თამაშის გამოცდილებას უფრო ითვალისწინებენ.

სწორედ ამიტომ, წლეულს ერთბაშად სამი ესპანელი მოთიხრეე დაზარალდა: ალექს კორეტხა, ხუან კარლოს ფერერო და ალბერტ კოსტა მსოფლიოს, შესაბამისად, მე-11, მე-13 და მე-15 ჩოგნები არიან, მაგრამ ისინი 16 განთესილს შორისაც კი ვერ მოხვდნენ.

სამაგიეროდ, მძლავრი მოწოდებისა და ბადესთან თამაშის კარგად მცოდნე, თუმცა კლასიფიკაციით შედარებით დაბლა მდგომი ჩოგბურთელები — გრეგ რუზედკი, პატრიკ რაფტერი, მარკ ფილიპუსისი და რიჩარდ კრაიჩეკი განითესნენ.

ადრე უიმბლდონის ასეთი პოლიტიკა დაზარალებულთა მხრიდან დიდ წინააღმდეგობას არ აწყდებოდა, მაგრამ წლეულს კლასიფიკაციაში ათვლის სისტემა შეიცვალა — დიდი სლემის ტურნირის პირველ წრეში წაგებისთვის ჩოგბურთელებს არც ერთი ქულა არ ეწერებათ და დანაკარგის სხვა, უფრო მცირე პირველობაზე ანაზღაურების შანსი არა აქვთ. ასე რომ, ესპანელები სამართლიანად აღშფოთდნენ.

ფერერომ ზურგის ტრავმა მოიძიზეზა და უიმბლდონზე ჩამოსვლაზე რამდენიმე დღის წინ განაცხადა უარი, აი, კორეტხამ და კოსტამ კი ATP ტურის თავკაცს მარკ მაილსს საპროტესტო უსტარი აახლეს.

„უიმბლდონი კენჭისყრით მანიპულირებს და ჩვენი მომავლის ხარჯზე თამაშობს. ამით ყველაზე მეტად მასპინძლებმა იხეირეს. გრეგ რუზედკი ოცდამეერთე ადგილიდან კლასიფიკაციაში მეთოთხმეტედ განთესილად იქცა, რათა პიტ სამპრასსა და ანდრე აგასს ადრეულ ეტაპზე არ შეხვდეს. ასევე დაწინაურეს ტიმ ჰენმანიც (მეთოთხმეტედან მერვემდე)“ — ღვარძლიანად განაცხადა კორეტხამ, რომელსაც ტურნირზე „ყველაზე კარგი ბიჭის“ რეპუტაცია აქვს.

ჩოგბურთელებს, ATP ტურსა და უიმბლდონს შორის კვირა საღამოს ხანგრძლივი მოლაპარაკება გაიმართა. ესპანელების მოთხოვნაზე, განთესვა კლასიფიკაციის მიხედვით ჩატარებულიყო, ორგანიზატორებმა უარი განაცხადეს. ვირიდან ჩამოსვლის სურვილი არც მეორე მხარეს გამოუთქვამს, ამიტომ კოსტაცა და კორეტხაც გუშინ შინ გაემგზავრნენ (სხვათა შორის, ერთ ესპანელ ჟურნალისტს ვკითხე და, თურმე ალექსის გვარი კორეჩად გამოითქმის და არა კორეტხად, ასე რომ ამიერიდან მეც სწორედ ასე მოვიხსენიებ).

ამის თაობაზე კლუბის თავმჯდომარის, ტიმ ფილიპსის განცხადება ცოტა ცინიკურად ჟღერს: „იმედგაცრუებულნი ვართ, რომ ზემოხსენებული ჩოგბურთელები ჩვენთან აღარ ითამაშებენ. შევეცდებით, გაისად განთესვის სისტემა ვსრულყოთ. ეს ორი ჩოგბურთელი საკვალიფიკაციო ათვლაში ნულოვანი ქულის ჩაწერით, საპრიზოების დაკარგვითა და აქ ჩამოსვლის ხარჯების გაწევით ისეც საკმაოდ დაზარალდა, ამიტომ მეტად აღარ დავსჯით(!)“.

არა მგონია, ესპანელებისთვის დაუჯარიმებლობა დიდი შეღავათი იყოს.

სინდისის ქენჯნა

ერთ-ერთი ჩოგბურთელი, ვინც კორეჩასა და კოსტას უიღბლობით იხეირა, უიმბლდონის ყოფილი ჩემპიონი რიჩარდ კრაიჩეკი (11) იყო.

წესით და რიგით, ჰოლანდიელი პირველივე წრეში კოსტას უნდა შებრძოლებოდა, მაგრამ მის ნაცვლად გერმანელ „იღბლიან წაგებულ“ მიხაელ კოლმანს შეხვდა. კრაიჩეკი ერთადერთია, ვისაც ბოლო 7 წლის მანძილზე აქ პიტ სამპრასი დაუმარცხებია, ამიტომ სამართლიანადაც ითვლება ერთერთ ფავორიტად.

თუმცა, რიჩარდი საუკეთესო ფორმაში არ არის. კოლმანთან მან პირველი სეტი წააგო, მერე ცოტა უკეთ ათამაშდა და ტყვია-მოწოდებების წყალობით 2 საათზე ოდნავ მეტში 3:6, 6:1, 6:4, 7:6 (7:3) იმარჯვა.

პრესკონფერენციაზე კრაიჩეკმა აღიარა, რომ ესპანელები მართლები იყვნენ, თუმცა იქვე დაურთო, სხვაგვარად უნდა მოქცეულიყვნენო: „თუ თავიანთი პოზიციის სისწორის დამტკიცება სურდათ, უნდა დარჩენილიყვნენ და რომელიმე განთესილის დამარცხება ეცადათ. იმედი მაქვს, გაისად 16-ის ნაცვლად 32 კაცს განთესავენ და ასე აიცილებენ პრობლემებს“.

ჰოლანდიელი ფეხბურთის დიდი გულშემატკივარია, ამიტომ ეროვნული გუნდის ტრიუმფზეც დაუჯერებლად ვიხარებ და საინტერესო პასუხიც მალე მოვძებნე. ერთ ნარინჯისფრად აჭრელებულ პაბში შევედით მეოთხედფინალის საცქერლად და საშინლადაც შევცდით, იქ ჰოლანდიელები მხოლოდ ჩვენ აღმოვჩნდით. ხუთშაბათს არ ვიცი, მაგრამ თუ ფინალში გავალთ, შევეცდები, კონტინენტზე მოვუსვა და მატჩს დავესწრო“.

REUTERS ლონდონიდან

რიჩარდ კრაიჩეკი

თხოვნა მკითხველს

მკითხველო, შენ მაინც გეყოს ფანტაზია და იქნებ წარმოიდგინო, ეს ეშხიანი ქალი რეზინის ხელკეტს რომ ამოიღებს და უწესოებს დაუშენს! ძნელი დასაჯერებელია, არადა მისი საქმე ზუსტად ესაა.

მზერა

აჰ, რა ხალხი ნერვიულობდა შაბათს იტალია-რუმინეთის მატჩის შემხედვარე. წინა პლანზე რუმინეთის პრეზიდენტი, ემილ კონსტანტინესკუა, ხოლო ის, ვინც რუმინელის კისერზე შარფის მოხვევას გამომცდელად უჭვრეტს, იტალიის პრემიერ-მინისტრი მასიმო დანელა გახლავთ. მზერაში ჩაქსოვილი პოლიტიკური დატვირთვის შესახებ ინფორმაცია არ გვაქვს.



მოვდივარ!

— მამიკო, შენთვის კანფეტი მომაქვს (მარჯვენა ხელში მიჭირავს), მაგრამ უნდა გაწყენინო: იტალიამ მოგვიგო და მორჩა ჩვენთვის ევრო 2000... შენ რაღა გითხრა, ძვირფასო... ბოლო დღეებია, ნერვები ძაფივით მაწყდება, მოედნიდან ორჯერ გამაგდეს და ახლაც რას ვფიქრობ, თუ იცი? ამ საძაგელ ფოტოგრაფს მობილური თავზე ხომ არ დავაფშვნა-მეთქი. შემალონეს, რა, პირდაპირ!..(გეორგე ჰაჯი ბელგიიდან)

ტანსატშლები

შანებმა კარგახანია აითვისეს სახე, თმები და სხეულის ამ უბნებზე ახალი შედევრები უკვე აღარ იხატება, სამაგიეროდ, ტანი უფრო ვრცელია და მასზე გულშემატკივართა ფანტაზია ჯერაც გვარიან გასაქანს პოულობს. ამ ესპანელს საკუთარ სხეულზე ორიგინალური არაფერი წაუთხაპნია, მხოლოდ მშობლიურ ენაზე აღუნიშნავს, რომ „ესპანეთი — ევრო 2000-ის ჩემპიონია“ და ეროვნული დროშის ფერებით მოუკაზმავს. ახლა წარწერა კარგახნის ჩამორეცხილი იქნება, ის ფანი კი, ალბათ ცხვირჩამოშვებული სამშობლოსკენ მიიწევს; აღარც ამ რიგიან გოგონებს ექნებათ მხიარული კისკისის სურვილი: ესპანეთი გავარდა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სრულიმონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი; უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შილაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge